პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ქაშოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 13—39.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—31.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-ზედავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

სამშაბათი, 10 აპრილი 1928 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 83 (2126)

დ ღ ი უ რ ი

— თავდასხმა კომკავშირელთა დემონსტრაციაზე ხემნიცში.
— მოგვარებულია ალბანეთ-სამხრეთ სლავიის ინციდენტი.
— კონფლიქტი შვეციის ქაღალდის მრეწველობაში.
— ლურისტანში მოკლეს სპარსეთის საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი.
— ხანძარი „სტანდარტ ოილის" საწყობებში. — დაიღუპა ერთი კაცი, დაჭრილია რვა.
— მოსკოვში გაიხსნა ლათინურ ამერიკის პროფკავშირთა კონფერენცია.

გავაიაფოთ მშენებლობა

საამშენებლო სეზონი კარგა ხანია დაიწყო. სამრეწველო და საბინაო მშენებლობა ფართე მასშტაბით წარმოებს. ამაზე მილიონებია გადადებული. რომ ამ თანხების ხარჯვამ მაქსიმალური ეფექტი გამოიღოს, ყოველი ზომა უნდა ვიხმაროთ ჩვენი ჯერ კიდევ მეტად ძვირად ღირებულ მშენებლობის გასაიაფებლად. ამ მხრივ უაღრესად საყურადღებოა საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება (იხ. „იზვესტია" № 79—3 აპრ.).

საკავშირო მთავრობის დირექტივა მიმდინარე წელს წინა წელთან შედარებით მშენებლობის 15 პროცენტით გაიაფების შესახებ, როგორც სინამდვილე გვიჩვენებს, არ ხორციელდება მთლიანად და საკმაო სიმტკიცით. ასეთ მდგომარეობას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. ხსენებული დადგენილება მიუთითებს იმ საშუალებებზე, რომლებითაც შესაძლებელია ამ დირექტივის შესრულება და მშენებლობის შემდგომი გაიაფება.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია საამშენებლო მასალის სიძვირე. ყველა სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რომელნიც ამზადებენ ამ მასალას ან მით ვაჭრობას ეწევიან, —წინადადება ეძლევათ საგრძნობლად შეამცირონ მასზე საგასაცემო ფასები. ფასების დაკლების მინიმალური პროცენტები სხვადასხვა საამშენებლო მასალების და შესაძლებლობის მიხედვით განსაზღვრულია. ამ ზომის გატარება, რა თქმა უნდა, აღნიშნულ ორგანიზაციებიდან მოითხოვს საქმის რაციონალიზაციას და მომჭირნეობის გამოჩენას.

საამშენებლო მასალების სიძვირეს იწვევს არა მარტო ის, რომ მათი დამზადების საქმე ვერ არის მოგვარებული და სათანადო ორგანიზაციები გადაჭარბებული მოგების მიღების მიზნით მაღალ ფასებში ყიდიან მათ. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ტრანსპორტის ტარიფებს. ხშირად ხდება ხოლმე, რომ ამ უკანასკნელი მიზეზით ორჯერ ძვირად იყიდება საამშენებლო მასალა. შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით ამ მასალის გადაზიდვისათვის უნდა შემცირებულ იქნეს ტარიფები რკინის გზებზე და წყლით მიმოსვლის გზებზე. ამავე დროს უნდა შემცირდეს ადგილობრივ გადასახადების და საიჯარო გადასახადების (მაგ., ხე-ტყის მოჭრაზე) რაოდენობა

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ჩვენ განვიცდით ზოგიერთ საამშენებლო მასალის სიმცირესაც: (აგური, დუღაბი და სხ.), რომელთა წარმოების გადიდებას მოითხოვს მშენებლობის განვითარება. ეს ხელს შეუწყობს საამშენებლო მასალის გაიაფებასაც.

მეტად დიდია მშენებლობის ორგანიზაციული და ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები, როგორიცაა ხარჯები, გაწეული პროექტების და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენაზე, ცენტრალურ და საწარმოო აპარატის შენახვაზე, შენობების დაქირავებაზე და სხ. ამ ხარჯების რაოდენობა ხშირად შეადგენს საამშენებლო სამუშაოების ნამდვილ ღირებულების 15—20 პროცენტს. მთავრობის დადგენილებით ეს ხარჯები 1928 წ. არ უნდა აღემატებოდეს 8 პროცენტს.

ჭიანურდება პროექტების და ხარჯთაღრიცხვების შედგენა და, მათი დამტკიცება, რაც ძალზე აფერხებს მშენებლობის დროიანად დაწყებას და იწვევს მის გაძვირებას.—დადგენილია ამ მხრივ საქმის გამარტივება, დაჩქარება და მტკიცე წესის შექმნა. ხშირია აგრეთვე ისეთი მოვლენები, როცა საჭირო ხდება შემუშავებულ პროექტებში საგრძნობი ცვლილებების შეტანა და ამის მიხედვით დაწყებულ სამუშაოების გადაკეთება. ასევე ხშირია ფაქტები, როცა შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვები არა რეალური გამოდგება და აუცილებელი აღმოჩნდება დამატებით საკმაოდ დიდი ხარჯების გაღება. და აქ მეტწილად დამნაშავეა არა რაიმე „ობიექტიური პირობები", არამედ ადგილი აქვს საქმის უცოდინარობას, დაუდევრობას, არაკეთილსინდისიერებას და ზოგჯერ შეიძლება ბოროტმოქმედებასაც. ყველაფერ ამის ასაცილებლად აუცილებელია ერთი მხრით ნამდვილი სპეციალისტების ჩაბმა მუშაობაში, ხოლო მეორე მხრივ სასტიკი პასუხისმგებლობის დაკისრება სამუშაოთა ხელმძღვანელებსა და შემსრულებლებზე. დღემდე კი ფაქტიურად ისეთი მდგომარეობა იყო, რომ ამ პასუხისმგებლობას არც ისე გრძნობდნენ, და ეს, სხვათა შორის, იმიტომაც, რომ არ იყო თვითეულის უფლება - მოვალეობანი მკაფიოდ ჩამოყალიბებული. ყოველმა მუშაკმა უნდა იცოდეს, თუ რა ევალება მას და რისთვის მოეთხოვება პასუხისმგებლობა. მაშინ მშენებლობაზე ადგილი არ ექნება მრავალ ისეთ ნაკლს, რასაც ეხლა ვხედავთ.

მშენებლობის შეფერხება და სიძვირე კიდევ მრავალი სხვა მიზეზით აიხსნება. მათ შორის უკანასკნელ როლს არ თამაშობს ფინანსების დროზე მიუწოდებლობა. ზომები უნდა იქნეს მიღებული, რათა ხარჯთ - აღრიცხვით გათვალისწინებულ ფარგლებში დაუბრკოლებლივ ეხსნებოდეს კრედიტები საამშენებლო ორგანიზაციებს. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ რომელიმე სამრეწველო თუ სავაჭრო დაწესებულება პირნათლად არ ასრულებს მასთან ამა თუ იმ საამშენებლო ორგანოს მიერ დადებულ ხელშეკრულების საამშენებლო მასალებით მისი მომარაგების შესახებ; ხდება ისე, რომ ამ მასალებს აწოდებს რამოდენიმე და არა იშვიათად წლითაც უფრო გვიან, ვინემ ეს დათქმულია ხელშეკრულებაში. ამით ბრკოლდება და ზოგჯერ დროებით სრულებით ჩერდება სამუშაოს შესრულება. უნდა განვამტკიცოთ მკაცრი სახელშეკრულებო დისციპლინა და მისი დარღვევისათვის შემოვიღოთ ასევე მკაცრი პასუხისმგებლობა.

ბოლოს ჩვენ გვინდა შევჩერდეთ კვალიფიციურ მუშა - ხელის საკითხზე. დახელოვნებულ მშენებელ მუშების ნაკლებობა ჩვენში მეტად საგრძნობია. ეს, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს მშენებლობის ხარისხზე. აუცილებელია ზომების მიღება მშენებელ მუშების მოსამზადებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

მშენებლობა, როგორც ვსთქვით, ფართედაა გაშლილი. ქვეყნის სამეურნეო ზრდასთან ერთად ის შემდეგში უფრო მეტი მასშტაბით იწარმოებს. ამიტომ, ზევით აღნიშნულ და სხვა სათანადო ღონისძიებათა გატარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მშენებლობის გაიაფება, და მისი თვისობრივი გაუმჯობესება ჩვენი ერთი ძირითადი ამოცანათაგანია, რომლის გადაჭრისაკენ უნდა იქნეს მიქცეული ჩვენი ყურადღება.

ინგლისის კაპიტალისტების ოინები

საფრანგეთის მთავრობის მტრული გამოსვლა საბჭოთა კავშირის მთავრობის წინააღმდეგ, რაც გამოიხატა იმაში, რომ საფრანგეთის ელჩმა ვაშინგტონში—კლოდელმა 6 მარტს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს გადასცა ნოტა, რომელშიაც საფრანგეთმა პრეტენზია განაცხადა ამერიკის ბანკებში გადაგზავნილ ჩვენს ოქროზე, თავისთავად წარმოადგენდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტს. მაგრამ ეს ფაქტი მხოლოდ ერთ-ერთი გამოხატულებაა იმ მტრობისა, რომელსაც იჩენს პარიზი საბჭოთა კავშირის მიმართ. ასეთი მტრული აქტების რიცხვს ეკუთვნის დე-მონზის ცნობილი გეგმაც საფრანგეთ-გერმანიის ეკონომიური ანტანტის შექმნის შესახებ, რომელიც მიმართული უნდა იქნეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. კიდევ უფრო საგულისხმოა საფრანგეთის უმაღლეს სასამართლო ინსტანციის მიერ ამას წინად გამოტანილი განაჩენი, რომელიც კანონიერად არ სთვლის ჩვენს აქტებს ნაციონალიზაციის შესახებ და, მაშასადამე, ეწინააღმდეგება საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას. ამრიგად, საფრანგეთი თავის პოლიტიკაში სულ უფრო და უფრო აშკარავებს ანტი-საბჭოთა ტენდენციებს. ეს მომენტი მჭიდროთ არის დაკავშირებული ინგლისის მისწრაფებასთან დაუახლოვდეს საფრანგეთს და შექმნას ორივე ქვეყნის მთლიანი ფრონტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მართალია, ჩვენ საქმე გვაქვს ანტი-საბჭოთა შეთანხმების მიღწევის ცდასთან.

ერთა ლიგის საბჭოს მორიგი სესია, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ იმართა ჟენევაში. უაღრესად მნიშვნელოვანი იყო იმ საიდუმლო მოლაპარაკების გამო, რომელიც ფარულად სწარმოებდა მის მონაწილეებს შორის ლიგის საბჭოს ოფიციალური სხდომების გვერდით. ამ მოლაპარაკების შინაარსი ძლიერ საიდუმლოდ ინახება, მაგრამ თუ რამდენად მნიშვნელოვანი და რთული იყო იგი, შეგვიძლია დავასკვნათ იქიდან. რომ სამივე მთავარ სახელმწიფოს— ინგლისის, გერმანიის და ახლანდელ საფრანგეთის—საგარეო საქმეთა მინისტრებს თან ახლდნენ თავისი უახლოესი თანაშემწეები. ეხლა ჟენევაში არ დასჯერდნენ ჩვეულებრივ დიპლომატიურ მასლაათს. არამედ აწარმოებდნენ სერიოზულ საქმიან საუბარს კონკრეტულ საკითხებზე. ეს სიმპტომატიური ფაქტი [illegible] რებით მნიშვნელოვანად გვეჩვენება, თუ მისი განხილვის დროს მხედველობაში მივიღებთ იმ უახლეს ტენდენციებსა და გარდატეხებს, რამაც იჩინა თავი ევროპის საერთაშორისო პოლიტიკაში. განსაკუთრებით უნდა ითქვას ეს ლონდონის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

ძირითადი მომენტი, რომელიც აიძულებს ამჟამად ინგლისს აიღოს ახალი კურსი თავის საგარეო პოლიტიკაში, არის წინააღმდეგობათა გამწვავება ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ამიტომ ლონდონს აუცილებლად ესაჭიროება იპოვოს რეალური დასაყრდენი და მტკიცე ბაზა თავის მსოფლიო მეტოქეობაში ვაშინგტონთან. აქედან გამომდინარეობს იდეა ევროპის სახელმწიფოთა მთლიანი ფრონტის შექმნისა დიდი ბრიტანეთის მეთაურობით. ეს ფრონტი უნდა დაუპირდაპირდეს ამერიკის მსოფლიო გავლენას და ამერიკის მისწრაფებას ეკონომიურ და პოლიტიკურ ჰეგემონიისაკენ. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ლონდონის პოლიტიკაზე, არის ის, რომ ინგლისი, რომელმაც გასულ წელში გასწყვიტა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, ამ მხრივ განმარტოებული დარჩა. დღემდე ევროპის არც ერთმა სახელმწიფომ არ მიბაძა მის მაგალითს; ამიტომ ინგლისი ცდილობს რათაც არ უნდა დაუჯდეს დაარწმუნოს ევროპის სახელმწიფოთა მთავრობები იმის საჭიროებაში, რომ მათ დაამყარონ რუსეთის საკითხში ბრიტანეთის მთავრობასთან შეთანხმებული ხაზი.

ურთიერთობის გამწვავება ერთსა და იმავე დროს ჩრდ. ამერ. შეერთებულ შტატებთან და საბჭოთა კავშირთან აიძულებს ლონდონს სასწრაფოდ ეძიოს მოკავშირენი და მეგობრები ევროპის კონტინენტზე. და მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ბრიტანეთის დიპლომატია უკანასკნელ დროს გამალებით ღებულობს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომელთა მიზანს შეადგენს კონტაქტისა და თანამშრომლობის დამყარება ინგლისსა და ევროპის მთავარ სახელმწიფოებს შორის. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ძლიერი ამ სახელმწიფოებში არის საფრანგეთი. როგორც ვიცით, ინგლის-საფრანგეთის მეტოქეობა ევროპის კონტინენტზე ჰეგემონიისათვის წარმოადგენდა ევროპის პოლიტიკის მთავარ შინაარს მსოფლიო ომის შემდეგ. ამჟამად ინგლისი იძულებულია დროებით წავიდეს კომპრომისზე, საფრანგეთთან მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებში. ლონდონი ყოველმხრივ ცდილობს შეინელოს წინააღმდეგობანი და გამონახოს ნიადაგი პარიზთან თანამშრომლობისათვის.

ამ ტენდენციამ უკანასკნელ თვეებში თავი იჩინა მთელ რიგ კონკრეტულ ფაქტებში. ასე, მაგალითად, ინგლისი ამჟამად არბიტრისა და შემრიგებელის როლში გამოდის საფრანგეთ-იტალიის ურთიერთობაში. 1926-1927 წლებში ინგლისის პოლიტიკის საფუძველს ხმელთა შუა ზღვის საკითხებში წარმოადგენდა ინგლის-იტალიის მჭიდრო თანამშრომლობა, რომელიც მიმართული იყო საფრანგეთის წინააღმდეგ. ინგლისი ყოველმხრივ უწყობდა ხელს საფრანგეთ-იტალიის უთანხმოების გაღვივებას და გამწვავებას, რაც მისთვის სასიხარულო მოვლენას წარმოადგენდა. ეხლა კი ფორეინ ოფისი, ზრუნავს რა იმაზე, რომ დაიცვას კონტაქტი იტალიასთან და ამავე დროს დაამყაროს თანამშრომლობა საფრანგეთთან, ხელს უწყობს დროებით კომპრომისების მიღწევას საფრანგეთსა და იტალიას შორის განსაკუთრებით მწვავე გადაუდებელ საკითხებში. მართალია, საფრანგეთ-იტალიის წინააღმდეგობანი ამით არ აღმოიფხვრება და ისევ სრულ ძალაში რჩება, მაგრამ მათი სიმწვავე დროებით შენელდება ურთიერთ დათმობის ნიადაგზე. მაგალითად, ბრიტანეთის დიპლომატიის შუამავლობით მიმდინარე წელში განხორციელდა საფრანგეთ-იტალიის ორმაგი გარიგება, რომლის ობიექტებს წარმოადგენდნენ ერთის მხრივ ალბანეთი და მეორეს მხრივ—ტანჟერი.

ამ ორმაგ გარიგებაში ფორეინ ოფისმა ითამაშა პატიოსან მაკლერის როლი. ბრიტანეთის დიპლომატია ენერგიულ შუამავლობას ეწეოდა საფრანგეთსა და იტალიას შორის და ამ მხრივ უდიდესი როლი ითამაშა ბრიტანეთის ელჩმა რომში რონალდ გრეხემმა. ბრიანის მეგობრული გამოსვლა იტალიის შესახებ და მუსოლინის ასეთივე გამოსვლა საფრანგეთის შესახებ გასულ წლის დეკემბერში. როგორც სჩანს, მოხდა აგრეთვე ლონდონის შთაგონებით.

ძლიერ სიმპტომატიურია აგრეთვე ის ჩაურევლობის პოზიცია, რომელიც დაიჭირა ინგლისმა საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკების მიმართ. ვინაიდან ლონდონს უკვე აღარ ძალუძს შეაფერხოს საფრანგეთ- გერმანიის დაახლოვება. ამიტომ ის სცდილობს, პარიზთან უფრო მჭიდრო კონტაქტის დამყარებით, ძირშივე ჩაჰკლას ის უარყოფითი შედეგები, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ამ დაახლოებას ინგლისის ინტერესების თვალსაზრისით. კერძოდ, ლონდონი მისწრაფვის შექმნას ეკონომიური ბაზა საფრანგეთთან დაახლოებისათვის, ამასთან დაკავშირებით, განზრახულია უახლოეს დროში დაიდოს ინგლის-საფრანგეთის სავაჭრო ხელშეკრულება, დაარსდეს ინგლის-საფრანგეთის ბანკი მუდმივი კავშირის დასამყარებლად ორივე ქვეყნის საკრედიტო სისტემებს შორის და აგრეთვე ხელმოწერილ იქნას შეთანხმება მოსულის ნავთის განაწილების შესახებ, რომლის თანახმად საფრანგეთის სანავთო კომპანიებს ეძლევა 23,75 პროცენტი.

აღნიშნავთ რა ყველა ამ ფაქტებს, ჩვენ, თავის თავად ცხადია, მხედველობიდან არ ვუშვებთ იმპერიალისტების ბანაკში არსებულ უდიდეს წინააღმდეგობებს, რომელთა მოსპობა არ შეუძლიათ არავითარ დიპლომატიურ შეთანხმებებს: ჩვენ ვლაპარაკობთ არა მარტო ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობებზე, არამედ კიდევ უფრო გერმანიასა და ანტანტას შორის არსებულ წინააღმდეგობებზე. ვერსალის ზავი იმდენად მძიმე ტვირთად დააწვა გერმანიას, რომ საეჭვოა უკანასკნელმა ადვილად შესძლოს მადლობის გრძნობით ჩამოართვას ხელი მის ავტორებს. გერმანიისათვის აგრეთვე განსაკუთრებული ღირებულება აქვს საბჭოთა კავშირთან მეგობრობას. ამას გარდა, ამერიკის იმპერიალიზმს არ შეუძლია გულდამშვიდებით უცქიროს ინგლისის ცდებს ევროპის კაპიტალისტურ ბლოკის შექმნისათვის, რომელიც არსებითად მიმართული იქნება აგრეთვე ამერიკის წინააღმდეგაც. თუმცა ეს ბლოკი იქმნება უფრო „წესიერ" ანტისაბჭოთა დროშით, მაგრამ საეჭვოა, რომ „ამერიკელი ძია" სრულებით ვერ ამჩნევდეს ევროპის იმპერიალისტური კომბინაციების მეორე მხარეს. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ის სრული სიმშვიდით ადევნებს თვალყურს მსოფლიო იმპერიალისტურ ძალების წინააღმდეგობებით აღსავსე კომბინაციებს, აქედან აკეთებს თავის დასკვნებს და თავის ძირითად იმედს ამყარებს საკუთარ ძალებზე და მშრომელ მასების ფართო მოძრაობაზე, მშვიდობიანობის სადარაჯოზე მდგომ საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ მოძრაობაზე, რომელიც ვითარდება და იზრდება ყველა იმპერიალისტურ სახელმწიფოების შიგნით.

„პრავდა", 8 აპრილი.

ამხ. დოვგალევსკის ნოტა საფრანგეთის მთავრობას

ამერიკის საქმიანი წრეები ცდილობენ განამტკიცონ ურთიერთობა საბჭ. კავშირთან

ინგლისის მემაღაროები რეფორმისტების წინააღმდეგ

მელითონეთა გაფიცვა ჰამბურგში.—გაფიცულია 10.000 მუშა

ამხ. დოვგალევსკის ნოტა საფრანგეთის მთავრობას

პარიზი, 8 აპრილი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა საფრანგეთში ამხ. დოვგალევსკიმ 7 აპრილს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა ნოტა, რომელშიაც მოაგონა მას, რომ ჯერ კიდევ 24 მარტს სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ, მიმართა საგარეო საქმეთა სამინისტროს შეკითხვით საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის იმ ოქროს შესახებ, რომელიც შეტანილია ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში და რომელზედაც პრეტენზია განაცხადა საფრანგეთის ბანკმა. 24 მარტის ნოტაში სრულუფლებიანი წარმომადგენლობა ატყობინებდა, რომ საფრანგეთის ელჩი მოსკოვში უარჰყოფდა იმ ფაქტს, რომ საფრანგეთის ელჩმა ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში—კლოდელმა გადასცა სახელმწიფო დეპარტამენტს ნოტა, რომელშიაც მხარს უჭერდა საფრანგეთის ბანკის პრეტენზიას საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის ოქროზე; ის უარყოფდა აგრეთვე ფაქტსაც, რომ საფრანგეთის ბანკმა ამერიკის სასამართლოში სარჩელი აღძრა. საფრანგეთის ელჩმა განუცხადა ჩიჩერინს, რომ საქმე ეხება მხოლოდ იმის გამორკვევას, რჩება თუ არა ძალაში 1920 წლის დადგენილება ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა ოქროს არდაშვების შესახებ; ამავე დროს სახელმწიფო დეპარტამენტმა დაუდასტურა გაზეთების ვაშინგტონელ კორესპონდენტებს ის ცნობა, რომ 6 მარტს დეპარტამენტმა მიიღო საფრანგეთის ელჩ კლოდელის ნოტა, რომელიც შეიცავდა ცნობას საფრანგეთის განსაკუთრებული უფლებების შესახებ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის ოქროზე და სცნობს, რომ საფრანგეთის ბანკმა სარჩელი აღძრა ამ ოქროს შესახებ.

ამის გამო სრულუფლებიანი წარმომადგენლობა 24 მარტის ნოტაში სთხოვდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ეცნობებინა მისთვის, მართალი არის თუ არა ცნობა კლოდელის მიერ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობისათვის ნოტის გადაცემის შესახებ, და თუ ეს ცნობა მართალია, შეეტყობინებინა მისთვის ნოტის ნამდვილი შინაარსი. თუმცა საგარეო საქმეთა სამინისტრომ აღუთქვა წარმომადგენლობას, რომ რამოდენიმე დღის შემდეგ გასცემდა პასუხს ნოტაზე, მაგრამ ეს დაპირება შეუსრულებელი დარჩა. 7 აპრილს გადაცემული ნოტით სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ მოაგონა ეს საგარეო საქმეთა სამინისტროს და სთხოვა პასუხის დაჩქარება. (ადს).

საბჭოთა ოქროს გარშემო

ნიუ-იორკი, 8 აპრილი. „ნიუ-იორკ ტაიმსი" სწერს: „სამრეწველო და საფინანსო წრეებში ფიქრობენ, რომ საბჭოთა მთავრობა ადვილად მიიღებს კონტროლის უფლებას ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებიდან გერმანიაში გაგზავნილ საბჭოთა ოქროზე, შემდეგ გაგზავნის ამ ოქროს უკან ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებში და ამგვარად მიაღწევს თავის პირვანდელ მიზანს. თუ ოქროს მიიღებს ჩრდილოამერიკის შეერთ. შტატების სასინჯი სამმართველო, ეს გამოიწვევს მნიშვნელოვან ეფექტს, რომელიც მომასწავებელი იქნება იმისა, რომ მოხდება საბჭოთა კავშირის საქმიანი დაახლოება ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებთან. უარი საბჭოთა ოქროს მიღებაზე სრულიადაც არ უწყობს ხელს საქმიან ურთიერთობას".

სამრეწველო და საფინანსო წრეების ორგანო „ჯორნალ ოფ კომერსი" სწერს:

„საფრანგეთის ბანკის გამოსვლა — ნემსის ჩხვლეტაა იმ უდიდეს დაბრკოლებებთან შედარებით, რომელნიც ამერიკა-საბჭოთა ვაჭრობის განვითარებას გადაეღობება იმ შემთხვევაში, თუ ჩრ. ამერიკის შეერთ. შტატების მთავრობა უარს იტყვის საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის საფუძვლების შექმნაზე.

ბანკის წრეების წარმომადგენლებთან და ამერიკა-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობის საქმის მცოდნე იურისტებთან საუბარში საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა გამოარკვია, რომ ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების მთავრობის დამოკიდებულება ამ ურთიერთობისადმი იყო, არის და ალბად იქნება მეტად გაურკვეველი. საბჭოთა ოქროს შესახებ მომხდარი ინციდენტი კვლავ აყენებს საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად დასაბუთებულია მთავრობის წრეების განცხადება, რომ ვითომც საბჭოთა კავშირის არცნობა არ უშლის ხელს ამერიკა-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას. საქმიან წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ წინააღმდეგობას ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობის მოქმედებაში. იგი ერთის მხრით უარს აცხადებს მიიღოს საბჭოთა ოქრო და ამავე დროს ამერიკის ბაზარზე თავისუფლად იყიდება საბჭოთა პლატინა. კითხვაზე, თუ რა განსხვავებაა ოქროსა და პლატინას შორის, უპასუხებენ, რომ განსხვავება არ არსებობს, გარდა იმისა, რომ ოქრომ უნდა გაიაროს ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების სასინჯი სამმართველო, მაშინ როდესაც პლატინა თავისუფლად იყიდება ბაზარზე.

მიუხედავად ოქროს შესახებ მომხდარი ინციდენტის გამო წარმოშობილ გაუგებრობისა, ხელმძღვანელ საფინანსო და საქმიან წრეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ ამერიკა-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების კურსი" (ადს).

ბრძოლა ჩინეთში

რევოლიუციონური ჯარების გამარჯვება

ნიუ-იორკი, 8 აპრილი. იუწყებიან, რომ რევოლიუციონურმა ჯარებმა, რიცხვით 3,000 კაცმა, რომელთაც კომუნისტები ხელმძღვანელობენ, ხელთ იგდეს ქალაქები — იენჩუნი და იენგენი (გუანდუნის პროვინციაში). ამ ქალაქის გარნიზონებმა უარი განაცხადეს ბრძოლაზე, ვინაიდან ისინი თანაუგრძნობენ კომუნისტებს

მკაცრი ბრძოლა

შანხაი, 8 აპრილი. ნანკინის სააგენტოს ცნობით, ორი არმია და აგრეთვე ხუნანის ჯარები გამოვიდნენ ჩანძო-ლინის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად.

ენ-სი-შანის შტაბი იუწყება, რომ მკაცრი ბრძოლა სწარმოებს ენ-სი-შანის ჯარებსა და მუკდენელებს შორის. მუკდენელების შეტევა ხუაშაოინის რაიონში მოგერიებულ იქნა

იაპონია-ჩინეთის კონვენცია

პეკინი, 8 აპრილი. იაპონიის ორგანო „მანჯურია დეილი ნიუსი" იხილავს ჩინეთის განზრახვას უარჰყოს ჩინეთ-იაპონიის კონვენცია სამხრეთ-მანჯურიის და მუკდენ-ხაილუნჩენის გზების შესახებ. გაზეთის სიტყვით, ჩინეთს განზრახვა აქვს მანჯურია და მონღოლეთი გარეშე მსოფლიოსთან დააკავშიროს საკუთარი გზებით. პეკინის გზათა მიმოსვლის სამინისტროს სურს გააუქმოს კონვენცია იაპონიასთან. გაზეთი აცხადებს, რომ იაპონია მიიღებს ისეთ ზომებს, რომლებიც ჩინეთს აიძულებს შეიგნოს, თუ რას ნიშნავს მისი „ცდა მიმართოს ძალადობას ყველაზე უფრო მომთმენი და მეგობრულად განწყობილი მეზობლის მიმართ" (ადს).

მასიური დემონსტრაცია

ბერლინი, 8 აპრილი. ფრონტელების წითელ კავშირის ჯგუფების ხელმძღვანელთა კონფერენციამ დაადგინა, საარჩევნო აგიტაციის მიზნით 15 აპრილს მოაწყოს მასიური მანიფესტაცია ლიუსტგარტენში და აგრეთვე დემონსტრაციის მსვლელობა მთელი ბერლინის ქუჩებში.

საარჩევნო კამპანიის მომზადების გაძლიერების მიზნით წითელ ფრონტელების კავშირის ცეკამ 27 მაისისათვის გადადო კავშირის წევრთა „შეხვედრის დღე" (ადს).

მემაღაროეთა მემარცხენე ფრთის კონფერენცია

ნიუ-იორკი, 8 აპრილი. მემაღაროეთა პროფკავშირის მემარცხენე ფრთის კონფერენციამ პიტსბურგში აირჩია ალმასკომი პროფმოძრაობის ცნობილ მოღვაწე ბროფის თავმჯდომარეობით. ალმასკომი მოუწოდებს მემაღაროეთა პროფკავშირის ყველა წევრებს არ განახორციელონ გადაწყვეტილება მემარცხენე ფრთის გამორიცხვის შესახებ კავშირიდან, რომელიც გაატარა მემაღაროეთა პროფკავშირის ეხლანდელმა რეაქციონურმა თავმჯდომარემ ლიუისმა. (ადს).

ჰამბურგის მელითონეთა გაფიცვა

ბერლინი, 8 აპრილი. ჰამბურგის რაიონის მელითონეებმა, რომლებმაც უარჰყვეს სამედიატორო გადაწყვეტილება სამუშაო ხელფასის საკითხის გამო წარმოშობილი კონფლიქტის შესახებ, მაშინვე გამოაცხადეს გაფიცვა. გაფიცვის დაუყოვნებლივ გამოცხადება აიხსნება იმით, რომ სამედიატორო გადაწყვეტილება სავალდებულოდ იქნება გამოცხადებული სრ. გერმანიის მელითონეთა კავშირის ხელმძღვანელთა თანხმობით და დახმარებით, როგორც ეს მოხდა ჰამბურგის გემთსაშენთა მუშების გაფიცვის დროს. გაფიცულთა რიცხვი 10.000-მდე აღწევს (ადს).

კონფლიქტი შვეციის ქაღალდის მრეწველობაში

სტოკჰოლმი, 8 აპრილი გაიმართა იმ ქაღალდის ფაბრიკების მუშათა და მწარმოებელთა წარმომადგენლების თათბირი, რომელთა 60.000 მუშას 1 იანვრიდან გამოცხადებული აქვთ ლოკაუტი. საშუამავლო კომისიის პროექტი მუშებმა უარყვეს. მოლაპარაკება გრძელდება (ადს).

სტოკჰოლმი, 8 აპრილი. შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

— ქაღალდების ფაბრიკების მუშებსა და მწარმოებლებს შორის მომხდარ კონფლიქტის მომგვარებელ კომისიის მიერ მიღწეულია საბოლოო შეთანხმება. მუშაობა ქაღალდის ფაბრიკებში დაიწყება „აღდგომის" უქმეების შემდეგ (ადს).

სმიტის მოგზაურობა ამერიკაში

ნიუ-იორკი, 8 აპრილი. რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ სმიტმა დაამთავრა ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების შემოვლა. სმიტმა 18 ქალაქში გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირში არსებულ პირობებისა და ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის პერსპექტივების შესახებ.

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში სმიტმა განაცხადა, რომ საქმიანი წრეები ყველგან დიდ ინტერესს იჩენდნენ საბჭოთა ბაზრისადმი. პრესის კომენტარიები სმიტის მოხსენების შესახებ უაღრესად დადებითი ხასიათის იყო სენ-ლუისა და ბუფალოში სმიტის მოხსენებები გადაცემულ იქნა რადიოთი. სმიტი მოსკოვში აპირობს ჩამოსვლას მაისის დამდეგს(ადს).

ლათინურ ამერიკის პროფკავშირთა კონფერენცია

მოსკოვი, 9 აპრილი. დაიწყო ლათინური ამერიკის პროფკავშირთა კონფერენცია. კონფერენციაზე მონაწილეობას იღებენ ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის პროფკავშირთა წარმომადგენელნი და ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატების, ფილიპინის, პორტუგალიის, ინდონეზიის, საფრანგეთის, იტალიის რევოლიუციონური პროფმოძრაობის მუშაკები და აგრეთვე პროფინტერნის აღმასრულებლის წარმომადგენელნი.

მოხსენება ლათინური ამერიკის პროფმოძრაობის შესახებ გააკეთა ამხ. ლოზოვსკიმ, რომელმაც აღნიშნა პროფმოძრაობის ნაკლოვანებანი ლათინურ ამერიკაში: ანარქო-სინდიკალიზმის ნაშთები, სუსტი შეკავშირება და იდეოლოგიური დაბნეულება. ამხ. ლოზოვსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია გარკვეული პროგრამა კლასობრივ ბრძოლაში.

სპარსეთის საზოგადო ს მუშაოთა მინისტრის მოკვლა

თეირანი, 8 აპრილი. ლურისტანში მოჰკლეს სპარსეთის საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი აბდულა-ხან ტახმასბი, რომელიც გაგზავნილი იყო იქ იმ მიზნით, რომ მოლაპარაკება გაემართა ლურისტანის აჯანყებულებთან და თვალყური ედევნებია ხურემაბადა-ლიზფულის გზატკეცილის გაყვანისათვის. ბურუჯირდის მახლობლად აბდულა-ხან ტახმასბის თავს დაესხა აჯანყებულთა რაზმი, რომელთან შეტაკების დროსაც იგი სასიკვდილოდ დასჭრეს მუცელში. სპარსეთის მთავრობამ ბურუჯირდში გაგზავნა აეროპლანი ორი ექიმით, მაგრამ მათ დაჭრილს ველარ მიუსწრეს ცოცხალს. მოკლულის ცხედარი დასაკრძალავად იგზავნება თეირანში (ადს).

ამხ. ე. ა. ბერენსის გარდაცვალება

მოსკოვი, 9 აპრილი. 6 აპრილს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ კუჭის კიბოსაგან გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის სამხედრო და საზღვაო კომისარიატისა და სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს საგანგებო დავალებათა აღმასრულებელი ამხ. ბერენსი

ევგენი ანდრიას ძე ბერენსი დაიბადა ქ. თბილისში 1876 წ. საზღვაო კორპუსის დამთავრების შემდეგ ცოდნის გასაღრმავებლად ბერენსი მიემგზავრება გერმანიაში. 1910 წლამდე ამხ. ბერენსი ასრულებდა მეთაურის თანამდებობას სამხედრო ფლოტში. 1911 წლიდან 1914 წლამდე ის იყო სამხედრო-საზღვაო აგენტად გერმანიაში, ხოლო შემდეგ—იტალიაში. 1917 წ. ივნისში ამხ. ბერენსი დაბრუნდა იტალიიდან და დაინიშნა საზღვაო გენერალ. შტაბის უფროსის მოადგილედ და შტაბის უცხოეთის ნაწილის გამგედ. ოქტომბრის რევოლიუციის პირველი დღეებიდანვე ამხ. ბერენსი აქტიურად მუშაობს წითელ ფლოტში. ის ეკუთვნოდა იმ უპარტიო სპეციალისტების რიცხვს, რომლებიც უყოყმანოდ მიემხრნენ რევოლიუციას და რომლებმაც თავისი დიდი ცოდნა და გამოცდილება მოახმარეს მშრომელებს. 1917 წ. 14 ნოემბერს ამხ. ბერენსი დაინიშნა საბჭოთა რესპუბლიკის საზღვაო გენერალური შტაბის უფროსად და ეს თანამდებობა ეკავა 1919 წლამდე, როცა ის რესპუბლიკის საზღვაო ძალების სარდლად დაინიშნა. 1920 წ. ამხ. ბერენსი დაინიშნა სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა შემსრულებლად და ეს თანამდებობა ეკავა 1924 წლამდე. ინგლისთან დიპლომატიურ ურთიერთობის განახლების შემდეგ, ამხ. ბერენსი ინიშნება საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ატაშედ ლონდონში და ამასთანავე ერთად 1925 წლიდან სამხედრო-საზღვაო ატაშედ საფრანგეთში. 1926 წ. ამხ. ბერენსი, საბჭოთა კავშირში დაბრუნების შემდეგ, კვლავ დაინიშნა საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა აღმასრულებლად. როგორც დიდი სპეციალისტი, ამხ. ბერენსი სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოსა და სრულუფლებიან წარმომადგენლობებში მუშაობასთან ერთად უშუალო მონაწილეობას იღებდა მთელ რიგ მნიშვნელოვან საერთაშორისო კონფერენციებზე. კერძოდ განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის მე-4 სესიაში. მოსამზადებელი კომისიის მე-5 სესიაზე ამხ. ბერენსმა ვერ შესძლო გამგზავრება მძიმე ავადმყოფობის გამო.

გარდაიცვალა ამხ. ა. ა. ბოგდანოვი

მოსკოვი, 9 აპრილი. 7 აპრილს 20 საათსა და 55 წუთზე მოსკოვში გარდაიცვალა კომუნისტური აკადემიის წევრი, სისხლის გადასხმის სახელმწიფო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი, სოციოლოგი და ფილოსოფოსი ა. ა. ბოგდანოვი.

ამხ. ბოგდანოვი გარდაიცვალა მთელი ორგანიზმის მოწამვლისა და ღვიძლისა და თირკმლების მძიმე დაავადების გამო, რაც იყო სისხლის წითელი ბურთულების დაშლის შედეგი.

განსვენებულის ცხედარი გადატანილია ინსტიტუტის სხდომების დარბაზში. ცხედარის გადატანას დაესწრო ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. სემაშკო.

კომუნისტურმა აკადემიამ გამოჰყო დამკრძალავი კომისია. (ადს).

ალექსანდრე ბოგდანოვი არის ფსევდონიმი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე მალინოვსკის. განათლებით ბოგდანოვი ექიმი იყო. მას თვალსაჩინო ადგილი ეჭირა რუსეთის თანამედროვე ფილოსოფოსთა, სოციოლოგებსა და ეკონომისტებს შორის. 1904 წლიდან 1907 წლამდე ბოლშევიკური ფრაქციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო.

ა. ბოგდანოვი თავის თავს უწოდებს მარქსისტს, მაგრამ ის მეტად შორს იდგა მარქსიზმიდან ფილოსოფიის დარგში და აგრეთვე მთელ რიგ საკითხებში, საზოგადოებრივ მეცნიერებიდან.

ა. ბოგდანოვი დაიბადა 1873 წელს. მუშათა მოძრაობაში მონაწილეობას იღებდა 1890 წლიდან. მუშაობდა ტულის, მოსკოვის, ტვერის და სხვა ქალაქების სოც.-დემ. წრეებში. პარტიაში და ლიტერატურაში ცნობილი იყო შემდეგი სახელწოდებებით: ვერნერი, რახმეტოვი, რეინერტი, რიადოვოი, სისოიკა.

1901 წელს ბოგდანოვი გადასახლებული იყო ვოლოგდაში, რუსეთის სოც.-დემ. პარტიის განხეთქილების დროს, მეორე ყრილობაზე (1903 წ.) ბოგდანოვი მიემხრო ბოლშევიკებს. მან დიდ საორგანიზაციო მუშაობა ჩაატარა მესამე ყრილობის მოსამზადებლად. ბოგდანოვის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი არალეგალური ფურცლები, რომელნიც მიმართული იყვნენ მენშევიკების წინააღმდეგ. მენშევიკები მეორე ყრილობის შემდეგ ჰკარგავდნენ ყოველივე გავლენას მასში და ამიტომ სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ მესამე ყრილობის მოწვევის.

ა. ბოგდანოვმა ენერგიული მონაწილეობა მიიღო მესამე ყრილობის მუშაობაში. აქ ის გამოვიდა მოხსენებით და არჩეული იყო ყრილობის მიერ ცეკას წევრად. მესამე ყრილობის შემდეგ ბოგდანოვი პარტიამ გაგზავნა პეტერბურგში, სადაც ლ. კრასინთან და პ. რუმიანცევთან ერთად შევიდა ცეკას მუდმივ ბიუროს შემადგენლობაში, რათა მოეწყო და ეხელმძღვანელებია მასიურ პარტიულ მუშაობისათვის სრულიად რუსეთის მასშტაბით.

1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ, ეგრედ-წოდებულ „თავისუფლების დღეებში", ბოგდანოვმა სხვა პარტიულ ამხანაგებთან ერთად, გამოსცა პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი „ნოვაია ჟიზნ"- და დაიწყო მუშაობა ამ გაზეთის რედაქციაში. 1905 წელში იყო ცეკას წარმომადგენელი პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოში. 1905 წლის, 3 დეკემბერს, ბოგდანოვი დაპატიმრებულ იქნა პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად. კატორღიდან განთავისუფლეს 1906 წლის ზაფხულზე.

პარტიის მეოთხე ყრილობაზე, სტოკჰოლმში, არჩეულ იქნა ცეკას წევრად. პარტიის მეხუთე ყრილობაზე (ლონდონი, 1907 წელი) მონაწილეობას ღებულობდა როგორც ბოლშევიკების წარმომადგენელი და ხელახლა იქნა არჩეული ცეკაში და „ბოლშევიკურ ცენტრში" მაგრამ ამის შემდეგ ბოგდანოვმა დაიწყო ბოლშევიზმიდან განშორება.

უთანხმოებას ბოლშევიკებსა და ბოგდანოვს შორის ფილოსოფიურ საკითხებში წინათაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ 1905 წლის რევოლიუციამ, წინ წამოაყენა ტაქტიკის საკითხები, რომელშიაც ბოგდანოვი ეთანხმებოდა ბოლშევიკებს და ამიტომ დროებით განაგრძობდა მათთან მუშაობას.

პოლიტიკური რეაქციის წლებში აღნიშნულ უთანხმოებამ მწვავედ იჩინა თავი. ბოგდანოვი თავის ფილოსოფიურ ნაშრომებში უფრო და უფრო შორდებოდა მარქსიზმს და ამასთან ერთად კავშირს სწყვეტდა ბოლშევიკურ ტაქტიკასთან. ასე მაგალითად, 1907 წლის ივლისში ის იცავდა სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტის ტაქტიკას. ამავე ხანებში ბოგდანოვი ა. ლუნაჩარსკისა და მ. გორკისთან ერთად შეუდგა კუნძულ კაპრიზე (იტალია) პარტიულ სკოლის მოწყობას, სადაც ცდილობდა ფრაქციული ორგანიზაციის ჯგუფის შექმნას. ბოლშევიკებისაგან ჩამოშორების შემდეგ ბოგდანოვი ლუნაჩარსკის, გორკისა და მ. ნ. პოკროვსკისთან ერთად ჩაუდგა სათავეში ეგრედ წოდებულ „ვპერიოდოვცები"-ს ჯგუფს, რომელიც სცემდა თავის ორგანო „ვპერიოდ"-ს. შემდეგ ვპერიოდოვცების უმრავლესობა დაუბრუნდა პარტიას, ხოლო ბოგდანოვმა საბოლოოდ გასწყვიტა კავშირი ბოლშევიზმთან და პროლეტარიატის მასიურ მოძრაობასთან.

იმპერიალისტური ომის დროს ბოგდანოვი მობილიზაციით გაწვეული იყო ფრონტზე და მსახურობდა ექიმად. ოქტომბრის რევოლიუციაში და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ბოგდანოვს მონაწილეობა არ მიუღია. უკანასკნელ ხანებში აქტიურად მუშაობდა, როგორც სისხლის გადასხმის ინსტიტუტის ორგანიზატორი და მეთაური. ბოგდანოვმა გამოუშვა საინტერესო წიგნი ინსტიტუტის მუშაობის შესახებ: „ბრძოლა ცხოველმყოფელობისათვის".

როგორც ეკონომისტი *), ბოგდანოვი განსაკუთრებით ცნობილია წიგნით—„ეკონომიური მეცნიერების მოკლე კურსი". ეს წიგნი არაერთხელ იყო გამოცემული რევოლიუციამდე და შემდეგაც. ბოგდანოვის შემდგომ ლიტერატურულ ნაშრომებში ეკონომიურ საკითხებზე და ფილოსოფიაშიც, აშკარა გახდა, რომ ბოგდანოვის კონცეფცია შემთხვევითი ხასიათის არაა, რომ ის წარმოადგენს მარქსიზმის დამახინჯების ერთ-ერთ ნიმუშს.

მნიშვნელოვანი გადახრები ბოგდანოვის პოლიტეკონომიის წიგნში, პირველ ხანებში (1896 წ.) შეიმჩნეოდა აუხსნელ ავტორის სტილის თავისებურობით, რომელიც მიზნად ისახავდა წიგნის პოპულარულ ენით შედგენას. ამის გამო მისი ნაშრომი მოწონებული იყო მარქსისტების მიერ. მაგრამ იგივე მარქსისტები მალე იძულებული იყვნენ აღიარებინათ, რომ ბოგდანოვი შორდება მარქსიზმს სამუდამოთ.

ფილოსოფიის დარგში ბოგდანოვი ცნობილია, როგორც ემპირიომონისტურ შეხედულების წარმომადგენელი. ბოგდანოვის ემპირიომონიზმის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრეს ორთოდოქსალური მარქსიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა: პლეხანოვმა („Materjalismus militans")—სამი წერილი ა. ბოგდანოვს), ლენინმა (ვ. ილინი, „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი"), ა. დებორინმა და ლ. აქსელროდმა (ორთოდოქს.). ამავე დროს ბოგდანოვის კონცეპციამ დიდი გამოძახილი მოიპოვა ფილოსოფიურ რევიზიონისტ მარქსისტებში (ლუნაჩარსკი, ბაზაროვი, იუშკევიჩი, ვალენტინოვი, ბერმანი და სხვა).

ბოგდანოვის სოციოლოგიურ შეხედულებებმა დიდი გავლენა მოახდინა უკანასკნელი წლების განმავლობაში ოპოზიციონურ ჯგუფ „რაბოჩაია პრავდა"-ზე.

---

*) ბოგდანოვის დახასიათება, როგორც ეკონომისტის და ფილოსოფოსის, მოგვყავს ვ. სოლნცევისა და ნ. კარევის ნაწერებიდან.

რამ გამოიწვია ამხ. ბოგდანოვის სიკვდილი

მოსკოვი, 9 აპრილი. ამხ. ბოგდანოვი (მალინოვსკი) გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, რომელიც გამოიწვია სისხლის გადასხმის გაბედულმა და თავგანწირულმა ექსპერიმენტმა. ამხ. ბოგდანოვს, რომელიც ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სისხლის გადასხმის ინსტიტუტის დირექტორი იყო, ტუბერკულიოზით ახლად დაავადებულმა ორმა სტუდენტმა მიმართა თხოვნით სისხლის გადასხმის შესახებ. ერთი მათგანი წინად ავად იყო მალარიით. ბოგდანოვმა უარი სთქვა ამ ოპერაციაზე, ვინაიდან მალარიით დაავადმყოფებულთა სისხლი არაა საღი და მის გადასხმას ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება სახიფათო შედეგი მოყვეს—წითელი ბურთულების დაშლის გამო. მაგრამ ცდის მიზნით, ამხ. ბოგდანოვმა გადასწყვიტა გამოეცადა თავის თავზე მალარიკის სისხლის მოქმედება და იკისრა სისხლის დათმობა. მალარიით დაავადმყოფებულ სტუდენტს მან მისცა თავისი საღი სისხლი, რათა მისთვის გადაეცა ტუბერკულიოზისაგან თავდაცვის უნარი და მისგან კი მიიღო ავადმყოფი სისხლი.

ამხ. ბოგდანოვს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ამ სახიფათო ცდის მოსალოდნელი შედეგები და ამიტომ თავისი განზრახვა დაუმალა თავის მეუღლეს და ინსტიტუტის პასუხისმგებელ მუშაკებს. მას უვნებლად გადარჩენის იმედს უნერგავდა ის გამოცდილება, რომელიც მას ჰქონდა მიღებული სისხლის მცირე რაოდენობის გადასხმის ცდების დროს. მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. მალარიით დაავადმყოფებულისაგან დიდი რაოდენობით მიღებულმა სისხლმა გამოიწვია მთელი ორგანიზმის მოწამვლა, ღვიძლისა და ჭაჭების დაზიანება და სიკვდილი. (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ამხ. მიქოიანი ბაზრის მდგომარეობის შესახებ

მოსკოვი, 9 აპრილი. საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფესიონალურ კავშირის სრულიად საკავშირო ყრილობაზე ამხ. მიქოიანმა ვრცელი მოხსენება გააკეთა ბაზრის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი განსაკუთრებით შეჩერდა ზოგიერთ პროდუქტების ნაკლებობის შესახებ, რომელიც უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ პროდუქტების დამზადება წინანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა, ბაზარი მაინც განიცდის ამა თუ იმ პროდუქტების დროგამოშვებით ნაკლებობას. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ მოსახლეობის მოთხოვნილება მასიურ მოხმარების პროდუქტებზე მნიშვნელოვნად და სწრაფად გაიზარდა, რასაც ხელი შეუწყო ერთი მხრივ ფართე მასების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებამ, ხოლო მეორე მხრივ ჩვენ მიერ ჩატარებულ ფასების დაკლებამ.

მიუხედავად იმისა, რომ ბაზარი განიცდის ზოგიერთ პროდუქტების ნაკლებობას, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ვერ ახდენს გავლენას ფასების ზრდაზე, რადგან კოოპერაცია და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოები ყოველნაირად ცდილობენ ფასები ერთ დონეზე შეინარჩუნონ.

მიმდინარე წლის გაზაფხულის თვეებში განზრახულია მთელ რიგ საქონელზე ჩატარებულ იქნას ფასების ახალი დაკლება.

ა. ბოგდანოვის გარდაცვალების გამო

გვამის გაკვეთა

მოსკოვი, 9 აპრილი. დღეს გაკვეთილ იქნა თავგანწირულ საექსპერიმენტო ოპერაციის გამო გარდაცვლილ სისხლის გადამსხმელ ინსტიტუტის დირექტორის ალექსანდრე ბოგდანოვის გვამი.

საექიმო კომისიის დასკვნით სიკვდილი გამოწვეულია ურემიით (ჭაჭების მოქმედების შეჩერება, შარდისა და სხვა მავნე ნივთიერებათა გამოყოფის შეწყვეტა და ამის გამო ორგანიზმის მოწამვლა).

ა. ბოგდანოვის კუბოსთან

მოსკოვი, 9 აპრილი. ა. ბოგდანოვის ტრაგიკულად გარდაცვალებამ დიდი მწუხარება გამოიწვია მეცნიერებისა და ძველ პარტიულ წრეებში. მიცვალებულის კუბოსთან განუწყვეტლად დგას გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეთა და მეცნიერთა საპატიო ყარაული. გუშინ სხვებთან ერთად საპატიო ყარაულში იდგა ამხ. ლუნაჩარსკი და რიაზანოვი.

მოსკოვის გაზეთები ბოგდანოვის შესახებ

მოსკოვი, 9 აპრილი. მოსკოვის ყველა გაზეთებმა უძღვნეს დღეს წერილები გარდაცვლილ ა. ბოგდანოვის ხსოვნას. „პრავდა"-ში მოთავსებულია ამხ. ნ. ბუხარინის წერილი ბოგდანოვის წარსულ დამსახურების შესახებ.

გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ა. ბოგდანოვს დიდი დამსახურება მიუძღვის ბოლშევიკური პარტიის შექმნაში.

გვამის გადასვენება კრემატორიუმში

მოსკოვი, 9 აპრილი. გადაწყვეტილია ბოგდანოვის გვამის კრემაცია. ცხედრის გადასვენება მოსკოვის ქალაქის კრემატორიუმში მოხდება 10 აპრილს.

საქართველოს დელეგატი სავაჭრო მუშაკთა თათბირზე

მოსკოვი, 9 აპრილი. სავაჭრო დარგის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე ადგილობრივ მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სავაჭრო დარგის მუშაკთა წარმომადგენელი, რომელმაც აღნიშნა, რომ ხაზმა და სავაჭრო დარგის მუშაკთა საქართველოს პროფესიონალური კავშირის ცენტრალური გამგეობა კონტაქტურად მუშაობს სავაჭრო მუშაკთა სექციასთან და ყოველნაირად ხელს უწყობს სექციის მუშაობის განვითარებას.

სავაჭრო მუშაკთა მნიშვნელოვან ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ არ ხდება მუშაობაში მიღებულ გამოცდილების ერთმანეთისათვის გაზიარება.

პირველი მუშური თეატრი

მოსკოვი, 9 აპრილი. მოსკოვის პროფკავშირთა საგუბერნიო საბჭოს თეატრს შეუსრულდა დაარსებიდან ხუთი წელი. გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ დიდ დამსახურებას, რომელიც მიუძღვის წარსულ ხუთი წლის განმავლობაში ემგესპსის თეატრს (შემოკლებული სახელწოდება). კრიტიკოსები ემგესპსის თეატრს უწოდებენ პირველ მუშურ თეატრს.

ხუთი წლის შესრულების გამო თეატრს მისალმება გაუგზავნა ამხ. სოლცმა, მანდელშტამმა და სხვებმა.

ღამის ცნობები

თავდასხმა ტიროლის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარეზე

ვენა, 8 აპრილი. ტიროლიდან იუწყებიან, რომ იენბახში თავს დაესხნენ ტიროლის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე რეიტლინგერს. თავდამსხმელმა ისროლა ყუმბარა. რეიტლინგერი უვნებლად გადარჩა. თავდამსხმელმა მოახერხა მიმალვა. (ადს).

საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესია

მოსკოვი, 8 აპრილი. საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესია გაიხსნება 11 აპრილს. დღის წესრიგი: საბჭოთა კავშირის და აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტი 1927-28 წლისათვის,—საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს მოხსენება—მომხსენებელი ამხ. ბრიუხანოვი, საბჭოთა კავშირის ცაკის საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება,—მომხსენებელი ამხ. შმიდტი. საბჭოთა კავშირის—1925-26 წლის ერთიანი სახელ. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის და აგრეთვე იმავე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების რევიზიის შედეგების დამტკიცება,—მომხსენ. ამხ. ვაინშტაინი, ერთიანი სასოფლო გადასახადი,—მომხსენებელი ამხ. კალინინი, და ფრუმკინი, სესიის და სესიას შუა მიღებულ მთავრობის დადგენილებათა დამტკიცება,—მომხსენებელი ამხ. ა. ენუქიძე. (ადს).

უსაფუძვლო პრეტენზია

ნიუ-იორკი, 8 აპრილი. მთელი პრესა თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებს ცნობას საბჭოთა ოქროს უკან გაგზავნის შესახებ. ის ფაქტი, რომ საფრანგეთის ბანკი წინ არ აღუდგა საბჭოთა ოქროს უკან გაგზავნას,— გაზეთების აზრით, მოწმობს ამ ბანკის პრეტენზიების სრულ უსაფუძვლობას. (ადს).

ამანულა პარიზში

ბერლინი, 8 აპრილი. პარიზში ჩამოვიდა ავღანისტანის ფადიშაჰი ამანულა. (ადს).

ი. ვარსკაიას გარდაცვალება

ვარშავა, 8 აპრილი. გუშინ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა იადვიგა ვარსკაია კომუნისტ-დეპუტატის ვარსკის ცოლი, 90-იან წლების მუშათა მოძრაობის პიონერი. (ადს).

დამოუკიდებელ მუშათა პარტიის კონფერენცია

ლონდონი, 8 აპრილი. გუშინ ნარვიჩში გაიხსნა დამოუკიდებელ მუშათა პარტიის კონფერენცია. აღმასკომის მოხსენებაში არაფერია ნათქვამი ინგლისის კაპიტალიზმის მდგომარეობაზე, არც ინგლისის მუშათა მოძრაობაზე, „იმპერიალიზმის და კოლონიალურ ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლ ლიგის“ მიმართ, პარტიის დამოკიდებულების შესახებ. აღმასკომი ცნობად და სახელმძღვანელოდ ღებულობს მეორე ინტერნაციონალის დადგენილებას, რომლის თანახმად მეორე ინტერნაციონალში შემავალ არც ერთ პარტიას არ შეუძლია შევიდეს „იმპერიალიზმის და კოლონიალურ ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლ ლიგაში“.

„დიდი ყურადღება ექცეოდა მიმდინარე წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის და ჩინეთის საერთაშორისო მდგომარეობას,— ნათქვამია შემდეგ მოხსენებაში—„ახალი კრიზისების ნიშანი ამ საკითხში არ ჩანს, მაგრამ ამ ქვეყნებზე თავდასხმის საშიშროება კვლავ არსებობს და პარტიაც ვალდებულია ისევ ფხიზლად იყოს. მიუხედავად დელეგატების მიერ მკაცრი გაკრიტიკებისა, აღმასკომის მოხსენება მაინც მიღებულ იქნა. (ადს).

ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობის გარშემო

ეგვიპტე თავისუფლებათა სადარაჯოზე

ლონდონი, 8 აპრილი. ქაირიდან მიღებული ცნობებით, ეგვიპტის პრემიერმა მუსტაფა ნაჰას ფაშამ პარლამენტში განაცხადა, რომ ეგვიპტის მთავრობა კვლავ სდგას ეგვიპტის დაცვის თვალსაზრისზე (ადს).

თავდასხმა კომკავშირლებზე

ბერლინი, 8 აპრილი. გერმანიის კომკავშირმა ხემნიცში მოაწყო „კომუნისტურ ხალგაზ. შეხვედრა“. ახალგაზრდა კომუნისტებმა, რომლებიც გერმანიის ყველა კუთხეებიდან ჩამოვიდნენ, მოაწყვეს დემონსტრაცია. პოლიცია თავს დაესხა დემონსტრანტებს და შეეცადა გაეფანტა ისინი. დემონსტრანტებთან შეტაკების დროს პოლიციამ დაიწყო სროლა. სროლის დროს დასჭრეს 12 დემონსტრანტი.

გემ „სოვეტ“-ის ავარია

ბერლინი, 8 აპრილი. საბჭოთა გემი „სოვეტი“ ნისლის გამო წააწყდა წყალქვეშა კლდეს. „სოვეტის“ დასახმარებლად კილის ნავთსადგურიდან გაიგზავნა მაშველი გემი (ადს).

თბილისის საბჭოს სექციებში

ელექტრო-ენერგიით სარგებლობის მოწესრიგება

გუშინ, საღამოს თბილისის საბჭოს კომუნალურმა სექციამ განიხილა საკითხი ზაჰესის ელექტრო-ენერგიით სარგებლობის შესახებ. მოხსენებით გამოვიდა თბილისის ელექტრო-ნაგებობათა სამმართველოს მთავარი ინჟინერი, რომელმაც სექციას გააცნო ელექტრო-ენერგიით სარგებლობის ახალი წესების პროექტი.

კამათისა და მცირეოდენ ცვლილებების შემდეგ კომუნალურმა სექციამ მიიღო სავალდებულო წესების პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება თბილისის საბჭოს.

კერძო ვაჭართა დაბეგვრა

საფინანსო სექციის გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა მე-4 და მე-6 უბნების ფინ-ინსპექტორთა საანგარიშო მოხსენებები. მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ კერძო ვაჭართა, განსაკუთრებით კი, ფეხზე მოვაჭრეთა შემოსავლის გადასახადებით დაბეგვრა არ ხერხდება იმ რაოდენობით, როგორც გეგმით არის გათვალისწინებული. ამ გარემოების მიზეზი ის არის, რომ შეუძლებელი ხდება სისწორით აღრიცხვა კერძო მოვაჭრეების შემოსავალ-გასავლისა, რადგან ვაჭრების დიდ ნაწილს არ მოეპოვება წესიერი ანგარიშ-წარმოება. ბაზრის საკონიუნქტურო მიმოხილვა კი ამტკიცებს, რომ კერძო ვაჭრობის ბრუნვა ბაზარზე გაცილებით მეტია იმ თანხაზე, რომელიც ნამდვილად იბეგრება. ამგვარად, სრულიად უსაფუძვლოა ის საჩივრები, რომელიც კერძო ვაჭრებისაგან შემოდის იმის შესახებ, თითქოს ისინი ზომაზე მეტად იბეგრებოდნენ, საჭიროა განსაკუთრებული ღონისძიების გამომუშავება იმისათვის, რომ სისწორით ხდებოდეს კერძო ვაჭრობის შესავალ-გასავლის აღრიცხვა და ამის მიხედვით გადასახადების კანონიერი განაწილება.

თბილისის სანიტარული მდგომარეობა

ჯანმრთელობის სექციის გუშინდელ სხდომაზე თბილისის სანიტარული მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ექ. წერეთელმა. მიუხედავად იმისა,—განაცხადა მომხსენებელმა,—რომ ქალაქი თბილისი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და კლიმატიური პირობებით იშვიათ ჯანმრთელ და სალ ადგილს წარმოადგენს, მიუხედავად ამისა,—ქალაქში ხშირია ეპიდემიური და ინფექციური ავადმყოფობანი. ამ გარემოების მიზეზი ის არის, რომ ქალაქის სანიტარული ცხოვრება და მისი კეთილმოწყობა ვერ არის მოწესრიგებული. ქუჩების და მოედნების დიდი ნაწილი მოუკირწყლავია. მთელი უბნები მოკლებულია ქვაფენილებს. ბაზრები და სავაჭრო მოედნები ანტი-ჰიგიენურ მდგომარეობაში იმყოფებიან. ბაღებისა და მწვანე ადგილების რიცხვი ქალაქში განსაზღვრულია, ქუჩების ნაგვისა და მტვერისაგან გაწმენდა ყველა რაიონებში მოგვარებული არ არის, სადეზინფექციო ბაზას არ მოეპოვება იზოლიატორები. ერთი სიტყვით ქალაქის სანიტარული მდგომარეობა მოითხოვს ჯანმრთელობის განყოფილების განსაკუთრებულ ყურადღებას. საჭიროა ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის ყოველმხრივ შესწავლა და სათანადო ღონისძიების მიღება მის გასაჯანსაღებლად.

პოლიტგანათლების საქმის გასაუმჯობესებლად

განათლების სექციის გუშინდელ სხდომაზე მიღებულ იქნა პრაქტიკული წინადადებანი პოლიტგანათ. მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტების მიმართ სექცია საჭიროდ სცნობს პროგრამის განტვირთვას და გადასინჯვას, მასწავლებელთა შემადგენლობის გაუმჯობესებას ა. ს. ქალაქ-საფაბრიკო კომიტეტების მეთვალყურეობის გაძლიერებას სალიკვიდაციო პუნქტებზე და სხ.

წიგნ-საცავ სამკითხველოების მიმართ,—სექცია საჭიროდ სცნობს მიღებულ იქნეს ზომები იმისათვის, რომ წიგნთ-საცავები უფრო რაციონალურად ემსახურონ მკითხველ მასას. ამისათვის საჭიროა განაპირა უბნებში წიგნთსაცავებმა იმუშაონ საღამოობით, კერძოდ, რუსთაველის ბიბლიოთეკა საჭიროა შეუფარდდეს ბავშვთა საჭიროების დაკმაყოფილებას. სექციას მიზანშეწონილად მიაჩნია აგრეთვე საწინდრების სისტემა წიგნთსაცავებში შემოღებულ იქნეს საქალაქო-საფაბრიკო კომიტეტის თავდებობით. სექცია საჭიროდ სთვლის მოეწყოს მოძრავი ბიბლიოთეკები და ყველა წიგნსაცავ სამკითხველოებში შემოღებულ იქნეს საწარმოო თათბირები. სექციის აზრით, აუცილებელია წიგნთ-საცავებს შემდეგისათვის გაუდიდდეს დოტაცია.

მუზეუმების მიმართ სექცია წინადადებას იძლევა, რომ მუზეუმი გადატანილ იქნეს უფრო მშრალ, ნათელ და ვრცელ შენობებში, მას საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე მუზეუმებს გაუდიდდეს დოტაცია. რაც შეეხება მუშათა თეატრს, სექცია მიზანშეწონილად სცნობს, რომ თეატრთან მოეწყოს სამხატვრო საბჭო.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმში

გუშინ, დღის 1 საათზე ამხ. ვ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

ახალი ქარხნები

ადგილობრივ მრეწველობის განყოფილების წარმომადგენელმა სხდომას წარუდგინა ხის დამამუშავებელ და ლუდის ახალი ქარხნების აგების პროექტი. ამ პროექტების მიხედვით განზრახულია თბილისში აგებულ იქნეს ხის დამამუშავებელი და ლუდის დამამზადებელი დიდი ქარხნები. ქარხნები მოწყობილი იქნება ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით. ქარხნებისათვის საჭირო მოწყობილობა დამზადებული იქნება საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებში.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ სხდომამ დაამტკიცა ორივე ქარხნის პროექტები.

უმწეო ბავშვთა დასახმარებლად

შემდეგ ბავშვთა კომისიის მუშაობისა და საერთოდ უმწეო ბავშვთა დახმარების საქმის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ქაცარავამ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ თბილისში ბავშვთა უმწეობასთან საბრძოლველად ბავშვთა კომისიის გარდა მუშაობას აწარმოებს ბავშვთა დამხმარე საზოგადოება, რომელსაც ამჟამად ყავს 9000 წევრი, რაიონებში მოწყობილი აქვს რაიონული საბჭოები და 50 უჯრედი.

ბავშვთა დამხმარე კომისია დახმარებას ღებულობს საქ. ცაკიდან და თბ. აღმასკომიდან. გარდა ამისა თავის საშუალებების გასაძლიერებლად აწყობს ლატარიას, ბავშვთა დამხმარე სამდღიურების და ბავშვთა დახმარების საქმესვე ახმარს საზოგადოების წევრთაგან შემოსულ საწევრო გადასახადს. გარდა ამისა საზოგადოებას გახსნილი აქვს საკუთარი საკომისიო ორი მაღაზია ბავშვთა დახმარების ფონდის გასაძლიერებლად.

უმწეო ბავშვთა დასახმარებლად მოწყობილია ბავშვთა თავშესაფარი ვაკეში და სოფ. ვაშლოვანში. პირველში ირიცხება 52 უპატრონო ბავშვი, ხოლო მეორეში—63.

სხდომამ დაადგინა ბავშვთა უმწეობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად ჯანმრთელობის და განათლების სექციებში გაკეთებული იქნეს შესაფერი მოხსენებები; მიღებული იქნეს ზომები უმწეო მოზრდილ ბავშვთა წარმოებებში შეგირდებათ მისამაგრებლად; გაძლიერებული იქნეს საქმით დახმარება საბავშვო დაწესებულებებში; საბავშვო დაწესებულებები განთავისუფლებული იქნეს კომუნალური გადასახადისაგან და მიღებული იქნეს აგრეთვე ზომები, რათა მოწაფეობამ აქტიური მონაწილეობა მიიღოს უმწეო ბავშვთა დახმარების საქმეში და სხ.

შემდეგ არჩეულ იქნა ბავშვთა დამხმარე კომისიის პრეზიდიუმი ამხ. ვ. ბოლქვაძის, ივანოვ კაკახიელის, ხმალაძის, ქაცარავას, შულგინას და ბეჟიანის შემადგენლობით.

დაჯილდოვებული სექციები

დასასრულ, მოსმენილ იქნა ამხ. აკოფოვის საინფორმაციო მოხსენება დაჯილდოებულ სექციების—კომუნალურ და განათლების—წევრების საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში მივლინების შესახებ. სხდომამ დაადგინა ლენინგრადსა და მოსკოვში ჯამაგირის შენახვით ერთი თვით მივლინებული იქნან როგორც აქტიური წევრები, კომუნალურ სექციიდან: ამხ. სოლომონ დოლიძე, მელიტონ აბულაძე და არტემ დონდუაშვილი; განათლების სექციიდან—მიხეილ ჯინორიძე და მირზა მირზოიანი.

ამას გარდა საორგანიზაციო განყოფილებას უფლება მიეცა მიავლინოს კიდევ აქტიური წევრები სხვა სექციებიდანაც—1 მუშა და 1 მუშა ქალი.

საქ. ინვალიდთა კოოპერატ. არტელების რწმუნებულთა პირველი ყრილობა

საინვალიდო კოოპერაციის ორგანიზაციული მშენებლობა

მეორე დღის სხდომაზე საინვალიდო კოოპერაციის ორგანიზაციული მშენებლობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ათაბეგოვ-ტუმანმა,—საინვალიდო კოოპერაციამ,—ამბობს იგი,—საერთო მეურნეობაში უნდა გამონახოს თავისი საკუთარი ადგილი. საინვალიდო კოოპერაცია არ უნდა გახდეს კოოპერაციის სხვა დარგების (სამომხმარებლო, სასოფლო-სამეურნეო, სარეწაო კოოპ.) პარალელურ და მოქიშპე ორგანიზაციად, არამედ თავისი მუშაობა შეუთანხმოს მათ, გააძლიეროს საერთო მუშაობა ინვალიდთა კოოპერაციაში შესაკავშირებლად, დაეხმაროს კოოპერაციის სხვა დარგებს კერძო ვაჭრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომლის დამთავრების შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ღონისძიებები საინვალიდო კოოპერაციის საორგანიზაციო მშენებლობის გასაძლიერებლად.

საინვალიდო კოოპერატივთა კავშირის გამგეობა

რეზოლიუციის მიღების შემდეგ ინვალიდთა კოოპერატ. კავშირის გამგეობაში ყრილობამ აირჩია შემდეგი ამხანაგები: ნ. ათაბეგოვ-ტუმანი, მ. ახალაძე, ზ. ბესტავაშვილი, ს. ლექვთაძე დოლიძე; კანდიდატებად: მატრონა ქურიძე, გ. შარიქაძე.

სარევიზიო კომისიაში არჩეული არიან—ვ. გაგნიძე, ლ. ტუხაშვილი და რამპეოპულო.

ყრილობის უკანასკნელი სხდომა დახურა ამხ. კ. ხომერიკმა, რომელმაც ახალ კოოპერატ. კავშირს უსურვა ნაყოფიერი მუშაობა.

სამ. კ. პ. (ბ) ცკას ცირკულიარები ადგილობრივ ორგანიზაციებს

ვემზადოთ პირველი მაისისათვის

წელს პირველი მაისის დღესასწაულმა უნდა წარმოადგინოს: საბჭოთა კავშირის მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობის განმტკიცება დასავლეთ ევროპის პროლეტარიატთან და აღმოსავლეთის დაჩაგრული ერების რევოლიუციონურ მოძრაობასთან, აგრეთვე ყურადღების გაძლიერება საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის მიმართ.

პირველი მაისის დღესასწაულს უნდა მიეცეს რევოლიუციონური ბრძოლის დღესასწაულის ხასიათი; მის მომზადებასა და ჩატარებაში უნდა ჩაებან მშრომელთა ფართო მასები.

დღესასწაულის ჩასატარებლად პროფკავშირებისა და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თავმჯდომარეობით უნდა დაარსდეს კომისიები, რომლებშიაც მონაწილეობას მიიღებენ პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა და არმიის ორგანოები, მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებანი, პოლიტგანათლების სამმართველოები, მოხალისე საზოგადოებანი (რუმედისა, [illegible] საზოგადოება, ავიაქიმის ხელშემწყობი საზოგადოება).

სოფლად სასოფლო საბჭოების წარმომადგენელთა თავმჯდომარეობით მოეწყოს სასოფლო კომისიები, რომლებშიაც მონაწილეობას მიიღებენ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, მოხალისე საზოგადოებანი, უპარტიო გლეხები და მათი ცოლებ-დელეგატები.

20 აპრილიდან 1 მაისამდე უნდა მოეწყოს მოხსენებანი და საუბრები კლუბებში, გლეხთა სახლებში, სკოლებში, ქოხ-სამკითხველოებში, სახალხო სახლებში და სხვ.

მოხსენებასა და საუბარში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ძირითად საკითხებს:

1) პირველი მაისი, როგორც პროლეტარიატის საერთაშორისო დღე.

2) მუშათა საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობის მდგომარეობა და მისი ამოცანები.

3) კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მთავარი ამოცანები (ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია და კულტურული რევოლიუცია).

29 ან 30 აპრილს, ადგილობრივი პირობების მიხედვით, მოეწყოს მაისობა მშრომელთა ფართო ფენების მონაწილეობით.

1 მაისს ქალაქად უნდა მოეწყოს მუშებისა და მოსამსახურეების დემონსტრაციები, რომლებშიაც მონაწილეობას მიიღებენ წითელი არმიის ნაწილები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, მოწაფეები, ფიზკულტურის ორგანიზაციები, პიონერთა ორგანიზაციები, ბავშვთა და მახლობელ სოფლების გლეხები მოხალისე საზოგადოებანი და სხვ.

სასურველია, რომ დემონსტრაციებთან ერთად მოეწყოს ფეიერვერკი, ცოცხალი სურათები, მასიური სცენები და სხვ.

საღამოთი გაიმართოს უფასო წარმოდგენები კლუბებსა, თეატრებსა და კინოებში.

სოფლად—პროცესიები, მიტინგები, ფეიერვერკი, მასიური ხალხური თამაშობანი—ლელობა, ჭიდაობა, ხალხური მომღერალი გუნდების გამოსვლა და სხვ.

საღამოთი—ქოხ-სამკითხველოებში, სახალხო სახლებსა და სკოლებში გაიმართოს მხატვრული სანახაობანი (წარმოდგენა, რევოლიუციონური დეკლამაცია, ცოცხალი გაზეთი, ინსცენირება და სხვ.).

ცენტრალურმა და ადგილობრივმა პრესამ, აგრეთვე კედლის გაზეთებმა უნდა გააშუქონ 1 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებული საკითხები.

ცენტრალურმა ორგანიზაციებმა (პროფსაბჭომ, კომკავშირის ც. კ.-მა, მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებამ, განათლების სახ. კომისარიატმა, რუმედამ, ავიაქიმის ხელშემწყობმა საზოგადოებამ და სხვ.) თავისი ხაზით დაწვრილებითი დირექტივები უნდა გადაუგზავნონ ადგილობრივ.

ც. კ.-ის მდივანი ვ. ჟურულაშვილი.

აგიტპროპგანყოფილების გამგე ს. მამულია.

ვებრძოლოთ ბავშვთა უპატრონობას

საქ. კომპ. (ბ) თბ. კომ. და სამაზრო კომიტეტებს და რაიკომებს

იმპერიალისტურმა ომმა (1914—1917 წ.) და სამოქალაქო ომმა (1918—1921 წ.), რომელიც კაპიტალისტებმა და მემამულეებმა მოახვიეს თავზე საბჭოთა ქვეყნის მუშებსა და გლეხებს, მილიონობით შეიწირა ადამიანთა სიცოცხლე და მემკვიდრეობად დაგვიტოვა მილიონამდე უპატრონო ბავშვი.

უპატრონო ბავშვები დაეხეტებოდნენ საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხეებში, ისინი დღისით თავშესაფარს მოუძებნიდნენ რკინისგზის სადგურებზე, შენობების კიბეებზე, დიდი ქალაქების ბაღებში და ტროტუარებზე, და ლუკმა პურს შოულობდნენ მათხოვრობით.

ჩვენს პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებინა უპატრონო ბავშვები.

მოეწყო რამოდენიმე ათასი ბავშვთა სახლი, კოლონია, თავშესაფარი და სხ., რომლებშიაც მოთავსებულ იქნა აუარებელი უპატრონო ბავშვი. მაგრამ თავშესაფარის გარეშე დარჩა უპატრონო ბავშვების საკმაოდ დიდი რაოდენობა (300.000-მდე ბავშვი მთელ საბჭოთა კავშირში). ეს უპატრონო ბავშვები ჩვენ გვხვდება ქალაქებში, რკინის გზის სადგურებზე და სოფლებში.

ეხლა, როცა ჩვენი სახელმწიფო მნიშვნელოვნად განმტკიცდა სამეურნეო მდგომარეობის მხრივ და ამ ნიადაგზე დაადგა ფართო გზას შემდგომი წინსვლისათვის სოციალისტური მშენებლობის გზაზე, დაუშვებელია უპატრონო ბავშვების არსებობა.

ჩვენმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ მტკიცედ გადასწყვიტეს ამ წელშივე მოსპონ სავსებით ბავშვთა უპატრონობა.

თავშესაფარისა და აღზრდის მიცემა უპატრონო ბავშვებისათვის—ჩვენი პრაქტიკული ამოცანაა.

ამ ამოცანის შესასრულებლად საკმაო არ არის მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების ძალღონე და საშუალებანი. აქ საჭიროა ყველა სახელმწიფო, პროფესიონალური, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობის დახმარება.

საქართველოს ცაკთან არსებული ბავშვთა კომისიის სამდღიური (ა. წ. 22, 23 და 24 აპრილი) მიზნად აქვს გააძლიეროს ფონდი ბავშვთა უპატრონობის ლიკვიდაციისათვის.

ამიტომ ცეკას პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტს, საოლქო კომიტეტებს, სამაზრო კომიტეტებს, რაიკომებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა უპატრონო ბავშვთა სამდღიურის ჩატარებაში, სამდღიური დანიშნულია ვ. ი. ლენინი—ბავშვთა საუკეთესო მეგობარის, დაბადების დღეს.

სამდღიურის ჩატარებაში ჩაბმულ იქნება ყველა პარტიული, კომკავშირული, ქალთა, პროფკავშირთა, საბჭოთა, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და აგრეთვე ქალაქისა და სოფლის მთელი აქტივი.

სამდღიურის ჩატარების ხელმძღვანელობისათვის დაარსებულია ცენტრალური კომისია საქართველოს ცაკის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით.

ასეთივე კომისიები უნდა შეიქმნას ადგილობრივ ცენტრ. აღმას. კომიტეტების და სამაზრო კომიტეტების თავმჯდომარეების თავმჯდომარეობით. კომისიებში უნდა შედიოდნენ: კომპარტიის (ბ), ახალგ. ლენ. კომკავშირის, პროფორგანიზაციების, განათლების განყოფილებათა, პოლიტგანათლების, არმიის ნაწილების, ბავშვთა კომისიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

სამდღიური ჩატარებულ უნდა იქნას ცენტრალური კომისიის მიერ დაგზავნილი გეგმისა და დირექტივების მიხედვით.

მოხსენებანი სამდღიური მიზნებისა და ამოცანების შესახებ სამდღიურის დაწყებამდე წაკითხულ უნდა იქნას პარტიულ და კომკავშირთა უჯრედებში, საბჭოების ღია კრებებზე, დელეგატ-ქალთა კრებებზე, სკოლებში, კლუბებში, ქოხ-სამკითხველოებში და სხ.

ცენტრალურმა და ადგილობრივმა პრესამ, და აგრეთვე კედლის გაზეთებმა უნდა გააშუქონ სამდღიურის მიზნები და ამოცანები, ბავშვთა უპატრონობის მიზეზები და ღონისძიებანი უპატრონობის მოსასპობად.

ყველა ცენტრალურმა ორგანიზაციებმა (ახალგ. ლენ. კომკავშირის ცეკამ, მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებამ, საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ, განათლების სახალხო კომისარიატმა, პოლიტგანათლების მთავარმა სამმართველომ და სხ.) უნდა გასცენ დირექტივა თავისი ხაზით.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი ვ. ჟურულაშვილი.

აგიტპროპგანყოფილების გამგე ს. მამულია.

მედსანშრომის მუშაკთა საქალაქო კონფერენცია

კვირას, 8 აპრილს დაიხურა მედსანშრომის მუშაკთა თბილისის საქალაქო კონფერენცია, რომლის მუშაობაც გაგრძელდა ორი დღე. კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა მედსანშრომის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. ცირლინმა, რომელიც გამოგზავნილი იყო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში მედსანშრომის მუშაკთა კავშირების საქმიანობის გამოსაკვლევად. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მედსანშრომის მუშაკთა კავშირი ერთ-ერთ უძლიერეს და საუკეთესო ორგანიზაციათ ითვლება მთელ საბჭოთა კავშირში. გამოკვლევებმა, მომხსენებლის გადმოცემით, დაადასტურა, რომ გასულ წელთან შედარებით კავშირის მუშაობა გაუმჯობესდა.

კოლხელშეკრულებების დადების კამპანიის შედეგების შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა კავშირის მდივანმა ამხ. ვ. ანდღულაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ამჟამად კოლხელშეკრულებების დადება დასრულებულია, როგორც სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე, ისე სამეურნეო ანგარიშზე მყოფ დაწესებულებებთან. სულ კოლხელშეკრულებები ვრცელდება დაახლოებით 7.000 წევრზე. კოლხელშეკრულებების განხილვის კამპანიაში მონაწილეობა მიიღო კავშირის 3.542 წევრმა ანუ კავშირის ყველა წევრთა 75 პროცენტმა.

პარტიული ცხოვრება

შორდებიან ტროცკისტულ ოპოზიციას

მოსკოვი, 9 აპრილი. ამ ცოტა ხნის წინად მიღებულ იქნა ამხ. ანტონოვ-ოვსეენკოს წერილი ამხ. სტალინის სახელზე და ამხ. კრესტინსკის წერილი ამხ. იაროსლავსკის სახელზე. ამ წერილებში ისინი კავშირს სწყვეტენ ტროცკისტულ ოპოზიციასთან.

ა. ა. ანტონოვ-ოვსეენკოს წერილი

პატივცემულო ამხანაგო! ჩემი მიმართვა პოლიტბიუროსადმი 28 ოქტომბრის თარიღით, ისევე როგორც ამ მიმართვის დანართი—წერილი ამხ. ტროცკისადმი,—შეიცავდა არა მარტო განცხადებას იმის შესახებ, რომ მე ვეთანხმები ცეკას უმრავლესობის ძირითად პოლიტიკურ ხაზს და ვგმობ ოპოზიციის ბრძოლას პარტიის წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე განცხადებას იმის შესახებ, რომ მე არ ვეთანხმები ცეკას საორგანიზაციო პოლიტიკას. მას შემდეგ მოხდა ამბები, რომლებმაც მაიძულა მე გადამეთვალიერებია უკანასკნელი საკითხი და მე მივედი საბოლოო დასკვნამდე, რომ ცეკას პოლიტიკას მე სავსებით ვიზიარებ საორგანიზაციო საკითხშიაც.

1923 წლის დეკემბერში თქვენთან საუბარის შემდეგ მე მივემხრე ოპოზიციის და გავიწყვიტე შინაპარტიულ ბრძოლაში ჩარევა ოპოზიციასთან ერთად. სწორედ ამის შემდეგ მე პოლიტბიუროში გავგზავნე დაუშვებელი მკაცრი წერილი, რომელშიაც პოლიტბიუროს უმრავლესობას ბრალს ვსდებდი პარტიის გამთიშველ პოლიტიკაში და სხვ. უწინარეს ყოვლისა სწორედ თქვენ უნდა გითხრათ, რომ ეხლა ჩემთვის ნათელია, თუ რამდენად სწორი იყო თქვენი დამოკიდებულება ამხ. ტროცკისა და მისი პოზიციისადმი და რამდენად შემცდარი ვიყავი მე. თქვენ სავსებით სამართლიანად ამბობდით, რომ როცა ტროცკი ლაპარაკობდა ძველი კადრის გადაგვარების შესახებ და მოხუცებს უპირდაპირებდა ახალგაზრდობას, ამით ის უნდობლობას იჩენდა ისტორიულ ბოლშევიკურ პარტიისადმი და ეძებდა გზას ისეთი ახალი პარტიის შექმნაზე, რომელსაც კავშირი უნდა გაეწყვიტა ბოლშევიზმის ტრადიციასთან და მის იდეოლოგიასთან. მართალი იყო ამხ. ძერჟინსკი, რომელმაც ჩემს შეკითხვაზე—როცა ირჩეოდა საკითხი ჩემი მოხსნის შესახებ წითელი არმიის პოლიტსამმართველოდან—მიპასუხა: საჭიროა ტროცკის წინააღმდეგ ბრძოლა ბოლომდე, იმიტომ, რომ პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში ტროცკი ობიექტიურად ხდება წვრილ-ბურჟუაზიულ რეაქციონურ ძალთა ორგანიზაციის ცენტრად.

ჩემი პოზიციის მნიშვნელოვან დასაყრდენს შინაპარტიულ ბრძოლაში წარმოადგენდა დოკუმენტი, რომელსაც ეწოდება „ლენინის ანდერძი“, მაგრამ ამ დოკუმენტში გაფრთხილებები ხომ ორი ხაზით მიმდინარეობდა. და რაც მთავარია, თქვენ არაერთხელ გვიჩვენეთ, რომ ლენინის მითითებები პირადათ თქვენს შესახებ თქვენ შეითვისეთ და რომ პარტიის ინტერესები თქვენთვის ყველაფერზე მაღლა სდგას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ვლადიმერ ილიჩი სავსებით ცეკასთან იქნებოდა ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში და კიდევ უფრო დააჩქარებდა ოპოზიციისათვის ანგარიშის გასწორებას.

ზემოთქმულს მე კიდევ უნდა დავუმატო: მე უსამართლოდ მთვლიან ძველ „მართლმორწმუნეთ“ პარიზის „ნაშე სლოვო“-ში თანამშრომლობის დროიდან. მაგრამ „ნაშე სლოვო“-ს რედაქციაში მე და ზალესკიმ თავიდანვე დავაარსეთ განსაკუთრებული ჯგუფი, რომელიც სავსებით და მთლიანად იზიარებდა ლენინის შეხედულებებს, და ჩვენ საჭიროთ გავიმიჯნეთ „ნაშე სლოვო“-ს პლატფორმისაგან. სწორედ ჩვენ შეგვაქო ლენინმა „სოციალ-დემოკრატ“-ში, როგორც მემარცხენე ჯგუფი „ნაშე სლოვო“-ში, და, მისი დავალებით, პარიზში ჩვენთან დამყარებულ იქნა ორგანიზაციული კონტაქტი—მოეწყო ინტერნაციონალისტების კლუბი, რომელშიაც ტროცკი არ შემოვიდა, ვინაიდან ჩვენ უარვყავით ტროცკისტების პლატფორმა. „ნაშე სლოვო“-ში მე არაერთხელ გამოვსულვარ რედაქციის დანარჩენ ნაწილის წინააღმდეგ. ცოტა უფრო გვიან, მე კვლავ მწვავე უთანხმოება მომივიდა ტროცკისთან, ვებრძოდი რა მის განზრახვას, ჩამოეყალიბებია რუსეთში თავისი პარტია, რასაც მხარს უჭერდენ ამხ. ლოზოვსკი, მანუილსკი და ვლადიმიროვი, მე ვამბობდი, რომ თუ საზღვარგარეთ ჩვენ შეგვიძლია გვყავდეს განსაკუთრებული ჯგუფი ლიტერატურულ გამომცემლობაში, ამავე დროს რუსეთში შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთი ინტერნაციონალისტური-ბოლშევიკური პარტია.

როცა 1917 წლის ივნისში მე საზღვარგარეთიდან ჩამოვედი პიტერში, მე მაშინათვე, ამ თავისი შეხედულების თანახმად, ფორმალურად შევედი ბოლშევიკების პარტიაში, რის შესახებაც განვაცხადე „პრავდა“-ში, გავემიჯნე რა „მეჟრაიონცებისაგან“ და ბრალი დავსდე ტროცკის, რომელიც მაშინ პარტიის გარეთ იმყოფებოდა, უკიდურეს ინდივიდუალიზმში. ტროცკისთან კავშირის გაწყვეტა მე ყოველთვის მიხდებოდა საკითხში მისი დამოკიდებულების შესახებ პარტიასთან, მე დამნაშავე ვარ პარტიის წინაშე, რომ ყველა საჭირო დასკვნები არ გავაკეთე მაშინდელ ჩვენ უთანხმოებიდან.

მე ჯერ კიდევ წარსული წლის ოქტომბერში განვაცხადე, რომ პოლიტბიუროს ვეთანხმები ძირითად პოლიტიკურ საკითხებში. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ეხლა შემიძლია დავკმაყოფილდე ამ წერილით.

ამხანაგური სალამით ანტონოვ-ოვსეენკო.

ა. ხ. კრესტინსკის წერილიდან

„ჩემი მიწერ-მოწერა ტროცკისთან ოპოზიციის შესახებ ცალმხრივ ხასიათს ატარებს, ვინაიდან შესდგება მხოლოდ ჩემი წერილებიდან, რომლებიც უპასუხოდ დარჩა. ჩემი წერილები ერთგვარი ინტერესს წარმოადგენენ მხოლოდ იმიტომ, რომ გამოხატავენ ჩემს კრიტიკულ დამოკიდებულებას ოპოზიციის ტაქტიკისადმი შინაპარტიული ბრძოლის სხვადასხვა მომენტებში, ამ დამოკიდებულებამ ბოლოს და ბოლოს გამოიწვია ის, რომ მე გავწყვიტე იდეური კავშირი ოპოზიციასთან, მიუხედავად იმისა, რომ მის ხელმძღვანელთა უმრავლესობასთან დაკავშირებული ვიყავი დიდიხნის მეგობრული ურთიერთობით (მე ვლაპარაკობ იდეურ და არა ორგანიზაციულ კავშირის გაწყვეტაზე, ვინაიდან ორგანიზაციული კავშირი ოპოზიციასთან მე არ მქონია).

ამხანაგური სალამით კრესტინსკი.

პარტიულ და საბჭოთა აპარატის ფუნქციების გამიჯვნის შესახებ

პარტმუშაობისა და პარტაპარატის რაციონალიზაციის საკითხი არ შორდება პარტიულ პრესის ფურცლებს, რაც მოწმობს იმას, რომ ამ საკითხის დასმა სავსებით დროულია.

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ პარტმუშაობის რაციონალიზაცია მოითხოვს ფუნქციების გარკვევით გამიჯვნას ცალკე ორგანიზაციების შორის და მათი მუშაობის შინაარსის გადასინჯვას.

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ პარტიული კომიტეტები დიდ ყურადღებას უთმობენ ისეთ საკითხებს, რომლებიც შეიძლება წარმატებით მოაგვარონ თვით საბჭოთა სამეურნეო ორგანოებმა.

ეს მოვლენა გამომდინარეობს ორი გარემოებიდან: პარტკომების ზედმეტი მზრუნველობისაგან ადგილობრივ ორგანიზაციებზე და უკანასკნელთა სურვილისაგან „დაიზღვიონ თავი“ პარტკომის გადაწყვეტილებებით ყოველგვარ არასასიამოვნო შემთხვევისათვის.

სხვანაირად რომ ვსთქვათ, საბჭოთა დაწესებულებების ხელმძღვანელები შეგნებულად იზღუდავენ თავს, ავიწროვებენ პერსონალური პასუხისმგებლობის ფარგლებს.

ამის შედეგად, არაპარტიულ ორგანიზაციების ხელმძღვანელები ზოგჯერ სრულიად მცირე მნიშვნელობის საკითხის გადასაჭრელად დარბიან ყველა პარტორგანოებში დაწყებული, უჯრედით, რაიკომით, თბილისის კომიტეტით, ცენტრალური კომიტეტით და დამთავრებული ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტით. ამ [illegible]რგანის შედეგად [illegible]გება დრო, მაშინ, როცა საქმე ამას არ ითმენს.

სწორედ ამასთან არის დაკავშირებული საკითხი პარტიულ ხელმძღვანელობის განსაზღვრულ ნაწილის საბჭოთა, პროფესიონალური, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების კომფრაქციაზე გადაკისრების შესახებ. ეს ორგანიზაციები, მათი სამუშაო აპარატის შეზღუდვის გამო დღემდე ვერ იჩენენ საკმაო ენერგიას.

უნდა ითქვას, რომ ამაში დამნაშავე არიან თვით ფრაქციებიც, რომელთა მუშაობამ ისეთი სახე მიიღო, რომ ისინი არასოდეს დამოუკიდებლად არ ატარებენ და ამუშავებენ დირექტივებს, არამედ ყოველთვის ამის იმედი აქვთ, რომ დირექტივები მათი მონაწილეობის გარეშეც მიცემული იქნება პარტორგანოების მიერ. კიდევ მეტი, ზოგიერთი არაპარტიული ორგანოების ფრაქციებს, უმრავლეს შემთხვევებში, ისიც კი არ მიაჩნიათ საჭიროდ, რომ წინასწარ დაამუშაონ პარტორგანოების მიერ დასამტკიცებელი დირექტივები.

ავილოთ თუნდაც ისეთი მაგალითი, როგორიც დამუშავება დირექტივების გაზაფხულის თესვის კამპანიისა და გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის შესახებ. არც ერთ ამ საკითხზე, არც ერთ დაინტერესებულ ორგანიზაციას არ დაუმუშავებია რაიმე თავისი დირექტივები, სანამ ეს დირექტივები არ გასცა ცეკამ. შეიძლება გვიპასუხონ, რომ ამ საკითხებს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მათ შესახებ დირექტივების დამუშავება მხოლოდ და მხოლოდ ცეკას კომპეტენციაში უნდა ხდებოდეს. კიდევაც რომ ასე იყოს, ეს გარემოება მაინც არ ამართლებს იმას, რომ ეს ორგანიზაციები არ დაეხმარენ ცეკას თავისი პროექტების წარმოდგენით.

ამიტომ საჭიროა შემუშავებულ იქნას პრაქტიკული წინადადებები, რომელთა ნიადაგზე შესაძლებელი იქნება ფუნქციების განსაზღვრული განაწილება როგორც მაღლა მდგომ, ისე დაბალ საფეხურის პარტორგანოებსა და არაპარტიულ ორგანიზაციების ფრაქციებს შორის.

ს. ჯ—ძე.

კომკავშირში

„მოლოდოი ლენინეც“-ი

საქართველოს კომკავშირის ცეკამ და თბილისის კომიტეტმა წერილით მიმართა საქართველოს ა. ლ. კ. კ. ყველა ორგანიზაციებს და უპარტიო მუშა და გლეხ ახალგაზრდობას, სადაც ნათქვამია, რომ დღეიდან, 10 აპრილიდან კვლავ იწყებს გამოსვლას კომკავშირის ყოველკვირეული გაზეთი რუსულ ენაზე „მოლოდოი ლენინეც“-ი, (ყოფ. „მოლოდოი რაბოჩი“), საქ. კომკ. ცეკასი და თბილ. კომ. ორგანო.

გაზეთი მიზნად ისახავს კომკავშირის მასისა და აქტივის დახმარებას.

ცეკა და თბილისის კომიტეტი, ნათქვამია წერილში, „მოლოდოი ლენინეცს“ უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებს. ამის გამო ცეკა და თბ. კომიტეტი მოუწოდებს ყველა ორგანიზაციებს, საქ. კომკავშირის ყველა წევრებს და უპარტიო მუშა-გლეხ ახალგაზრდობას, ენერგიული დახმარება აღმოუჩინონ „მოლოდოი ლენინეცს“, რაიც უნდა გამოიხატოს საკორესპონდენტო ქსელის მოწესრიგებასა და გაზეთის გავრცელებაში.

არ უნდა დარჩეს არც ერთი კომკავშირელი, ნათქვამია დასასრულ წერილში, არც ერთი უპარტიო ახალგაზრდა მუშა და გლეხი, რომელსაც გამოწერილი არ ექნება „მოლოდოი ლენინეც“-ი და რომელიც არ იკითხავს მას.

საგაზაფხულო თესვის კამპანია

სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფილია იარაღ-მანქანებით და მასალებით

წელს საქართველოში ბამბა დათესილი იქნება 7.020 დესეტინაზე

ბამბის მეურნე გლეხებს ავანსად მიეცემათ 60 მანეთი დესეტინაზე

თათბირი თესვის კამპანიის რწმუნებულთან

გუშინ ამიერ-კავკასიაში თესვის კამპანიის რწმუნებულ ამხ. ბაგირიოვის თავმჯდომარეობით შესდგა საუწყებათაშორისო თათბირი საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის ხელისშეწყობის საკითხების შესახებ. პირველ საკითხათ თათბირმა განიხილა თამბაქოს თესვის გეგმა და კონტრაქტაციის გატარება თამბაქოს ნათესებზე.

თათბირზე საბოლოოდ გამოირკვა, რომ მიმდინარე საგაზაფხულო პერიოდში თამბაქო დათესილი იქნება—აფხაზეთში—8000 დესეტინაზე, საქართველოში შემავალ დანარჩენ ავტონომიურ რესპუბლიკებში და მაზრებში — 15000 დესეტინაზე, აზერბეიჯანში—4000 დეს. და სომხეთში—400 დესეტინაზე. ავანსების ნორმა თვითეულ დესეტინა თამბაქოს ნათესებზე განსაზღვრულია: აფხაზეთში—270 მანეთი, საქართველოს დანარჩენ ადგილებში — 250 მან. და სომხეთში და აზერბეიჯანში—180 მანეთით. ავანსების გაცემა, თათბირის დადგენილებით, იწარმოებს ისეთი ვარაუდით, რომ მთელი ავანსის რაოდენობიდან მე-3 კვარტალში გაცემული იქნეს 40 პროცენტი, ხოლო დანარჩენ 60 პროცენტი უნდა დარიგდეს მიმდინარე საანგარიშო წლის უკანასკნელ კვარტალში (მეოთხეში).

თამბაქოზე ფასების დაწესების გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა დაადგინა წელს თამბაქოზე დატოვებულ იქნას შარშანდელი ფასები, თანახმად საკავშირო შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა. ამის გამო „ტაბაკსინდიკს“ წინადადება მიეცა დასდოს ხელშეკრულება „სოფლის კავშირთან“ თამბაქოს შესყიდვის შესახებ შარშანდელი ფასებით, ასეთივე ხელშეკრულებები დადებული იქნეს აზერბეიჯანში და სომხეთშიც.

დასასრულ, თათბირმა დაადგინა წინადადება მისცეს ცალკე რესპუბლიკებში თესვის კამპანიის ჩამტარებელ ორგანოებს მიიღონ ზომები, რათა გაადვილებულ იქნეს მუშა-ხელის დაქირავება და მეთამბაქოეთა რაიონები სავსებით და თავის დროზე იქნენ უზრუნველყოფილი მუშა-ხელის საკმაო რიცხვით.

თესვის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ ორგანოებს წინადადება მიეცათ სისტემატიურად გაუწიონ ხელმძღვანელობა იმ ორგანიზაციებს და სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებს, რომლებიც მეთამბაქოეობას ეწევიან, რომ მიმდინარე თესვის სეზონში მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული თამბაქოს სათესი მთელი სივრცე.

როგორ მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის მომარაგება სას.-სამ. იარაღებით

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ როგორ მიმდინარეობს სასოფლო მეურნეობის მომარაგება იარაღ-მანქანებით და მასალებით, „ზაკსელმაში“-ს დირექტორის თანაშემწემ ი. ს. წივწივაძემ განაცხადა:

„რესპუბლიკანურ სასოფ.-სამ. კოოპერატიულ ცენტრებისაგან მიღებული დაკვეთები წრევანდელ საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის საჭირო სასოფ.-სამ. იარაღ-მანქანებზე და მასალებზე „ზაკსელმაში“-ს მიერ დაკმაყოფილებულია სავსებით.

აპრილამდე მთელ ამიერ-კავკასიაში განაწილებულია: 8000 გუთანი და გასანაწილებელია კიდევ 2000-დე. მოთხოვნილება ფარცხებზე (800 ცალის რაოდენობით) დაკმაყოფილებულია სავსებით და თადარიგშია ზედმეტად—116 ცალი. სათესი მანქანები, ნაცვლად—410-სა განაწილებულია 513 ცალის რაოდენობით. თადარიგშია—30 პურის სათესი მანქანა. ტრაქტორებზე მოთხოვნილება ვერ არის დაკმაყოფილებული სავსებით. სულ განაწილებულია—37 ტრაქტორი, აქედან 29—„ინტერნაციონალი“ და 8—„ჰოლტი“.

ყველა აქ ჩამოთვლილი მანქანები ჩატანილია ადგილებზე და მათ გამოიყენებენ საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მასალებს, როგორიცაა: ვაზის ლერწი, შაბიამანი, გოგირდი და სხვა, ამ მხრივ მდგომარეობა ასეთია:

ჩვენი დაკვეთა 5 მილიონ მეტრ სამყნობ (ამერიკული ლერწი) მასალაზე საფრანგეთის წარმომადგენლობამ საფრანგეთში შესძლო დაკმაყოფილება 2.300 0000 მეტრის რაოდენობით. ლერწის ნაკლებობა უსათუოდ შეანელებს ვენახების აღდგენის ტემპს.

დაკვეთა ამ.-კავკასიისავის საჭირო—2160 ტონა შაბიამანზე ჯერ კიდევ გასული წლის ავგისტოში მიეცა სამხედრო ქიმიურ ტრესტს, რომელსაც იგი უნდა გადმოეტვირთა სრული რაოდენობით იანვარში, თებერვალში და მარტში. მაგრამ ტრესტმა დაკვეთა ვერ შეასრულა.

მან 7 აპრილამდე შესძლო მხოლოდ 1300 ტონა შაბიამანის ჩაბარება, დანარჩენი რაოდენობის ჩაბარებას გვპირდება აპრილ-მაისის განმავლობაში.

შაბიამანზე დაკვეთის თავის დროზე შეუსრულებლობამ გამოიწვია ის, რომ ზოგიერთ რაიონებმა შაბიამანი მიიღეს მთელი სეზონისათვის საჭირო რაოდენობით იმ დროს, როდესაც დანარჩენებს არ მიუღიათ იგი ვენახების პირველად მოსაწამლისათვის საჭირო რაოდენობითაც კი. ამან გამოიწვია ერთგვარი უკმაყოფილება მომხმარებლებში. ეხლა მიღებულია ზომები შაბიამანის ხელახლად განაწილებისათვის, ყველა რაიონების დაკმაყოფილების მიზნით.

გოგირდის მხრივ მდგომარეობა უკეთესია. გოგირდით ყველა რაიონები უზრუნველყოფილი იქნება საჭირო რაოდენობით, განაწილების შემდეგ დარჩება ცოტაოდენი მარაგიც.

სარწყავ მანქანებს და გოგირდის საფრქვევ იარაღებს მივიღებთ დაგვიანებით, რადგან ლენინგრადის ქარხნების ტრესტი დაკვეთას ვერ ასრულებს თავის დროზე.

დაკვეთები მოსავლის მოსაწევ და გადასამუშავებელ იარაღ-მანქანებზე (ცელები, სანიავებლები, თესლის სარკვევები და სხვა) გაცემულია საკმაო რაოდენობით და მათ მოველით თავის დროზე—სეზონისათვის. ყოველ შემთხვევაში ამისათვის ზომები მიღებულია აქედანვე.

— საერთოდ—სთქვა დასასრულ ი. წივწივაძემ, წრევანდელ საგაზაფხულო თესვის კამპანიის მიმდინარეობის პროცესში მოთხოვნილება სასოფ.-სამ. იარაღ-მანქანებზე გაიზარდა ჩვეულებრივზე მეტად. ზედმეტი მოთხოვნილებები კმაყოფილდებოდა შემოდგომის თესვის კამპანიისავის მომარაგებულ იარაღ-მანქანებით.

შემოდგომის თესვის კამპანიის სასოფ.-სამ. იარაღ-მანქანებით უზრუნველსაყოფად ზომები ეხლავე მიღებული. რესპუბლიკანურ სასოფლო-სამ. კოოპერაციის ცენტრებს მიცემული აქვთ წინადადება, ეხლავე წარმოადგინონ დაკვეთები შემოდგომისათვის საჭირო იარაღ-მანქანებზე.

ბამბის თესვის კამპანია

ბამბის თესვის კამპანიის შესახებ ა.-კ. საბამბო კომიტეტის გამგეობის წევრმა ამხ. ი. გოგინეიშვილმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

— ბამბის თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით მოსამზადებელი მუშაობა საბამბო კომიტეტმა მიმდინარე წლის დაიწყო დეკემბრის დამლევს. „სოფლის კავშირთან“ დადებულ იქნა სათანადო ხელშეკრულება, და რაიონებში ადრიანად ჩატარდა საორგანიზაციო მუშაობა. წინა წლებში მოსამზადებელი მუშაობა იწყებოდა გაცილებით გვიან, რაც უარყოფით გავლენას ახდენს თესვის კამპანიის ნაყოფიერებაზე. წლევანდელი გეგმით განზრახული იყო 6.400 დესეტინა მიწის დათესვა ბამბით, მაგრამ, როდესაც შევუდექით გლეხობასთან ხელშეკრულებების ჩამოყალიბებას, ნათესობათა განზრახული სივრცე აყვანილ იქნა 7.020 დესეტინამდე. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ მებამბეთა მომარაგების საქმე წელს გაცილებით უკეთ მიმდინარეობს. მომარაგების გეგმით საქართველოს მებამბეობის რაიონებში უნდა შემოზიდულიყო 60 ათასი ფუთი ხორბალი; ხორბლით მომარაგების გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით. რაიონებში შემოზიდულია 106.000 ფუთი ხორბალი. (ე. ი. თითქმის ორჯერ მეტი). გარდა ამისა დასავლეთ საქართველოს მებამბეობის რაიონებში გეგმის გარეშე შემოზიდულია 15.000 ფუთი სიმინდი. მიღებულია ზომები მებამბეობის რაიონებისათვის ფართლის საკმაო რაოდენობით მისაწოდებლად. ჯერ-ჯერობით მებამბეებს გაუნაწილდათ 467.000 მეტრი ფართალი.

წრევანდელი უჩვეულო ზამთრის და საქონლის საკვების უქონლობის გამო, მუშა-საქონელს შეექმნა ძალიან მძიმე პირობები. ა.-კ. მებამბეობის კომიტეტმა ამ მხრივაც გაუწია დახმარება ჩვენს გლეხებს და საქონლის საკვებად რაიონებში განაწილებული იქნა 2000 ფუთი კოპტონი.

ა.-კ. საბამბო კომიტეტმა გაითვალისწინა წრევანდელი უჩვეულო ზამთრით შექმნილი მებამბე გლეხების მძიმე მდგომარეობა და ავანსის რაოდენობა დესეტინაზე 45 მანეთიდან აიყვანა 60 მანეთამდე.

რაიონებში დაგზავნილია აგრონომები, რომელთაც დახმარება უნდა აღმოუჩინონ გლეხებს რჩევა-დარიგებით. გლეხობას დაურიგდა ბამბის გაუმჯობესებული თესლი. ხელოვნური სარწყავით საქართველოში წელს განოყიერებული იქნება 200 დესეტინა მიწა. თუ ცუდი ამინდები არ დაიჭირა, ეჭვს გარეშეა, რომ დადებული ხელშეკრულებები წელს შესრულებული იქნება 100 პროცენტით.

სარწყავი არხები

ქუთაისის მაზრის სამელიორაციო ამხანაგობები შეუდგნენ სარწყავ არხების გაწმენდას. განსაკუთრებით დიდი მუშაობაა საჭირო ლიმ-როკითის არხის გასაწმენდად, რომელშიაც წყლის დინების გამო, ჩამოწვა მიწის ზვავები. ზვავებმა ისე ამოავსო არხი, რომ მის გასაწმენდად საჭიროა დაახლოებით 10 ათასი მანეთი.

ხონის და სამტრედიის რაიონში მიმდინარეობს მუშაობა აქ არსებულ არხების ხელოვნურ ნაგებობათა შესაკეთებლად: კეთდება შლიუზები, ლარები, აკვედუკები და სიფონები. სასწრაფო მუშაობა სწარმოებს აგრეთვე ახალ განმანაწილებელი შტოს გასაყვანად იმ მიზნით, რომ მორწყული იქნეს სოფელ ტყაჩირის ყანები, რომელთა სივრცე 500 დესეტინას აღემატება. მიმდინარე თესვის კამპანიისათვის ყანების მორწყვა იწარმოებს ყველა იმ არხებიდან, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იქნა გაყვანილი.

საოჯახო სამართლის საკითხები

(წინადადების სახით)

1. მამის ძიება

სრ. საქ. ცაკის უკანასკნელ სესიაზე, ქ. ბათომში, მიღებულ იქნა საოჯახო სამართლის კოდექსის ძირითადი დებულებანი; დაარსებულ იქნა სპეციალური კომისია კოდექსის პროექტის დასამუშავებლად და საბოლოო დამტკიცება მიენდო ცაკის პრეზიდიუმს.

ცაკის სესიაზე ცხოველი კამათი გამოიწვია საოჯახო სამართლის საკითხებმა. საკამათო საკითხთა შორის წამოიჭრა მამის ძიების საკითხიც. კოდექსის პროექტის მე-19 და მე-20 მუხლში გათვალისწინებულია, რომ თუ სამოქალაქო აქტების ჩამწერ განყოფილებაში („მმაჩში“) შემოვიდა განცხადება ორსული, ან ბავშვის მყოლი ქალისაგან, რომელიც ბავშვის მამათ ასახელებს გარკვეულ პირს, ამ უკანასკნელს ეცნობება ასეთი ფაქტი და თუ ამ უკანასკნელისაგან ერთი თვის განმავლობაში არ შემოვა საწინააღმდეგო განცხადება, — ეს გარემოება ჩაითვლება მის მიერ ბავშვის შვილად ცნობად. ერთი თვის განმავლობაში პირს, რომელიც მითითებულია როგორც მამა, უფლება აქვს სასამართლოში აღძრას საჩივარი ბავშვის დედის წინააღმდეგ მისი განცხადების უსაფუძვლობის შესახებ“.

ეს მუხლი სადაო გახდა ცაკის სესიაზე. ამ დავის შესახებ სესიას არავითარი დადგენილება არ მიუღია. ამიტომ საჭიროა საკითხს კიდევ მიექცეს ყურადღება, ვიდრე კოდექსი საბოლოოდ დამტკიცდებოდეს.

მამის ძიების საკითხი საოჯახო სამართლისათვის ერთი მთავარი და უძნელესი საკითხია. ბურჟუაზიულ საოჯახო სამართალში ჯერ კიდევ ნაპოლეონის დროიდან დაკანონდა მამის ძიების აკრძალვა. ინსტიტუტი „უკანონოდ შობილთა“ და „ოჯახს გარეშე დაბადებულთა“ წარმოადგენს „განათლებული ქვეყნების“ საზიზღარსა და სამარცხვინო წესებს, რომლითაც პიროვნება, დაბადებული ბუნებაში, საზოგადოებაში ითვლება „უკანონოდ შობილად“, საოჯახო უფლებების გარეშე მდგარად.

საბჭოთა საოჯახო სამართალმა სავსებით უარჰყო „ოფიციალური დაბადების“ დებულება და მის ნაცვლად წამოაყენა ფაქტიური, ნამდვილი დაბადების პრინციპი, როგორც ოჯახური უფლებრივი მომენტის საფუძველი. კოდექსის პროექტი მხოლოდ მაშინ შორდება ჭეშმარიტი დაბადების პრინციპს, როდესაც ბავშვის ჩასახვის პერიოდში ქალთან სქესობრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა რამდენიმე ვაჟი. ამ შემთხვევაში პროექტის მე-22 მუხლის მომარჯვებით, სასამართლო ერთ პირს მიიჩნევს ბავშვის მამათ და მას დააკისრებს მშობლის მოვალეობას.

რუსეთის სასამართლოს პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა ბავშვის მიმართ მშობლიური მოვალეობის დაკისრებას რამდენიმე პირისადმი. ჩვენი პროექტი სამართლიანად უარჰყოფს ასეთ გზას, რადგან ის ეწინააღმდეგება როგორც ბუნებრივ მომენტს, ისე ბავშვის უზრუნველყოფის საქმის სწორ მოწესრიგებას. როდესაც მრავალში ერთია ასარჩევი, სასამართლო, ბავშვის ინტერესით, უზრუნველყოფას დააკისრებს ყველაზე შეძლებულს. ეს წესი, როგორც ვხედავთ გამონაკლისია. საერთო წესად კი მიღებულია ნამდვილი დაბადების დებულება. დედას უფლება ეძლევა თავისი ქმარიც არ ჩათვალოს ბავშვის კანონიერ მამათ და ეძებოს ბავშვის ნამდვილი მამა.

ჩვენი საოჯახო სამართლის ასეთი პრინციპი სავსებით იცავს, როგორც დედის, ისე ბავშვის ჭეშმარიტ უფლებებს. ჩვენი სამართლით ქალს ისეთი უფლებები ენიჭება, რომელიც არ იცის მსოფლიოს სამართლის ისტორიამ და საზოგადოებრივმა აზროვნებამ. ქალი, (ცოლი) ვალდებული არ არის გამოიცვალოს საცხოვრებელი ადგილი, როდესაც მეუღლე, (ქმარი) საცხოვრებელ ადგილს იცვლის. ცოლს არა აქვს არავითარი „ოჯახური მოვალეობანი“, მას შეუძლია უჩივლოს საკუთარ ქმარს გაუპატიურება თუ მან სქესობრივი კავშირი დაიჭირა მისი ნების წინააღმდეგ და სხ. და სხვ.

ერთი სიტყვით, ქალს, (დედას, ცოლს) უდიდესი უფლებები აქვს მინიჭებული. ეს მდგომარეობა სავსებით სწორია, მაგრამ კოდექსის პროექტში ადგილი აქვს ერთ შემცდარ პრინციპს. ეს პრინციპი გათვალისწინებულია მე-20 მუხლში, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ქალი ვალდებული არ არის დაამტკიცოს მისი ბავშვის მამათ მითითებულ პიროვნების მამობა. კანონმდებელი, უეჭველია, აქ გულისხმობდა, რომ ძნელია ქალის მიერ მამობის დამტკიცება, რომ ეს საკითხი ეხება ადამიანთა ცხოვრების დაფარულ ინტიმურ მხარეს და თუ ქალს დაეკისრება მტკიცების სიმძიმე, ამით მისი მდგომარეობა პროცესში გართულდება. ეს მოსაზრება სწორია, მაგრამ კიდევ უფრო სწორია ის მოსაზრება, რომ მტკიცება პროცესში მამათ არ ყოფნის, უარყოფა დაუსაბუთებელი ბრალდების მამობის შესახებ. პროცესუალურად შეუძლებელი ამბავია.

პროცესში დაინტერესებულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს რაც იყო, უნდა შეეცადოს წამოყენებული ბრალდება გაამაგროს ფაქტიური მასალით. მოპასუხეს, თუ ის არ არის დამნაშავე, მხოლოდ მაშინ შეეძლება უარჰყოს წამოყენებული ბრალდება, მიუთითოს ფაქტიური მასალის უსაფუძვლობაზე.

მართლაც, დედას შეუძლია დაასაბუთოს მამობა, შეუძლია მიწერ-მოწერით, საერთო ნაცნობებით, მეზობლების მოწმობით, ხანგრძლივი მეგობრული ურთიერთობისა და ნაცნობობის ფაქტით, რაიმე მატერიალური საბუთით, ვაჟის ნივთით და სხ. და სხ.

მამათ მიჩნეულ პირს, თუ მას ცილს სწამებენ, არაფრით არ შეუძლია დაამტკიცოს, რომ ის არ არის მამა. მამათ მიჩნეული პირი ქალის მიერ, კიდევაც რომ არც იცნობდეს ქალს, ვერ დაამტკიცებს, რომ ის არ არის ამ ქალის ბავშვის მამა. დამტკიცება იმის, რაც არ ყოფილა არ შეიძლება არავითარი საფუძვლით, ისე როგორც შეუძლებელია დამტკიცება, რომ რომელიმე ქალთან არა გაქვს სქესობრივი კავშირი. აქ მხოლოდ ერთი გამოსავალია—დაამტკიცო alibi ე. ი. რომ ფაქტის მიზეზის გაჩენის დროს სხვა ადგილს იყავი, მაგრამ ეს უმრავლეს შემთხვევაში ვერ იქნება გამოყენებული.

ამიტომ, პროცესუალური მოსაზრებით, პროექტის მე-20 მუხლი უეჭველად შეცვლილი უნდა იქნეს. მტკიცების სიმძიმე უნდა დაეკისროს მას, ვისაც შეუძლია რისიმე დამტკიცება, ვინც ბრალდების მხარეა და არა მას, ვისაც არ შეუძლია დაუსაბუთებელი ბრალდების უარყოფა, ვინც მოპასუხეა.

სისხლის სამართლის დარგიდან ჩვენ ხომ არ ვქმნით ისეთ მდგომარეობას, რომ ყოველგვარი ფაქტიური საფუძვლის გარეშე, ბრალი დავდოთ მოქალაქეს ქურდობაში, გაუპატიურებაში, მკვლელობაში და უთხრათ: თუ მართალი ხარ დაამტკიცე, რომ არა ხარ ქურდი, გამაუპატიურებელი, ან მკვლელიო.

ასეთი მდგომარეობის შექმნა იქნებოდა ყველაზე პატიოსანი მოქალაქის დაყენება სისხლის სამართლის სასჯელის შიშის ქვეშ. ასეთი მდგომარეობა იქმნება საოჯახო სამართლის დარგშიაც, როცა მამობის უარყოფის მტკიცების სიმძიმე ვაჟს ეკისრება.

კოდექსის პროექტით გზა ეხსნება ქალს ყოველგვარი უსაფუძვლო ბრალდებებისათვის, მას ენიჭება უფლება ბოროტად გამოიყენოს კოდექსის პროექტის მე-20 მუხლი და საკუთარი თავისა და ბავშვის უზრუნველყოფის ან სხვადასხვა მოსაზრების მომარჯვებით, ბავშვის მამათ გამოაცხადოს ისეთი პირი, რომელთანაც მას არავითარი კავშირი არ ჰქონია. ასეთი მდგომარეობის შექმნა სამართლის დარგში არავითარი მოსაზრებით დასაშვები არ არის.

2. გვარის საკითხი

გვარის საკითხის შესახებ ჩვენ თავის დროზე, საოჯახო სამართლის პროექტის გამოსვლისას, ყურადღება მივაქციეთ იმ გარემოებას, რომ მამის გვარით შთამომავლობის გაგრძელება სოციალურად შედეგია ქალის დამონების, ბუნებრივად შემცვლელთა შეცდომის და ამ ნიადაგზე სისხლის აღრევის. ამ უკანასკნელი დებულების საფუძველი ის არის, რომ ყოველი დედა ნამდვილი დედაა, ყოველი მამა კი საეჭვო მამაა. ჩვენ მაშინ აღვნიშნავდით, რომ სოციალ - ბუნებრივის თვალსაზრისით შთამომავლობა უნდა მიდიოდეს დედის და არა მამის გვარით. ჩვენ მიზნად ვისახავდით საზოგადოებრივი აზრის შექმნას ამ საკითხის ირგვლივ. აშკარაა, კანონმდებელს არ შეეძლო მიეღო ეს ჭეშმარიტი თვალსაზრისი, რადგან ის იქნებოდა თანამედროვე ყოფისა და აზროვნების პირობებში ფაქტიურად შეუძლებელი ნორმა.

კანონმდებელი აქ გვარის საკითხში რამდენიმე შესაძლებლობას აყენებს: 1) თუ მშობლები ატარებენ საერთო გვარს, ბავშვები მიდიან ამავე გვარით, 2) თუ არ ატარებენ საერთო გვარს, მაშინ გვარი მყარდება მშობლების შეთანხმებით, 3) თუ მშობლები ვერ შეთანხმდენ ბავშვის გვარის საკითხში, ამ საკითხს სწყვეტს მეურვეობის ორგანოები. (მუხლი მე-24).

კოდექსის პროექტი არაფერს ამბობს, თუ რით უნდა იხელმძღვანელოს მეურვეობის ორგანოებმა, თუ დედასა და მამას შორის შეთანხმება არ მოხდა, მეურვეობის ორგანოს იურიდიულად ორი თანაბარმნიშვნელოვანი გარემოება აქვს—მტკიცება დედისა და მტკიცება მამის. ამიტომ მას არ შეუძლია დავის გადაწყვეტა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეურვეობის ორგანოს არ უნდა გადაეცეს ეს საკითხი. კოდექსმა უნდა მოხსნას ეს მესამე შესაძლებლობა და შეასწოროს მეორე იმ აზრით, რომ, თუ ბავშვის გვარის შესახებ დედასა და მამას შორის შეთანხმება არ მოხდა, უპირატესობა უნდა მიეცეს დედას; ბავშმა დედის გვარი უნდა ატაროს.

გარდა ბუნებრ - სოციალური მომენტის სისწორისა, ამ მოსაზრებას ისიც ამართლებს, რომ ქალს მიეცემა საშუალება, თავისი ინდივიდუალობა განამტკიცოს და თავისი ბავშვი საკუთარ გვარს დაუკავშიროს. ქალს არ უნდა წაერთვას ეს უფლება, რადგან მას შეიძლება არ სურს თავისი ბავშვი დაუკავშიროს ოდესმე მის ქმრად ყოფილ პიროვნებას, ან ოფიციალურ ქმარს, როდესაც ის არ არის ბავშვის ნამდვილი მამა და სხვ.

მეურვეობის ორგანოები ამ დავას ვერ გადასწყვეტენ. მართლაც თუ მათთვის დედისა და მამის განცხადება თანაბრად მნიშვნელოვანი იქნება, ამ წესს იურიდიული აზრი ეკარგება, მეურვეობის ორგანოებს გამოსავალი არ რჩებათ. ამიტომ გამოსავალს მეურვეობის ორგანო იპოვის ძველის ყოფისა და ადათის აზრში. ამ „აზრით“ შვილი ეკუთვნის მამას და მეურვეობის ორგანოებიც დავას ყოველთვის მამის სასარგებლოდ გადასწყვეტენ. ჩვენს რევოლიუციონურ სამართალს კი არ ეგუება ადათის გამოყენების პრინციპი, რადგან ადათი ძველი თავადაზნაურულ - ბურჟუაზიული ყოფა-ცხოვრების ნალეკია, რომელიც სრულს წინააღმდეგობაში იმყოფება საბჭოთა საზოგადოებრიობის მიმართ. ამიტომ საბჭოთა სამართალი, სამართლის წყაროთა შორის ადათს არ ემყარება. ეს საერთო დებულება მომარჯვებული უნდა იქნეს საოჯახო სამართლის დარგშიც.

სასურველია, რომ ზემოთმოყვანილი მოსაზრებანი მიღებული იქნენ მხედველობაში კოდექსის საბოლოოდ დამტკიცების დროს.

სერგო ამაღლობელი.

კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

უნდა გაძლიერდეს თემაღმასკომების ხელმძღვანელობა სექციების მუშაობაზე

საჭიროა ყველა სექციები მუშაობდნენ მტკიცედ გარკვეულ გეგმით

ნიგოითის საბჭო

(წერილი გურიიდან)

ნიგოითის თემსაბჭოსთან თავიდანვე ჩამოყალიბდა შემდეგი სექციები: სას.-სამეურნეო, საგზაო, კულტ-განმანათლებელი, საამშენებლო-კოოპერატიული და საგადასახადო. სექციებზე არა საბჭოს წევრებიდან მხოლოდ მიმაგრებული იქნა დელეგატი ქალები.

კულტ-განმანათლებელი სექცია

ამ სექციაში სულ 8 წევრი იყო, ხოლო ამჟამად მხოლოდ 5 წევრია. სექციას ქონდა მთელი წლის განმავლობაში სულ სამი სხდომა, განხილულია 5 საკითხი, მაგრამ აქედან სამიც არ მოსულა სისრულეში, არავითარ კულტ-მუშაობას არ აწარმოებდა ეს სექცია თემში. სექციას დაუდგენია ცენტრ. ქოხ-სამკითხველოსთან საბჭოს ჩამოყალიბება და იქ აგრონომიული, ლიტერატურული, სანიტ-წრის და დრამწრის ჩამოყალიბება, მაგრამ არც ერთი სისრულეში დღესაც არაა მოყვანილი. თვით სექციას გასული წლის ოქტომბრის შემდეგ თავმჯდომარეც აღარ ყავს, მაგრამ აღმასკომს ამისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია, აქ გლეხობას დიდი ინტერესი აქვს აგრო-ცოდნის მიღების, მაგრამ კულტსექცია ამისათვის თავს არ იწუხებს, სხვა წრეებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, არსებითად ეს სექცია არც კი არსებობს დღეს, ვინაიდან ივლისის შემდეგ სხდომაც არ ქონიათ. თემიდან გასული პირების მიერ შეძენილი იქნა რადიო-მიმღები, მაგრამ 7 თვე გადის და დღესაც უპატრონოდაა მიტოვებული სკოლის ერთ-ერთ ოთახში, კულტ-სექციამ არც კი იცის მის შესახებ რამე. ყველაფერი ეს იმიტომ მოხდა, რომ სექციაში ჩაბმული იქნენ სხვა საქმეებით დატვირთული პირები და არ შედიოდა მათში ამომრჩეველთა აქტივი, არ ქონდათ სამუშაო გეგმა და არც ხელმძღვანელობდა მას თემაღმასკომი.

საგზაო სექცია

ჩვენი თემის გზები ძლიერ უნუგეშო მდგომარეობაში იყო, ამისათვის „ნაკაზის" მთავარი მუხლი სწორედ შეეხებოდა გზების ხეირიანად შეკეთებას, მაგრამ საგზაო სექციას ამ დარგშიაც არაფერი გაუკეთებია; ქონდა ერთი სხდომა და ისიც ერთი წლის უკან, წ. წ. აპრილში. დაადგინეს გზების შეკეთება, მაგრამ ეს ქაღალდზე დარჩა. ისე უპატრონოდ იყო გზები მიტოვებული, რომ ამ ზამთარში, არამც თუ ურმით, არამედ ფეხით გავლაც შეუძლებელი იყო და ახე არის დღესაც. ვნახოთ მომავალში რა ზომებს მიიღებენ.

საამშენებლო-კოოპერატიული სექცია

სექციამ ყურადღება მიაქცია ფასების დაკლების კამპანიის ღირსეულად ჩატარებას და კოოპერაციაში უღარიბესი გლეხობის უფასო წევრად შეყვანას. ამ სექციის ხელმძღვანელობით აგო ს. ნიგოითში კოოპერატივისათვის შენობა. თუმცა ამ სექციის მუშაობაც მოისუსტებდა, მაგრამ თავისი დადგენილებები სისრულეში მაინც მოყავდა.

სას.-სამეურნეო და საგადასახადო სექციებს თითქმის არაფერი გაუკეთებიათ, მაგრამ მიუხედავათ ამ სექციების სუსტი მუშაობისა, თემში მაინც მიღწევები გვაქვს: მაგალითად, ყველა სოფლებში შეკეთებულ იქნა სკოლის შენობები, ადგილობრივი 7 წლედი გასული წლის ოქტომბრიდან გადაკეთდა სოფლის ახალგაზრდობის სკოლად, ზაფხულში ტარდებოდა ყველა სოფლებში როგორც უფასო, ისე ფასიანი წარმოდგენები და ალეგრები, რომელიც ხმარდებოდა სხვადასხვა კულტ-საქმეებს, თემში ვრცელდება ჟურნალ-გაზეთები, ცენტრ. ქოხსამკითხველოსთან გამოდის კედლის გაზეთი, სადაც ჩამოყალიბებულია ახკორთა წრე, ს. ქვიანში აგებენ სახალხო სახლს (დაზიანებულ უფ. ეკლესიის შენობა), რომელიც მალე დამთავრდება, სოფ. ჭახანაში გაიხსნა კოოპერატიული განყოფილება, აგებენ ს. ნიგოითში სამკითხველოს შენობას და სხვა, მაგრამ ყოველივე ეს კეთდებოდა სექციების ხელმძღვანელობის გარეშე, არსად მათი მითითება და ხელი არ სჩანს. ეს მუშაობა სწარმოებდა სოფლის დაინტერესებული პირების საშუალებით. მიზეზი კი სექციების ახეთი უმოქმედობისა, არის აღმასკომი, რომელსაც არც ერთხელ არ მოუწვევია სექციის თავმჯდომარეები, რომ მათთვის განემარტა მუშაობის მიზნები, საბჭო არ ისმენდა სექციების მუშაობის ანგარიშებს, არც ერთ სექციას არ ქონდა წინასწარ შემუშავებული გეგმა და სხვა.

მორიგ საანგარიშო კამპანიის დროს ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს: გადახალისებული იქნას კულტურული სექცია, მასზედ ამომრჩეველთა აქტივის მიმაგრებით, სექციებმა აწარმოონ გეგმიანი მუშაობა და შეეცადონ მუშაობაში ჩააბან ფართე მასები.

გლეხკორი ახლოგელი.

იანეთის საბჭო

(ქუთაისის მაზრა)

საგზაო სექცია

აღნიშნული სექცია მუშაობას აწარმოებდა როგორც საგზაო მშენებლობის, ისე ბოგირების კეთების დარგში. ეს მუშაობა კი წინასწარ შემუშავებული გეგმით სწარმოებდა. სექციაში 26 წევრია გაერთიანებული, აქედან 16 საბჭოს არა წევრებია. დღემდის სექციას ჰქონდა 5 სხდომა, გარჩეულია 9 საკითხი. ბიუროს სხდომა ჩატარდა ა-ჯერ, სადაც გარჩეულია 11 საკითხი. თემში სექციამ აღრიცხვაზე აიყვანა მუშა-ხელი და საქონელი, რომლებიც 5 დღიან სავალდებულო ბეგარის მოხდით მთლიანად გამოყენებული იქნენ ამ დარგში წარმოებულ სამუშაოებში. შეკეთდა (ქვიშის დაყრით) და ნაწილობრივ გაფართოებული იქნა 4 კილომეტრის მანძილზე სადგ. იანეთიდან დიდი-ჯიხაიშისაკენ მიმავალი გზა. დაახლოვებით 6 ვერსის მანძილზე შეკეთებული იქნა სამტრედიისაკენ და სოფელ ეწერისაკენ მიმავალი გზებიც. საფუძვლიანად შეკეთდა საუბნო გზებიც. გაკეთდა ქვის 8 ახალი ბოგირი, დაპროექტდა ბაზრის მოედანი და სხვა. სხდომებზე წევრთა დასწრება ნორმალური და მათი აქტივობა თვალსაჩინო იყო, საგზაო სექციისათვის დაუვალებიათ სექციო-სასანიტარო სექციის ფუნქციები. ეს დავალებაც მაზრაღმასკომის ინსტრუქტორის განმარტებით მომხდარა. ცხადია, საგზაო სექციაზე ასეთი დავალების მიცემა —მით უმეტეს იმ დროს, როდესაც სანიტარულ სექციის არსებობა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს და, არაა სწორი და მიზანშეწონილი. საბედნიეროდ სექციამ ეს საკითხი სწორად გაიგო და სანიტარულ დარგში სამუშაოდ ქვე-კომისია გამოყო. ჩვენის აზრით საქმო-სასანიტარო სექციის ცალკე არსებობა მიზანშეწონილი იქნება, რასაც საბჭომ უნდა მიაქციოს ყურადღება. საერთოთ საგზაო სექციის მუშაობა დამაკმაყოფილებელი და შინაარსიანია.

საამშენებლო სექცია

სექციაში საბჭოს წევრებთან ერთად ჩაბმულია ღარიბ და საშუალო გლეხობის და რკინის გზის მუშათა აქტივი. მის რიგებში გაერთიანებულია საბჭოს 12 წევრი და არა წევრი. ამას გარდა სექციის ყოველდღიურ საქმიანობაში მხურვალე მონაწილეობას იღებს დელეგატ ქალთა და კომკავშირის მიმაგრებული აქტივი. სექცია მუშაობას აწარმოებდა წინასწარ შემუშავებული (ექვს თვიური) გეგმით. უკანასკნელი ზედმიწევნით კონკრეტიული და რეალური იყო, ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ გეგმაში გათვალისწინებული სამუშაოები თითქმის ასი პროცენტითაა შესრულებული. დღემდის ჩატარებულ სექციის 5 სხდომაზე 15 საკითხია გარჩეული, ხოლო თვით სექციის ბიუროს ჩატარებული აქვს 10 სხდომა, სადაც განხილულია 20 საკითხი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბევრგან თემ-საბჭოს სექციების ბიუროები მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ. იანეთში ეს ახე არაა. კერძოთ ამ სექციის ბიუროს მუშაობა საქმიანი და შინაარსიანი იყო. ამას ჩატარებულ სხდომების და მათზე გარჩეულ საკითხების რიცხვიც გვიმტკიცებს. სექციის თაოსნობით შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: ეკლესია, რომელიც წარსულში ცრუმორწმუნეობის ბუდეთ ითვლებოდა, დღეს მშვენიერ საკლუბო დარბაზს წარმოადგენს. ეწყობა საღამო-წარმოდგენები, ლიტერატურული გასამართლებები და სხვა. დარბაზში მოწყობილია სცენა თავისი დეკორაციებით და დადგმულია 850 კაცის სავარძელი სკამები, ახლად დაარსებულ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებისათვის შეძენილი იქნა შესაფერი ბინა. სადგ. იანეთში მოეწყო საბაზრო მოედანი, სადაც გაკეთდა ყაფანი და დაიდგა რიცხვით 24 კარავი. ხათიმი მამულში, რომლის შემოსავალი ხმარდება თემის კეთილმოწყობას, აშენებული იქნა ფიცრის სასაქონლე შენობა. სკოლის ორ შენობას გაუკეთდა კაპიტალური რემონტი. გაიყიდა აზოტიურად დარჩენილი ძველი, რომლის შემოსავალი მოხმარდა თემის კეთილმოწყობას. კოოპერატივის შენობის აგებისათვის მიტანილია საამშენებლო მასალები, რომლის აშენება დაიწყება მოკლე ხანში. სკოლის ეზოები საფუძვლიანად იქნა შემოღობილი, რაზედაც დაახლოვებით 850 მანეთი დაიხარჯა. ამას გარდა ამ დარგში გაკეთდა ბევრი წვრილმანი, მაგრამ თემისათვის მნიშვნელოვანი საქმეები. სხდომებზე სექციის წევრთა დასწრება ნორმალური იყო. წევრები ცხოველ მონაწილეობას იღებდენ საკითხების განხილვაში და სექციის ყოველგვარ სამუშაოებში. საამშენებლო სექციის მუშაობა მართლაც სანიმუშოდ უნდა იქნეს მიჩნეული.

შიგა.

გურჯაანის საბჭო

(სიღნაღის მაზრა)

(წერილი გურჯაანიდან)

გურჯაანის თემსაბჭოსთან ჩამოყალიბებულია 7 სექცია: საამშენებლო, კულტურულ-განმანათლებელი, საფინანსო, საკოოპერაციო, საგზაო სანიტარულ და სასოფლო-სამეურნეო.

საამშენებლო სექციაში ირიცხება 14 წევრი, სექციას ჰქონდა ათი სხდომა, განხილა 22 საკითხი, სექციის ინიციატივით აგებულ იქნა სახალხო სახლის შენობა, შეაკეთეს სკოლები და აღმასკომის კუთვნილი შენობები.

კულტურულ-განმანათლებელ სექციაში ათი წევრია, ამ სექციას ჰქონდა 4 სხდომა განხილულია 15 საკითხი. სექცია ყურადღებას აქცევდა სკოლებში სწავლის საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას და სხვა კულტურულ-განმანათლებელ საქმეებს.

საფინანსო სექციაში 12 წევრია, სექციას ჰქონდა 13 სხდომა, განხილულია 30 საკითხი, სექცია იღებდა ზომებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფისათვის, სექციის ინიციატივით ყურადღება ექცეოდა ქვრივ-ობლებს, ღარიბ გლეხებს და წითელ არმიელთა ოჯახებს. ასეთი ოჯახები განთავისუფლებულ იქნენ ყოველგვარ გადასახადისაგან, სექცია ზრუნავდა თემის ბიუჯეტის განმტკიცებისათვის, სექციის ინიციატივით დიდი წარმატებით გასაღდა სახელმწიფო სესხის ობლიგაციები თემში იშვიათია ისეთი გლეხი, რომელსაც არ ქონდეს შეძენილი სესხის ობლიგაცია.

საკოოპერაციო სექციაში 18 წევრია, მთელი წლის განმავლობაში სექციას ჰქონდა მხოლოდ ერთი სხდომა, განხილულია ორი საკითხი, მიუხედავად სექციის სუსტი მუშაობისა, თემში კოოპერაცია თავის სიმაღლეზეა დაყენებული და გლეხობას აკმაყოფილებს როგორც სხვა და სხვა მოთხოვნილი საგნებით, აგრეთვე პურით.

საგზაო სექციაში 18 წევრია, ჰქონდა 8 სხდომა, განიხილა 22 საკითხი, მიცემულ ნაკაზის მიხედვით გაკეთდა გზები, ხიდები და ბოგირები, საერთოდ სექცია დიდ ყურადღებას აქცევდა გზების გაუმჯობესებას.

სასანიტარო სექციაში 12 წევრია, სექციას ჰქონდა 8 სხდომა და განიხილა 7 საკითხი, სექციის საზრუნავ საგანს შეადგენდა თემში სისუფთავის დაცვა და მოსახლეობისათვის ამ დარგში ახსნა-განმარტების მიცემა.

სასოფლო-სამეურნეო სექციაში 16 წევრია, სექციამ 21 სხდომაზე განიხილა 41 საკითხი, სექციის ინიციატივით გამოწერილ იქნა თემის საჭიროებისათვის ტრაქტორი, ჩატარდა კამპანია თესვის შესახებ, ტარდება საუბრები გლეხობაში აგროცოდნის გასავრცელებლად, აღძრა შუამდგომლობა მიწად მოწყობისათვის და სხვა.

საანგარიშო კრების ჩატარების ამომრჩევლები აღფრთოვანებით შეხვდნენ და საბჭოს მუშაობა ერთხმად დამაკმაყოფილებლად ჩათვალეს.

ზ. თამაზაშვილი.

წყალდიდობა ამიერ-კავკასიაში

საქართველო

თბილისში

გუშინ პეტრიწის მოედანზე წყალმა იმდენათ დაიკლო, რომ მიმოსვლისათვის საჭირო არ იყო ნავები.

წყალმა დაიკლო აგრეთვე რიყის უბანშიც.

წყალდიდობის მხრივ საფრთხილო ადგილებში საგუშაგოები არ მოხსნილა.

გუშინწინ წყალმა წაღეკა კარლ მარქსის მოედანთან მდებარე წისქვილი.

წყალდიდობასთან მებრძოლი რესპუბლიკანური საგანგებო კომისია ბორჯომთან დაკავშირებულია რადიოთი და ამრიგათ ცნობები, ბორჯომში მდინარეების ადიდების შესახებ დაუყოვნებლივ მოდის თბილისში.

მტკვარმა დაიკლო

კვირა დილიდან მდ. მტკვარში წყლის დონემ დაიკლო. კვირას 12 საათისათვის მდინარის დონე უდრიდა 354 სანტიმეტრს, ნაცვლად წინა დღის საღამოს 400 სანტიმეტრისა. გუშინ 12 საათისათვის კი მდინარის დონემ კვლავ დაიკლო 290 სანტიმეტრამდე.

ამავე დროს, წყალთა მეურნეობის სამმართველოს ჰიდრომეტრიული ნაწილის ცნობით, მდ. ცხენისწყალზე წყლის დონემ კვირას აიწია 188 სანტიმეტრიდან 218 სანტიმეტრამდე და მდ. რიონის დონემ 862 სანტიმეტრიდან 884 სანტიმეტრამდე.

თანხების დანაწილება

წყალდიდობასთან მებრძოლმა ცენტრალურმა საგანგებო კომისიამ სამაზრო სამეულებს შორის დამატებით გაანაწილა 8.000 მანეთი.

თანხები უკვე გადაგზავნილია დანიშნულებისამებრ.

ერევნის მაზრაში მდ. ველიჩაიმ იცვალა კალაპოტი და გაანგრია 5 ადგილას ახალი ნაპირი. მდინარის ნაპირების გასამაგრებელ სამუშაოთა შესასრულებლათ და გლეხების დასახმარებლათ გაიგზავნა წითელარმიელთა ერთი ბატალიონი.

დილიჟანის მაზრაში მდ. გოლოვინკა და ალსტაფის წყალი დღეში რამოდენიმეჯერ მატულობენ და კლებულობენ. გზა ყაზახსა და კარაკლის შორის გაფუჭებულია და მიმოსვლა შეუძლებელი ხდება. მაზრაში დაზიანებულია სატელეფონო ხაზები. სოფლებიდან მოდის ცნობები ახალი კატასტროფების შესახებ. ცნობების შემოწმება შეუძლებელია უგზოობისა და უტელეფონობის გამო. იჯევანში ახალი ცნობების თანახმად წყალს წაუღია სახერხი ქარხანა და წალეკილია ბაღები. სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენათ გამოწვეულია წითელარმიელთა ნაწილები.

ეჩმიაძინის მაზრაში თანდათანობით მატულობს მდ. არაქსი. ნაპირების გასამაგრებელ სამუშაოების შესასრულებლათ გამოწვეული არიან მახლობელი სოფლების მცხოვრებნი.

ზანგეზურის მაზრაში მდ. ბაზარ-ჩაიმ წაიღო ხიდები ს. დოლორასთან და შანშთან წყალით დაფარულია სახნავი მიწები და ბაღები სოფ. ლეცენში, დარაბასში, შამბში და ვიუროტანში. ზოგიერთ მაზრაში წყალმა წაიღო რამოდენიმე ხიდი, წალეკა ბაღები და გზები. მდ. დანა-გირმაზმა იმსხვერპლა 9 კაცი.

მდგომარეობა რკინისგზებზე

წყალდიდობამ ამიერ-კავკ. რკ. გზებზე კატასტროფიული ხასიათი მიიღო. განსაკუთრებით სერიოზული მდგომარეობაა გზის სამხრეთ უბანზე.

სამხრეთ უბანზე

ადიდებულმა წყალმა წალეკა გზა სანაინ-აირუმის და სანაინ-კალაგერანის გადასარბენზე. მატარებლების მოძრაობა ამ გადასარბენზე 7 აპრილის საღამოს 8 საათიდან შესწყდა. შესწყდა სამხრეთის უბანთან სატელეგრაფო კავშირიც.

მოძრაობა და სატელეგრაფო კავშირი აღდგენილ იქნა 8 აპრილს დილის 11 საათისათვის მხოლოდ სანაინამდე.

შემთხვევის ადგილზე გაიგზავნა სამი დამხმარე მატარებელი, რომელთაც წაიყვანეს მუშები, სამხედრო ნაწილები და ინჟინერ-ტექნიკოსთა ძალები. გზის აღდგენის სამუშაოებს ხელმძღვანელობს ინჟ. ფირუმოვი.

ფირუმოვმა გზის გამგეობას დეპეშით აცნობა, რომ ყველაზე მეტად წალეკილია გზა სანაინ—კალაგერანის შუა იმ ადგილას, სადაც მდ. გორაგეთი უერთდება მდ. ბამბაკს. ამ ადგილას გასავლელი ხაზის აგება და მგზავრების ერთი მატარებლიდან მეორეში გადაყვანა შეუძლებელია. აქ წყლის მიერ გზა წალეკილია 60 მეტრზე. ამ ადგილას წყლის მიერ მიწა ამოთხრილია 8 მეტრის სიღრმეზე.

წალეკილ ადგილზე მუშაობენ ამფეთქებელი რაზმები, რომლებიც დროებითი ხაზის მოსაწყობად ანგრევენ დიდ კლდეებს.

სამუშაოების ადგილიდან დამატებით მიღებულ ცნობებით, მოძრაობის აღდგენა სამხრეთის უბანზე შესაძლებელი იქნება არა უადრეს ხუთი დღისა.

წალეკილ ადგილზე გაგზავნეს დამატებითი დამხმარე მატარებლები რელსებით, შპალებით, ხელსაწყოებით და სურსათით. მატარებლებს გააყოლეს მუშებიც.

სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი სანაინს იქით გაწყვეტილია. თბილის-სანაინს შორის კავშირი სუსტია.

ბაკურიანის შტოზე

ბაკურიანის ხაზის მიმართულებით წყალდიდობა დაიწყო 7 აპრილს საღამოს 6 საათიდან. მოძრაობა მთელს შტოზე შეწყვეტილია.

გუშინ დილას მოძრაობა აღდგენილი არ ყოფილა. არც რაიმე დამატებითი ცნობა მიუღიათ სამმართველოს იქიდან.

აღმოსავლეთის ხაზზე

აღმოსავლეთ უბნიდან მიღებულ ცნობებით, მტკვრის ადიდებით საფრთხე მოელის ქიურდამირის და ალიათის რაიონებს.

მდგომარეობა საქართველოს სამხედრო გზაზე

თოვლის სწრაფად დნობის გამო ძალზე ადიდდა მთის მდინარეები.

ადიდებულმა მდინარეებმა წალეკეს და დააზიანეს საქართველოს სამხედრო გზატკეცილი ანანურ-მლეთის შუა. ზოგ ადგილას ჩამოწვა თოვლისა და მიწის ზვავები. იმ ადგილებში, სადაც ზვავები ჩამოწვა, მოწყობილია გასასვლელი გზები.

ავტომობილებით მიმოსვლა შესაძლებელია მხოლოდ გზის მე-112 კილომეტრამდე (ანანურის იქით).

მიღებულია ზომები ზვავების გასაწმენდათ დაზიანებულ ადგილების აღსადგენად.

მდ. არაგვმა ჩვეულებრივზე ზევით აიწია მეტრ-ნახევრით. იგი დიდ საფრთხეს უმზადებდა გზატკეცილს, მაგრამ თავის დროზე მიღებულ ზომებით არაგვს გზისათვის ზიანი არ მიუყენებია.

გრძელდება მუშაობა მდინარის ნაპირების გასამაგრებლად.

ადგილებზე

8 სოფელი საფრთხეშია

წყალდიდობასთან მებრძოლი ბორჩალოს სამაზრო სამეული ატყობინებს წყალთა მეურნეობის სამმართველოს, რომ მდინარე მტკვარი საფრთხეში აყენებს მაზრის რვა სოფელს—კაპანახს, კუმლოს და კესალოს. გარდა ამისა მდინარე წალეკვით ემუქრება 800 დესეტინა მოსავლიან მიწის ნაკვეთებს და ბამბის პლანტაციებს.

მდინარისაგან სოფლებისა და სათესი სავრცეების დასაცავად საჭიროა მდინარის ნაპირზე მთელი რიგი ჯებირების აგება, რისთვისაც აუცილებელია საამშენებლო მასალის მოზიდვა სხვა რაიონებიდან.

სამაზრო სამეულმა მიიღო ზომები, რომ წყალდიდობის შემთხვევაში სოფ. კესალოდან გადმოსახლდეს 100 კომლი გლეხი, რომლებიც დროებით მოთავსებული იქნებიან მახლობელ სოფლებში.

ზარალი წყალდიდობისგან სომხეთში

(წყალდიდობასთან მებრძოლ ა.-კ. საგანგებო კომისიის ცნობები)

წყალდიდობასთან მებრძოლ ა.-კ. საგანგებო კომისიაში მიღებული ცნობებით 9 აპრილისათვის სომხეთში წყალდიდობას მოჰყვა შემდეგი შედეგები:

7 აპრილს სომხეთის თითქმის ყველა მაზრაში დაიწყო დიდი წყალდიდობა. დილიჟანის მაზრაში ნიაღვარმა დაანგრია იჯევანის გზატკეცილი და დაფარა ერევნის გზა. თვით ქ. დილიჟანს მოელის დიდი საფრთხე. წყალი თანდათან მატულობს. ხანგრძლივი წვიმები გამოიწვევენ მთებზე თოვლის ერთბაშად დნობას, რაც ხელს შეუწყობს მდინარეების კიდევ უფრო ადიდებას. სახელმწიფო ფერმაში წყალმა სრულიად დაანგრია ერთი შენობა. წალეკილია დილიჟანის ჰიდროელსადგურის მთავარი სავუბარი და არხი. მოსპობილი და განადგურებულია ახალი-დილიჟანის ბაღები, ბოსტნები, და სახელმწიფო ფერმის ბაღები. ნორბაიაზეთში დამდნარმა თოვლმა ქუჩებში დააყენა წყალი, რაც შეუძლებელ ხდის მოძრაობას. სამი ქუჩა დანგრეულია. დაზიანებულია რამოდენიმე სახლი. წყალი თანდათან მატულობს და საფრთხეში აყენებს ადგილობრივ ჰიდრო-ელსადგურს. მაზრაში ადიდებულმა მდინარეებმა წალეკეს ხიდები და დააზარალეს სოფლები—კოშლიარა, პეშვენდი და ნორადუზი.

წყალდიდობასთან მებრძოლი საგანგებო კომისია

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს მიერ გამოყოფილია წყალდიდობასთან მებრძოლი საგანგებო კომისია.

კომისიაში დანიშნული არიან ამხ. ამბარცუმიანი (თავმჯდომარე), ბაგიროვი, პოზდეევი, ალაფუზო და კაული. თუ ამხ. კაულს საშუალება არ ექნება მონაწილეობა მიიღოს კომისიის მუშაობაში, მის ნაცვლათ კომისიაში იმუშავებს ამხ. ბერია.

თანხები წყალდიდობასთან ბრძოლისთვის

ა.-კ. სახკომსაბჭოსთან არსებულმა კომისიამ საჭიროთ სცნო წყალდიდობასთან ბრძოლის საჭიროებისათვის გადადებული იქნეს 100.000 მანეთი

ა.-კ. სახკომსაბჭომ აღნიშნული თანხა რესპუბლიკათა შორის გაანაწილა შემდეგ ნაირათ: საქართველოს 40.000 მანეთი, აზერბეიჯანს—40.000 მანეთი და სომხეთს 20.000 მანეთი.

ა.-კ. ფინსახკომს მიეცა წინადადება აღნიშნულ თანხების მიღებამდე, მიიღოს ზომები თანხების გამოსანახათ და რესპუბლიკათა შორის გასანაწილებლათ.

ღამის ცნობა

ბაკურიანის შტოზე

როგორც დამატებით მიღებულ ცნობიდან სჩანს, ძალზე ადიდებული შავი მდინარე გადავიდა რკინის გზაზე და წალეკა გზა ოთხ ადგილას მე-9, მე-11, მე-13 და მე 14 კილომეტრებზე.

ამ ადგილებში სწარმოებს მუშაობა გზის აღსადგენად.

მოძრაობის აღდგენა მოსალოდნელია არა უადრეს ექვსი დღისა.

სამხრეთის უბანზე

სამხრეთის უბანზე სახალხო მატარებლები მიდიან სანაინამდე და ბრუნდებიან უკან. მიღებულ დაწვრილებით ცნობებით, პირველყოვლისა წყალდიდობამ საშიში მდგომარეობა შექმნა სადგ. კალაგერანთან, სადაც ძალზე ადიდება დაეტყო მდ. დებედა-ჩაის.

პირველად წყალმა დაფარა რკინის გზა მე-76 კილომეტრზე, სადაც წყალი სიმაღლით ლიანდაგს ასცილდა ათი სანტიმეტრით.

შემდეგ, მე-81 კილომეტრზე წყალმა იწყო ლიანდაგისათვის ძირის გამოცლა.

წალეკილ ადგილების საერთო სიგრძე უდრის 800 საჟენს.

ზოგიერთ ადგილებში წყლისგან წაქცეულია ტელეგრაფის ბოძები და წალეკილია ისინი მავთულებიანად.

გზის ლიანდაგი წალეკილია სრულიად მე-126 კილომეტრზე.

ახალ ლიანდაგის მოსაწყობად განზრახულია მახლობელი კლდის აფეთქება.

50—60 საჟენის მანძილზე, სადაც გადიოდა რკინის გზა და ტელეგრაფის ხაზი, ეხლა მდინარე მიდის.

საქ. მშრომელთა პასუხი ჩემბერლენს

ორი ახალი აეროპლანის გადაცემა წითელ არმიისათვის.—ზეიმი აეროდრომზე

კვირას, 8 აპრილს, დილის 10 საათ. მუშათა სასახლიდან აეროდრომის მიმართულებით დაიძრა 50-მდე ავტომობილი, თბილისის მშრომელები დროშებით, ორკესტრებით და სიმღერით მიდიოდნენ, რომ გადაეცათ წითელი არმიის საჰაერო ძალებისათვის თავისი საკუთარი თანხებით აგებული ორი სამხედრო აეროპლანი—„საქართველოს პროფკავშირები" და „თბილისის პროლეტარი".

აეროდრომის უზარმაზარი მოედანი მორთული იყო საზეიმოთ. მარჯვენა მხარეს, დასავლეთით, გამწკრივებულია სამხედრო ესკადრილია. მის პირდაპირ სდგანან ახალი აეროპლანები „საქართველოს პროფკავშირები" და „თბილისის პროლეტარი". მუშები ათვალიერებენ მათ, ესაუბრებიან მფრინავებს, ეცნობიან ფრენის ტექნიკას, აეროპლანების ბრძოლას ჰაერში. ახალი აეროპლანები მზადაა ჰაერში ასაფრენად, მხოლოდ ჯერ-ჯერობით მათი პროპელერები დაბმულია წითელი ლენტით.

აეროდრომი თანდათან ივსება ხალხით. ჯგუფ-ჯგუფად მოდიან მუშები, ავიაქიმის სანიტარული და პირველი დახმარების წრეების წევრები, სპეციალური მატარებლით მოვიდნენ რკინის გზის მუშები.

სრულ 11 საათზე გაისმა მარში და ამხ. მიხა ცხაკაიამ არმიის, პარტიის და საჰაერო რაზმის წარმომადგენლებთან ერთად ჩამოუარა ესკადრილიას, მიესალმა მფრინავთა რაზმს და შემდეგ დამსწრე ხალხს.

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის წარმომადგენელი ამხ. ა. წილოსანი ხსნის საზეიმო მიტინგს. პირველ სიტყვას ამბობს ამხ. მიხა ცხაკაია, რომელიც ესალმება დამსწრეთ ამიერ-კავკასიის მთავრობის და პარტიის საოლქო კომიტეტის სახელით. შემდეგ იგი ეხება მიმდინარე მომენტს, ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ზრახვებს, საბჭ. მთავრობის პოლიტიკას და მოუწოდებს მშრომელებს განამტკიცონ თავისი შრომით საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობა.

საქ. კომპარტიის და პროფსაბჭოს სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. გ. ურულაშვილი. „ვუსურვებ, რომ ჩვენი სამხედრო აეროპლანები ყოველ ბრძოლიდან გამოსულიყვნენ გამარჯვებულნი"—ამბობს იგი.

სიტყვები წარმოსთქვეს: ამხ. მარიამ ორახელაშვილმა, მშრომელი ქალების სახელით, ამხ. კანდელაკმა—არმიის სახელით, შ. მამალაძემ—№ ქართ. მსრ. დივიზიის სახელით, საპკიანმა—კომკავშირის სახელით, ამხ. ხუციშვილმა—ტრამვაის მუშების სახელით, ამხ. სხილაძემ—რკინის გზის მუშების სახელით და სხვა.

პროფსაბჭოს წარმომადგენელმა ამხ. მაჩაიძემ წაიკითხა „ნაკაზი" „საქართველოს პროფკავშირები"-ს და „თბილისის პროლეტარი"-ს რაზმელებისათვის. წაკითხვის შემდეგ „ნაკაზი" გადასცა № საავიაციო რაზმის უფროსს ამხ. ივანოვს, რომელმაც საპასუხო სიტყვაში მადლობა გამოუცხადა საქართველოს მშრომელებს და სთქვა, რომ წითელი მფრინავები მტკიცედ იდგებიან მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე.

დიდი აღტაცება გამოიწვია მფრინავ წითელ არმიელის სიტყვამ, რომელმაც განაცხადა, რომ წითელი მფრინავები და მთელი წითელი არმია მზად არიან ეკვეთონ მტერს, თუ ეს საჭირო იქნება.

დასარულ სიტყვას ამბობს კავკ. წითელდროშოვან არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსი ამხ. ვასილჩენკო: „დღეს საჰაერო ძალებს კიდევ მიემატა ორი აეროპლანი. საჰაერო ფლოტის სახელით ვუძღვნი მადლობას საქართველოს მშრომელებს და კერძოდ თბილისის პროლეტარიატს. დარწმუნებული იყავით, რომ წითელი ფლოტი წითელ არმიასთან ერთად მზად არის მშრომელი სახელმწიფოს დასაცავად"—ამბობს ამხ. ვასილჩენკო.

სიტყვების დასასრულს აეროპლანები „საქართველოს პროფკავშირები" და „თბილისის პროლეტარიატი" ვაშას ძახილის ქვეშ ჩაყენებულ იქნენ ესკადრილიის რიგებში.

12 საათზე ესკადრილიის მთელმა შემადგენლობამ მოაწყო გაფრენა. აეროპლანები საბრძოლო წესით გაფრინდნენ ჯერ დასავლეთით, შემდეგ გადმოიარეს ქალაქზე და გაემართნენ კახეთის მიმართულებით. მიწაზე დაშვებამდე მათ ჰაერში გააკეთეს რამოდენიმე საჰაერო „ტრიუკი", გადასვლა ყირაზე, ტრიალი ჰაერში და სხვა.

ზეიმის დასასრულს იუნკერსით მიიღეს „საჰაერო ნათვლა" თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების წევრებმა.

მიტინგი აეროდრომზე

მაქსიმ გორკის საიუბილეო კამპანია

მ. გორკის სახელობის კლუბი

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ მიიღო რა მხედველობაში ის, რომ მ. გორკი პირველ ხანებში, მწერლობის დაწყებამდე იყო მღებავი და ეკუთვნოდა მშენებელ მუშათა წრეს, დაადგინა მშენებელ მუშათა კლუბს (ავლაბარში) უწოდოს მ. გორკის სახელი.

ამის გამო მშენებელთა კავშირმა გადაწყვიტა აღნიშნულ კლუბში ამ თვის შუა რიცხვებში გამართოს დიდი საზეიმო საღამო.

საღამოს წინ წაკითხული იქნება ვრცელი მოხსენება გორკის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. შემდეგ გაიმართება გორკის ნაწერების მხატვრული კითხვა, წარმოდგენილი იქნება გორკის პიესა „ფსკერზე" უკანასკნელი მოქმედება და გაიმართება საკონცერტო განყოფილება საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

ამავე საღამოზე კლუბის წევრებს უფასოთ დაურიგდებათ ცალკე წიგნათ გამოცემული გორკის ბიოგრაფია.

ამავე დღეს კლუბის დარბაზში დაკიდული იქნება გორკის დიდი სურათი.

მისალმება მაქსიმ გორკის

გუშინ საქართველოს პროფსაბჭომ მაქსიმ გორკის სორენტოში გაუგზავნა შემდეგი დეპეშა.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭო, საქართველოს შეკავშირებული პროლეტარიატის სახელით, მხურვალეთ გესალმებით და გისურვებთ ხანგრძლივ მხნეობას, რომ თქვენი შემოქმედებით, ისევე როგორც აქამდე, წარმოადგენდეთ მუშათა ბრძოლის და გმირობის სტიმულს.

საქართველოს პროლეტარიატს ახსოვხართ, გაფასებთ, უყვარხართ და მოგელისთ საქართველოში საბჭოთა კავშირში დაბრუნების შემ

მუშათა ცხოვრება

ლენინის უბნის ახალგაზრდათა შორის

4 აპრილს, პლეხანოვის სახელობის კლუბში შესდგა ლენინის რაიონის მუშა-ახალგაზრდების კრება, რომელსაც დაესწრო 500 კაცი. დღის წესრიგში იყო: მოხსენება პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებულ ახ. სექციის ბიუროს მუშაობის შესახებ და ახალი ბიუროს არჩევნები.

პირველი საკითხის ირგვლივ, მოხსენება გააკეთა ახ. სექციის ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. სილაძემ, რომელიც შეეხო ბიუროს მუშაობას ერთი წლის განმავლობაში და აღნიშნა, რომ ახსექციის ბიურო სათანადო მუშაობას აწარმოებდა ახალგაზრდათა შორის; ახალგაზრდობა ჩაბმულია კლუბთან არსებულ წრეებში: ქართულ-რუსულ დრამწრეში, საჭადრაკო წრეში, სიმებიან ორკესტრში, მომღერალთა გუნდში და სხ. გარდა ამისა კლუბთან არსებობს ახალგაზრდათა აქტივი, რომელიც მონაწილეობას ღებულობს საკლუბო მუშაობაში.

შემდეგ ამხ. სილაძე ეხება ბიუროს ნაკლს და ასკვნის, რომ ახ. სექციის ბიურო ვერ აწარმოებდა ორგანიზაციულ მუშაობას; სისტემატიურად არ იმართებოდა ახალგაზრდებისათვის საინტერესო საღამო-წარმოდგენები და სხვა. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები, აღნიშნავდნენ ბიუროს მუშაობის უარყოფითი მხარეებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ბიურომ ვერ შესძლო მუშა-ახალგაზრდობის უმრავლესობის ჩაბმა კლუბის საქმიანობაში.

დასასრულს არჩეულ იქნა ახ. სექციის ბიურო ამხ. კოჭლავაშვილის, შ. ქვლივიძის, თითარიშვილის, სილაძის, მინდიაშვილის და სხ. შემადგენლობით. ახალ ბიუროს დაევალა არსებულ ნაკლულოვანებათა აღმოფხვრა გამოსწორება.

ახალგაზრდათა სექციის ბიუროს თავმჯდომარე განთავისუფლებულია სამუშაოდან. იმედია ახალი ბიურო ლენინის უბნის ახალგაზრდათა შორის მუშაობას გამოაცოცხლებს და კრების მიერ მიცემულ პრაქტიკულ ღონისძიებებს ცხოვრებაში გაატარებს.

გ. თევზა.

დადგენილება შესრულდეს უნდა

(მუშათა და გლეხთა ინსპექციის საყურადღებოდ)

1924 წ. 4 თებერვალს საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატის ბრძანება № 64—329-ის თანახმად აკრძალულია ერთი მტვირთველი მუშის მიერ აწევა და გადატანა 82 კილოგრამის (5 ფუთის) მეტი ტვირთისა. მიუხედავად ამისა, მტვირთველ მუშებს მაინც ხშირად უხდებათ 8—10 ფ. მეტი ტვირთის აწევა და გადატანა, რის გამო ხშირია მათი ავადმყოფობა სხვადასხვა სნეულებებით.

აღნიშნული ბრძანების ცხოვრებაში გატარება, შესაძლებელია მექანიზაციისა და სტანდარტიზაციის შემოღებით წარმოებაში. საჭიროა სამუშაო ადგილებზე, სამეურნეო დარგების მიერ შემოღებულ იქნას უბრალო კონსტრუქციის მექანიკური მოწყობილება მაინც, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება მძიმე ტვირთების გადატან გადმოტანა. ასეთი ზომა მუშებს თავიდან აიშორებს უდროოდ ავადმყოფობას და სახელმწიფოსაც გაანთავისუფლებს ზედმეტი ხარჯისაგან.

გარდა ამისა ტრესტების და წარმოების გამგეობებს, უნდა მიეცეს სათანადო დირექტივა სტანდარტიზაციის გატარების შესახებ და არ უნდა გამოუშვან საცავა-წონაში 82 კილოგრამზე (5 ფუთზე) მეტი, მით უმეტეს, როდესაც მტვირთველ მუშებს, ყოველ დღიურად უხდებათ ნორმაზე მეტის გადამუშავება (ნორმად მიღებულია 8 საათის განმავლობაში 600 ფუთის გადატანა), ეს საკითხი აუცილებლად უნდა დაისვას სათანადო ორგანოების წინაშე.

იმედია ყურადღება მიექცევა 4.000-მდე მტვირთველ მუშას და უმაღლეს ორგანოს დადგენილება იქნება გატარებული ცხოვრებაში.

ალ. ფრუიძე.

საბინაო მშენებლობა თბილისში

საბინაო კოოპერაცია, საქართველოში—დაარსდა 1922 წელს—მაგრამ ფაქტიურად მან თავისი მუშაობა გააცხოველა 1926 წლიდან. 1926 წელს, თბილისში იყო 5 საბინაო ამხანაგობა, ამჟამად კი ითვლება 33 ამხანაგობა.

საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობაში ირიცხება 719 კაცი, ამათში მუშა 358 კაცი, ხოლო მოსამსახურე 361 კაცი.

1922—25 წლებში კოოპერატიულ ამხანაგობების მიერ აგებულია 53 ერთ ბინიანი სახლი, ხოლო თერთმეტი 2 ბინიანი სახლი, ამ ბინების საერთო მოცულობა უდრიდა 19.931,91 კუბ. მეტრს, საცხოვრებელი ფართობი კი შეადგენდა 2.432,5 კვ. მეტრს. ხოლო აგებულ სახლების ღირებულება უდრიდა 239.484 მან.

1925 წლიდან სახლთამშენებლობა გადავიდა უფრო დიდრონ საცხოვრებელ ბინების აგებაზე. სახლთმშენებლობაზე 1925—26 წლებში დაიხარჯა 623.000 მანეთი.

1927—28 წ. დაწყებულია მთელი რიგი ახალი სახლების შენება, რომლებიც ჯერ კიდევ არაა დამთავრებული. დამთავრების პროცესშია 88 ბინა. 267 ოთახით. მათი საერთო ფართობი უდრის 10.217 კვ. მეტრს, ხოლო საცხოვრებლად გამოსადეგი მოედნის სივრცე 6.000 კვ. მეტრს.

მუნიციპალურ სახლთმშენებლობის გარდა, კოოპერატიულ საბინაო მშენებლობასთან ერთად, სახლთმშენებლობას აწარმოებენ აგრეთვე სხვადასხვა ამხანაგობები. მათ შორის აღსანიშნავია სახელმწიფო ბანკი, რომელიც აშენებს სახლს 32 ბინით, რომლის ღირებულება უდრის 375.000 მან.

ჯ. ფ.

ჩარჩები გვყვლეფავენ

(მუშკოოპის გამგეობის საყურადღებოდ)

მთა წმინდის უბნის მცხოვრებთა უმრავლესობა მუშა-მოსამსახურეებია, თითქმის ყველა მათგანი მუშკოოპის წევრია, მაგრამ კოოპერატიული სავაჭროები აქ ძალიან ცოტაა.

ჭავჭავაძის ქუჩა, წყაროს უბანი და მთლიანად ამ უბნის მცხოვრებლებს, უხდებათ ვაჭრობა კერძო მედუქნეებთან, რომლებიც ტყავს აძრობენ მუშებს. ეს დიდი რაიონი ჩაგდებული აქვთ ხელში ჩარჩ ვაჭრებს ძმ. მიკარტუმოვებს, რომლებთანაც მცხოვრებლები ძალა-უნებურად ყიდულობენ საჭირო სურსათ სანოვაგეს, რადგან დავიდოვის და ლენინის ქუჩა, სადაც არის კოოპერატიული სავაჭრო, შორსაა.

მიკირტუმოვები სხვათა შორის თავიანთ სავაჭროებშიც ღვინოსაც ასხამენ მუშტრებს, რის უფლებაც მათ არა აქვთ.

დროა ასეთ ჩარჩ-ვაჭრებს ბოლო მოეღოს, მუშათა რაიონში და მის მაგივრად გაიხსნას მუშკოოპის სავაჭრო. მუშკოოპის გამგეობამ უნდა გადადგას ამ მხრივ ნაბიჯი.

მთაწმინდელი.

იარაღი ნადგურდება

(საყუდი)

ბევრჯერ იყო დასმული საკითხი საყუდში იარაღის შესანახ ყუთების მოწყობის შესახებ, მაგრამ მის მოწყობას საშველი არ დაადგა. ფარდულებში არის ფიცრის დიდრონი ყუთები, რომლებიც კუბოს უფრო წააგავან, ვიდრე იარაღის შესანახ ყუთს. ყუთები ყოველთვის წყლით და მაზუთით არის სავსე, რის გამო იარაღის შენახვა შეუძლებელია. უნდა ითქვას ისიც, რომ ყუთებიდან ბოლო ხანებში იკარგება იარაღები.

ამის მოწესრიგება კი სულ უბრალო საქმეა. საჭიროა მხოლოდ ყურადღება საქმისადმი და მონდომება. იარაღის შესანახად უნდა გაკეთდეს პატარ-პატარა ყუთები: სიგრძით 12 ვერშოკი, სიგანით 6 ვერშოკი და სიმაღლით 8. ყუთი დაყოფილი უნდა იყოს სამ განყოფილებად, სადაც უნდა ინახებოდეს ყველა საჭირო იარაღები, ყუთები უნდა მიიღონ მემანქანის თანაშემწეებმა და ჩააბარონ მათვე. ასეთი ყუთებში, არც სიბინძურე იქნება, არც ძენძი გაიხრწნება და არც იარაღი დაიკარგება.

საყუდის ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს სათანადო ზომები ასეთ ყუთების მოსაწყობად და ხელსაწყო-იარაღების განადგურების თავიდან ასაცილებლად.

მაშინოფილი.

„საქართველოს ღვინო"-ს მუშებში

„საქართველოს ღვინო"-ს ქარხანა შესდგება ბევრ სხვადასხვა განყოფილებისაგან. ქარხანაში მუშები საკმაო რაოდენობით მუშაობენ. ადმინისტრაცია კმაყოფილებას გამოსთქვამს მუშაობით, მაგრამ თვით მუშები კი ცოტა არიყოს უკმაყოფილონი არიან ადმინისტრაციის უყურადღებობით.

მუშების სიტყვით, ადმინისტრაცია ოდნავადაც არ ზრუნავს მუშების სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად: ლიკიორის განყოფილებაში, საშინელი ჰაერია. საჭიროა ვინტილიატორის მოწყობა, მაგრამ ადმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევს. ქარხანა გადასულია ზაჰესის ენერგიაზე, ელექტრო ძალი კი ისევ ძვირია. თუ არ შეიცვალა, შესაძლებელია ხანძარიც გაჩნდეს. ადმინისტრაციამ ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

გარდა ამისა სამრეცხაო განყოფილებაში მომუშავეებს, აცვიათ საკუთარი ტანსაცმელი. ადმინისტრაციამ უნდა მისცეს მათ სპეცტანსაცმელი.

რაც შეეხება კულტურულ მუშაობას, ამ მხრივ საუკეთესოდ არის დაყენებული საქმე მუშებში სწარმოებს საწრეო მუშაობა, ეწყობა ლექციები, ექსკურსიები და აგრეთვე გამოდის კედლის გაზეთიც, სადაც გაშუქებულია მუშების ყოფა-ცხოვრება.

მუშკორი.

მუშკორთა წერილებიდან

წყალის გადაზიდვა ფერხდება. ბორჯომის მინერალური წყლის ქარხნიდან საქონლის სადგურზე, ყოველდღე იგზავნება წყლით დატვირთული მუშა-მატარებელი, რომელსაც სისტემატიურად რამოდენიმე საათით უხდება გაჩერება სადგურის ნიშანსვეტთან. ამის გამო წყალის გადაზიდვა ფერხდება. სადგურის მორიგეებმა წინასწარვე უნდა მიიღონ ზომები ლიანდაგის განთავისუფლებლად.

მთიელი.

პაკანები იარაღს იპარავენ. თბილისის საყუდში ორთქლმავლებიდან პაკანები თითქმის ყოველდამე იპარავენ იარაღს. საყუდის ადმინისტრაციამ ბევრი ზომები მიიღო პაკანების თარეშის წინააღმდეგ, მაგრამ ქურდობას მაინც ბოლო არ მოეღო. საჭიროა რკ. გზის დამცველმა რაზმმა ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას.

ძია ლევან.

შეაკეთეთ (ქუთაისი). სადგურის ქუჩა იმდენად დაზიანებულია, რომ გავლა შეუძლებელი ხდება. განსაკუთრებით წვიმიან დღეს, მთელი ქუჩა ტბას მოგაგონებთ. აღმასკომო, შეაკეთე სადგურის ქუჩა.

ნ. მიქაბერიძე.

სარედაქციო კოლეგიამ მიიძინა. სპილენძის სატკეცი ქარხნის კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიას სძინავს. უკვე კარგა ხანაა, რაც ქარხანაში არ გამოსულა კედლის გაზეთი და არც ზომებია მიღებული მის გამოსაცემად. ქარხკომო, გამოაღვიძე სარედაქციო კოლეგია.

ცეცხლფარი.

მუშკორთა კრებებს არ იწვევენ. ტყავტრესტის ფეხსაცმელების ქარხანაში, საცხოვრო კედლის გაზეთი გამოდის, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მუშკორთა კრებებს ძალიან გვიან-გვიან იწვევენ. საჭიროა სარედაქციო კოლეგიამ ხშირად მოიწვიოს მუშკორთა კრებები და გააძლიეროს მუშკორთა ორგანიზაცია ქარხანაში.

მეტყევე.

ეს უბანიც გაანათეთ. პეტროვის ქუჩის ზემოთ, მამადავითის მთის კალთებზე, სადაც უმთავრესად მუშები სცხოვრობენ არ არის სინათლე. ჩაყრილია ბოძები სინათლის გამოსაყვანად, მაგრამ როდის გაანათებს „თელ"-სი ამ უბანს, არავინ იცის.

რკ. გზელი.

უსუფთაობამ შეგვაწუხა. ავჭალის მოედანზე საშინელი სიბინძურეა გამეფებული. ყოველდღე აქ ჩერდებიან სოფლიდან ჩამოსული ურმები, რომლებიც ჰქმნიან უსუფთაობას. მეეზოვეები კი უკმეხს წავლენ შემდეგ არ ასუფთავებენ. სანიტკომისიავ, დაიცავი სისუფთავე.

მცხოვრები.

თბილისის საბჭოს საანგარიშო კამპანია

დეპუტატთა მაგიდები ყველა წარმოებაში უნდა მოეწყოს.—საბჭოს პასიური წევრები უკან უნდა იქნენ გაწვეული.—საბჭოს პრაქტიკულ მუშაობაში დეპუტატების გარდა ჩაბმულია 655 აქტივისტი მუშა.—წითელარმიელები დიდ მონაწილეობას ღებულობენ საბჭოს მუშაობაში.

საბჭოს მუშაობა მოიწონეს

7 აპრილს, საქართველოს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში შესდგა წერითი დამხმარე ბიუროს თანამშრომლებისა და „ზაკგოსპრო"-ს მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება. კრებამ მოისმინა საბჭოს წევრის, ამხ. კაჩეჩიანის მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა სათანადო სტატისტიკური ცნობებით აღნიშნა, საბჭოს შემადგენლობის გაუმჯობესება სოციალური მდგომარეობის მიხედვით. როგორ მონაწილეობას იღებენ საბჭოს დეპუტატები სექციების მუშაობაში და სხვ.

მომხსენებლის სიტყვით, კომუნალურ, ჯანმრთელობის და სავაჭრო-კოოპერატიულ სექციების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ, დიდი ნაყოფი გამოიღო. გამოკვლევის შემდეგ, თითქმის ყველა სავადმყოფოებისა და კოოპერატიულ ორგანიზაციების მუშაობა საგრძნობლად გამოცოცხლდა. შემდეგ მომხსენებელი გადადის კომუნალურ მეურნეობის მდგომარეობაზე თბილისში და ასკვნის, რომ ამ დარგშიც ქ. საბჭომ დიდი მუშაობა ჩაატარა: გაფართოებულ იქნა ქუჩები, მოწყობილია ბაღები, გაყვანილია კანალიზაცია, მიმდინარე წლის დამლევს ექსპლოატაციოდ გაუშვებენ მოსკოვში დამზადებულ 54 ტრამვაის რონოდს, აგებული იქნება ფაბრიკა-ქარხნები და სხ.

მომხსენებელს მისცეს 15-მდე შეკითხვა, რომელზეც ამხ. კაჩეჩიანმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ხიტრინმა, ზარსკიმ, ბასილაიამ, ონანოვმა და სხვ. ორატორები აღნიშნავდენ, რომ მუშკოოპის მაღაზიებიდან კერძო ვაჭრებს ხშირად ფარულად გამოაქვთ საქონელი და ზედმეტ ფასებში ჰყიდიან. ზოგიერთი განაპირა უბნების: საბურთალოს, ხარფუხის და სხ. კეთილმოწყობას, საბჭო ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ზოგიერთ რაიონებში არ არის პურის საცხობების საკმაო რიცხვი, რის გამო ჩნდება უშველებელი რიგები და სხვა. კამათში გამოსულ ამხანაგებს, საჭიროდ მიაჩნიათ უპატრონო ბავშვთა საზოგადოებების მუშაობის გაცხოველება. ნაწილი ორატორებისა ეხებიან წითელი სასადილოების უქონლობას და მოითხოვენ ახალი სასადილოების გახსნას.

კრებამ საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო, რის შემდეგ მოხდა სასამართლოს მსაჯულების არჩევა—არჩეულ იქნა 7 კაცი.

ვა—ლი.

წითელარმიელები საბჭოს მუშაობის შესახებ

გუშინ, საღამოს 8 საათზე, ქართულ დივიზიის 1-ლ არტლეგიონის კლუბში შესდგა ამავე ლეგიონის წითელ არმიელთა კრება. კრების დაწყებამდე დამსწრე არმიელებმა მოისმინეს რადიო-კონცერტი. შემდეგ თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა საბჭოს დეპუტატმა, ამავე დივიზიის უფროსმა ამხ. ფრუიძემ. მომხსენებელი ვრცლად შეეხო საერთოდ თბილისის საბჭოს და ცალკე სექციების მუშაობას და აღნიშნა, რომ გასულ წლებთან შედარებით თბ. საბჭომ, თავისი მუშაობა საგრძნობლად გამოაცოცხლა. ამხ. ფრუიძემ მოიყვანა სტატისტიკური ცნობები, საბჭოს მუშაობის შესახებ, და აღნიშნა ის თუ რა უნდა გააკეთოს საბჭომ მომავალში, როგორც კომუნალურ მეურნეობის გაუმჯობესების და ჯანმრთელობის დაცვის საქმის მოწესრიგებაში, ისე კოოპერაციის გაჯანსაღების დარგშიც.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო წითელარმიის მონაწილეობას თბილისის საბჭოს ყოველდღიურ საქმიანობაში და განაცხადა, რომ წითელი არმია ჩაბმულია ჩვენი მეურნეობის აყვავება-განმტკიცების საქმეში. დასასრულ, ამხ. ფრუიძე, აღნიშნავს საბჭოს მუშაობაში არსებულ დეფექტებს და მის გამოსასწორებლად მიღებულ ღონისძიებებს.

მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები, რომელიც დაკავშირებული იყო წითელი არმიის ცხოვრებასთან, მომხსენებელმა ყველას შესაფერი პასუხი გასცა, რის შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ ზოგიერთ ნაკლულოვანებებს საბჭოს მუშაობისას და მოითხოვდნენ მის გამოსწორებას. გარდა ამისა ორატორები საჭიროდ სცნობენ, რათა წითელ არმიის მონაწილეობას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს თბ. საბჭომ და მიიღოს ზომები წითელ არმიის აქტივის ჩასაბმელად საბჭოს მუშაობაში.

კამათის დასრულებისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ თბილისის საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

წ. არმ.

მოხსენება მოვისმინეთ

ხუთშაბათს 5 აპრილს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგა არსრაიონის საბჭოს დეპუტატთა კრება, კრებამ მოისმინა ამხ. სიხარულიძის მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ. მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო საბჭოს მუშაობას და აღნიშნა, რომ თბილისის საბჭო, მიმდინარე წლის პერიოდში გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში სექციების მუშაობა საგრძნობლად გამოცოცხლდა. შემდეგ მომხსენებელი ეხება ამომრჩეველთა მასას და ასკვნის, რომ ამომრჩევლები აქტიურად ჩაებენ საბჭოს მუშაობაში.

მომხსენებელს მისცეს შეკითხვები, რაზედაც ამხ. სიხარულიძემ ამომწურავი პასუხი გასცა. კრებამ საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

ი. ჯ.

მესაქონლეობა

ზოოტექნიკური გამოკვლევა

ამჟამად აფხაზეთში მიმდინარეობს მეწველ საქონლის ზოოტექნიკური გამოკვლევა, რომელიც მიზნად ისახავს აღრიცხვას, ფოტოგრაფიულად გადაიღოს და აღწეროს ყველა ის ძროხები, რომელნიც წლიურად იძლევიან არა ნაკლებ 200 ფუთი რძისა. აფხაზეთის მიწათმოქმედების საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობით, ამჟამად აფხაზეთში ირიცხება 35.000 მეწველი ძროხა. ისეთი ძროხა, რომელიც ყოველ წლიურად 200 ვედროზე ნაკლებ რძეს არ იძლევა—400-ს არ აღემატება, დანარჩენის ყოველწლიური წველა 400 ვედროზე მეტი არ არის. ზოოტექნიკებს რომელთაც მინდობილი აქვთ ამ გამოკვლევის ჩატარება, ევალებათ აგრეთვე შეისყიდონ, რაც შეიძლება მეტი სხვა კარგი ჯიშის ძროხები იმ ფერმებისათვის, რომელსაც ამჟამად აწყობს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი. ეს გამოკვლევა, რომელიც ორ თვეზე მეტია მიმდინარეობს, დამთავრდება ამა წლის ზაფხულის დამლევს. გამოკვლევის შედეგები გამოცემული იქნება ცალკე წიგნად.

გარდა ზემოხსენებულ ღონისძიებისა მესაქონლეობის გასაუმჯობესებლად მიწსახკომისაგან მიღებულია შემდეგი ზომები: საცდელი ფერმებისა და საგრილებელი პუნქტებისათვის ყუბანში შეძენილია გერმანული ჯიშის 12 მოზვერი.

სოფლის საბჭოების გამოკვლევა აფხაზეთში

საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილებამ ამ ბოლო დროს მოახდინა აფხაზეთის სოფლის საბჭოთა მუშაობის გამოკვლევა. ეს გამოკვლევა მდიდარ მასალას იძლევა აფხაზეთის თანამედროვე სოფლის გასაცნობად და იმის გასათვალისწინებლად, თუ რა კეთდება იქ.

წარმატებებთან ერთად აღნიშნულია მრავალი ნაკლიც, რაც აფერხებს სოფლის საერთო ტემპით წინსვლას და საბჭოთა კულტურულ, ეკონომიურ და საერთო სახელმწიფოებრივ გეზის სწორად გატარებას.

ცაკის პრეზიდიუმმა განიხილა სათანადო მოხსენება და შესაფერი პრაქტიკული დასკვნები გამოიტანა მის შესახებ.

პირველ ყოვლისა აღნიშნულია საერთო წარმატებანი:

1. გაღრმავებულია მოსახლეობის სწრაფვა კულტურული წინსვლისადმი, სკოლებისა და სავადმყოფოების აღმშენებლობისადმი და სხვა. 2. გაძლიერებულია კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობა იმ მხრივ, რომ პირველ საჭიროების საგნების მიწოდება გლეხობისათვის თანდათან მატულობს. 3. გაუმჯობესებულია გზა-ტკეცილებისა და სასოფლო გზების გაყვანის საქმე.

4. წარმატებით მიმდინარეობს ბრძოლა სისხლის აღების ადათის წინააღმდეგ და სხ.

ცაკის პრეზიდიუმმა დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომელთაგან უფრო აღსანიშნავია შემდეგი:

1. მოსახლეობა თვითდაბეგვრის აწარმოებს ადმინისტრატიულ საჭიროებისათვის: (სოფლის მილიციის და საბჭოს მდივნის შენახვა, საბჭოს შენობის შეკეთება და სხვა). დადგენილია—მოისპოს ასეთი თვითდაბეგვრა. 2. თვითდაბეგვრა თანაბრად ნაწილდება მთელი მოსახლეობის შორის. დადგენილია: თვითდაბეგვრის განაწილება შემდეგისათვის ხდებოდეს კლასიური პრინციპის მიხედვით, რისთვისაც გლეხები დაყოფილ უნდა იქნენ ცალკე კატეგორიებათ; ღარიბნი, ქვრივები და ობლები სავსებით უნდა განთავისუფლდნენ მისგან. 3. თვითდაბეგვრა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ისეთი საჭიროებისათვის, რაც კანონით გათვალისწინებულია და რის განხორციელებასაც შესძლებს ადგილობრივი მოსახლეობა. 4. დაიწმინდოს შემადგენლობა იმ გლეხკომებისა, რომლებიც შემჩნეულ არიან მელანგველობასა და ბოროტმოქმედებაში, როგორიც, მაგ. ბაბუშერისა. მათ მაგიერ დაარსდეს სრულიად ახალი გლეხკომები, რომლებშიაც ჩაბმულ უნდა იქნენ რაც შეიძლება მეტი ღარიბი და საშუალო გლეხობა. სოფლის გლეხკომებზე უნდა გაძლიერდეს ხელმძღვანელობა ზემდგომი ორგანოების მხრივ. 5. მკაცრი ბრძოლა უნდა იქნეს წარმოებული მიწის ყიდვა-გაყიდვის, წინააღმდეგ, რაც ჯერ კიდევ წარმოებს ფარულის სახით.

6. სოფლის საბჭოებისა და სამაზრო აღმასკომების მომავალ არჩევნების დროს აღებულ უნდა იქნეს უფრო მტკიცე კურსი ყველა ეროვნებათა წარმომადგენლების საბჭოებში ჩაბმისათვის იმ რიგად, რომ საბჭომ სწორად გამოხატოს ამა თუ იმ სოფლის ეროვნული შემადგენლობა.

7. რომ სოფლის საბჭოებმა აწარმოონ უფრო ნაყოფიერი და ყოველმხრივი მუშაობა, საჭიროა შეიქმნას სოფლის საბჭოს საკუთარი ბიუჯეტი.

დასახულია კიდევ სხვა პრაქტიკული ღონისძიებანი შესახებ კულტ. მუშაობისა, კოოპერაციისა, აგრო-პუნქტებისა, სანიტ-მოწყობისა. ხელმძღვანელ ორგანოების შესაფერ დონეზე დაყენებისა და სხვა.

მოხსენების განხილვისა და ღონისძიებათა გამომუშავებაში მონაწილეობას იღებდა აფხაზეთის ცაკის წარმომადგენელიც.

ქრონიკა

16 აპრილი დასასვენებელი დღეა

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის განმარტებით, 16 აპრილი გამოცხადებულია განსაკუთრებულ დასასვენებელ დღეთ.

სოფლის მეურნეობის დაზღვევა მოუსავლიანობისაგან

საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა პროექტი სოფლის მეურნეობის დაზღვევისა მოუსავლიანობისაგან.

ხსენებული პროექტი განხილულ იქნა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის უკანასკნელ სხდომაზე.

სოფლის მეურნეობის დაზღვევა მოუსავლიანობისაგან სახ. საგეგმო კომისიამ პრინციპიალურად სასურველად სცნო, მაგრამ ვინაიდან საკავშირო ფინსახკომის მიერ შემუშავებული პროექტი არ შეეფერება საქართველოს სოფლის მეურნეობის პირობებს, ამიტომ ხსენებული პროექტი მიუღებლათ იქნა ცნობილი საქართველოსთვის.

ამასთანავე სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაავალა სახელმწიფო დაზღვევის მთავარ კანტორას შეისწავლოს ჩვენი სოფლის მეურნეობის პირობები და ამ პირობებთან შეფარდებით შეიმუშაოს დაზღვევის წესები, რომლებიც დასამტკიცებლად წარადგინოს საგეგმო კომისიაში.

მკითხველთა კონფერენციის მოწვევა

5 მაისს, ბეჭდვითი სიტყვის დღეს, საქ. პროფსაბჭოს კულტ-განყოფილების ინიციატივით, თბილისში მოწვეული იქნება მკითხველთა კონფერენცია. კონფერენციის მოწვევის მიზანია იმის გამორკვევა, თუ რა სამსახურს უწევს მუშა-მკითხველებს ბიბლიოთეკა-სამკითხველოები.

გამოფენა

რუსთაველის თეატრის შენობაში გაიხსნა ამიერ-კავკასიის ცაკის გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ამიერ-კავკ. რესპუბლიკების მიღწევები მხატვრულ და გრაფიკულ დიაგრამებისა და ფოტოგრაფიულ სურათების სახით.

გამოფენა ღიაა ხუთშაბათისა გარდა ყოველ დღე დილის 11—3 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე.

კვირაობით ექსკურსანტებს და სხვა მნახველებს შესაფერ ახსნა-განმარტებას მისცემს სპეციალური პირი.

სახალხო ჯანმრთელობა

◆ **სანიტ.** ექიმების გადასამზადებლად ახლო ხანში თბილისში გაიხსნება მოკლევადიანი კურსები.

◆ **კურორტებზე.** საკურორტო სამმართველომ სხვადასხვა კურორტებზე დღემდე გასცა 250 ოთახი.

„საქართველოს ჩაი"

◆ **ჩაის ახალი პლანტაციები.** „საქართველოს ჩაი" შეუდგა სესხის მიცემას ჩაის მეურნე გლეხებისათვის. ახლად გაშენებულ თითოეულ დესეტინაზე გლეხებს ეძლევა 400 მან.

◆ **ჩაის თესლი.** „საქართველოს ჩაიმ" ინდოეთიდან მიიღო ჩაის თესლის ახალი პარტია. თესლი ჩაის მეურნე გლეხებს ამ დღეებში გაუნაწილდება.

პროფკავშირებში

◆ **იურიდიული დახმარება.** პროფსაბჭოსთან არსებულ იურიდიულ დახმარების ბიურომ მარტში უფასო იურიდიული დახმარება აღმოუჩინა კავშირის 2317 წევრს.

◆ **კლუბი.** საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირმა გადასწყვიტა თავის წევრებისათვის ააგოს ახალი კლუბი ქალაქის ცენტრში.

◆ **კულტმუშაობის** გასაცხოველებლად ფეიქართა კავშირმა აბრეშუმის ქარხნებისა ფაბრიკებისათვის გადასდო 1.300 მანეთი.

კრებები და მოხსენებები

◆ **საქ.** მუზეუმის აუდიტორიაში 20 აპრილს შესდგება საქ. ისტორიო და ეთნოგრაფიო საზოგადოების წლიური კრება.

◆ **თბ.** შინამრეწველ-ხელოსანთა საკრედიტო კოოპ. ამხანაგობის საერთო კრება შესდგება დღეს, საღამოს 6 საათზე. შინამრეწველ ხელოსანთა კლუბში.

◆ **სტიპენდიანტთა კრება.** ოთხშაბათს, 11 აპრილს, საღამოს 5 ს. უნივერსიტეტში მოწვეულია სტიპენდიანტთა კრება.

სხვადასხვა

◆ **ახალი ქარხანა.** ბათომში დამთავრდა ნავთის საწმენდი ქარხნის აგება. ქარხანა დღიურად გადაამუშავებს 500 ტონა ნავთს.

◆ **ფეხსაცმელები.** მუშკოოპი ამ დღეებში მიიღებს 19,000 ცალ საგაზაფხულო ფეხსაცმელს.

◆ **ნანადირევის გამსაღებელი პუნქტი.** ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატმა გადასწყვიტა თბილისში გახსნას ნანადირევის გამსაღებელი პუნქტი.

საბინაო აღმშენებლობა რკინის გზებზე

30 ახალი სახლი რკინისგზელებისათვის

ამიერ-კავკ. რკინის გზების გამგეობამ რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტთან ერთად დაამტკიცა მიმდინარე წლის საბინაო აღმშენებლობის გეგმა.

წელს რკინისგზელებისათვის ბინების აშენება სწარმოებს შემდეგ ადგილებში: ბათომში აგებული იქნება ერთი ერთსართულიანი სახლი, ფოთში—ორი თითო სართულიანი, შორაპანში—ერთი ერთსართულიანი, ხაშურში—ერთი ერთსართულიანი, თბილისში—ორი ორსართულიანი, გურჯაანში—ორი თითო სართულიანი, განჯაში—რვა თითოსართულიანი, ხაჩმასში—ერთი ერთსართულიანი, ლენინაკანში—ექვსი თითო სართულიანი და ერევანში—სამი თითო სართულიანი სახლი.

ამგვარად სულ აგებული იქნება 30 სახლი—136 ბინით. ამ სახლების ღირებულება ხარჯთაღრიცხვის მიხედვით უდრის—646 481 მან 40 კაპ., რომელსაც გაიღებს ცენტრალური კომუნალური ბანკი.

გარდა ამისა, რკინისგზელებისათვის ბინები აგებული იქნება ბალაჯარაში საკავშირო სახკომსაბჭოს ხარჯზე. ამ მიზნით გადადებულია —200.000 მანეთი.

მიმდინარე წელს დიდ დახმარებას მიიღებენ აგრეთვე რკინისგზელთა საბინაო-საამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობები.

მაგალითად, ბაქოელ რკინისგზელთა კოოპერატიული ამხანაგობა „წითელი რკინისგზელი" საბინაო მშენებლობისათვის მიიღებს სესხად 20.000 მანეთს. ამხ. მიასნიკოვის სახელობის ამხანაგობა (ლენინაკანში) მიიღებს—20.000 მანეთს და ტროცკის სახელობის საბინაო ამხანაგობა (თბილისში)—35.000 მანეთს.

ამიერ-კავკ. რკინის გზების გამგეობის მიერ ბაქოში შეძენილი სახლები (მთელი უბანი) გადაწყვეტილია გადაეცეს ამხანაგობა „წითელ რკინისგზელს".

მშენებლობის 15 პროცენტით გაიაფების მიზნით, გზის სალიანდაგო განყოფილებას მოცემული აქვს წინადადება შეიმუშაოს საცხოვრებელ სახლების, რაც შეიძლება რაციონალური პროექტები.

ამიერ-კავკ. რკინის გზებზე საბინაო მშენებლობისათვის გზათა კომისარიატის მიერ დამატებით გაცემულია 650.000 მანეთი, რომელიც ჯერ არ არის განაწილებული.

ხელოვნება

სახელმწიფო აკა დემიურ ოპერაში

„მადამ ბატერფლეი" მუს. პუჩინისა
ლ. ი. ლიპკოვსკაიას მე-3 გასტროლი

„მადამ ბატერფლეი" პირველად დაიდგა მიმდინარე სეზონში, 7 აპრილს, ლ. ლიპკოვსკაიას წყალობით. მხოლოდ მისმა სურვილმა, რომ თავისი მე-3 გასტროლი ჩაეტარებია ბატერფლეის როლში, გამოიწვია ამ შშვენიერი ოპერის განახლება. ამ ოპერის უმთავრეს ღირსებათ ჩაითვლება არა მარტო დრამატიულ სიუჟეტის ამაღელვებელი ხასიათი, არამედ თვით მუსიკალური შინაარსის დამახასიათებელი თავისებურობა, ჰარმონიულ წყობათა ფრიად ორიგინალური შეკავშირება და მიმდინარეობა და ამ ორიგინალობის საუკეთესოდ ჩამოყალიბება ინსტრუმენტალობის საშუალებით. პუჩინის შემოქმედებას საერთოდ ახასიათებს ორი მთავარი ელემენტი: კლასიკურ მუსიკაში მიღებულ ტრაფარეტიდან ერთი მხრივ— განზრახი დაშორება და წყობათა მიმდინარეობის და ერთმანეთთან დაკავშირების ახალი კომბინაციების ძებნა, მეორე მხრივ—დრამატიულ-შინაარსის გამუქებაში უპირატესობის მინიჭება ორკესტრისათვის, ე. ი. აზრის გამოხატვის სიმძიმის გადატანა სასიმღერო ფრაზის მოხაზულობიდან პოლიფონიურ (მრავალხმოვანობის) სირთულეზე. ეს სირთულე და ჰარმონიულ წყობათა მიმდინარეობის თავისებურობა იწვევენ ინსტრუმენტალობის ხმოვანების გაძლიერებას. სხვადასხვა დრამატიულ მომენტების გასაშუქებლად კომპოზიტორი იძულებულია შეაზავოს დასაკრავთა სხვადასხვა ჯგუფების ელფერი და, უწევს რა ანგარიშს, რომ ბატერფლეის სულიერი დრამა ვითარდება იაპონიაში იძულებულია სტილის დასაცავად მოიხმაროს ხუთ-ბგეროვანი წყობა და აამაუროს მეტად თუ ნაკლებათ სპილენძის ჯგუფი, რათა შექმნას იმის სინათლით გაჟღენთილ და დამატყვევებელ ცხელ ჰავის შთაბეჭდილება.

ინსტრუმენტალობის ზემოაღნიშნული თვისებები ბადავდენ ჩვენში ეჭვს, რომ ორკესტრის ხმოვანება დაჰფარავს ლიპკოვსკაიას სიმღერას, ვინაიდან ამ მომღერალის ხმას ახასიათებს არა სიძლიერე, არამედ სინაზე და მშვენიერი გემოვნება სიმღერაში. ეს ეჭვი უფრო ძლიერდებოდა იმ გარემოებით, რომ ლოტბარის, ი. ფალიაშვილის ავადმყოფობის გამო, „ბატერფლეი"-ს ლოტბარობა მიენდო ა. მელიქ-ფაშაევს, რომელსაც ამ ოპერით არც ულოტბარნია, არც საკმარისი დრო ჰქონდა მისი დამზადებისათვის და ორკესტრთან ლიპკოვსკაიას სიმღერის ხელსაყრელად შეზავებისათვის. სინამდვილემ არამც თუ გააქარწყლა ეს ეჭვი, არამედ შექმნა საუცხოვო ესტეტიური შთაბეჭდილება. არც ერთხელ ამის ხმა ლიპკოვსკაიასი არ ყოფილა ისეთი მტკიცე და გარკვეული, როგორც ამ საღამოს; ამავე დროს არც ერთ ოპერაში ეს მსახიობი არ იყო იმოდენად ძლიერი დრამატიულად, როგორც ბატერფლეის როლში. მისი ბატერფლეის სულის სიწმინდე და უმანკოება იმოდენად ნატურალურია და ბატერფლეის საშინელი დრამატიული განცდა ლიპკოვსკაიას შემოქმედებაში იმოდენად გამართლებულია ლოღიკურად, რომ ამგვარი შთაბეჭდილება შეუძლია მოახდინოს მხოლოდ დიდი დრამატიული ნიჭის პატრონმა მსახიობმა.

ოპერაში დანარჩენ მონაწილეთა რიცხვიდან ჩვეულებრივ შთაბეჭდილებას სტოვებს გ. ვენაძე კონსულის როლში. ეს როლი, როგორც სჩანს, სერიოზულად აქვს მას დამუშავებული; ხმას ამოძრავებს თავისუფლად და მშვენიერი მეტყველებით, ტონით, შეხედულობით, სასიმღერო ფრაზების დარბაისელი ინტონაცია—ყველა ეს ამტკიცებს, რომ მომღერალს კარგად შეგნებული აქვს ამ როლის ყველა დეტალი.

რაც შეეხება ა. მელიქ-ფაშაევის ლოტბარობას, მან ერთხელ კიდევ დაამტკიცა ჩვენი რწმენა მის უეჭვო ნიჭიერებაში, ვინაიდან ოპერის სირთულე მის მიერ შშვენიერად იყო დაძლეული და შეფარდებული ლიპკოვსკაიას ხმოვანებასთან; იმავე დროს მისი ლოტბარობა მატარებელი და გამომხატველი იყო კომპოზიტორის მხატვრული ჩანაფიქრებისა.

კოტე მეღვინეთ-უხუცესი.

ხელოვნების ქრონიკა

◆ „ლამარა". დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ლამარა".

◆ ლიპკოვსკაიას მონაწილეობით ოპერის თეატრში დღეს დაკლებულ ფასებში წარმოდგენილი იქნება „ქ-ნი ბატერფლეი".

◆ გლეხთა სახახლის კულტურული ფონდის გასაძლიერებლად 16 აპრილს სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება გლეხურ შემოქმედების დიდი საღამო-კონცერტი.

◆ მედსანშრომის კავშირთან მოეწყო პროლეტარულ სტუდენტ მომღერალთა გუნდი—ბ. ღოღობერიძის ხელმძღვანელობით.

სასამართლო

ღორი და „პასუხისმგებელი მდივანი"

ლაპარაკი გვაქვს ისეთ ამბავზე, რომელშიაც უფრო მეტ როლს თამაშობს ღორი, ვინემ „პასუხისმგებელი მდივანი".

ამბავი ხდება ს. ხევსურეთ-სოფელში (თბილისის მაზრა).

გლეხს გიორგი სალიაურს სკოლის საჭიროებისათვის ეზოს ნაწილი ჩამოართვეს.

უკმაყოფილო იყო სალიაური. არ უნდოდა, რომ მისი ეზო სკოლის ბავშვების სათამაშო მოედნად გამხდარიყო, მაგრამ რაკი სოფლის ამორჩეულ პირების გადაწყვეტილებით მოხდა ეს საქმე, სალიაური შეურიგდა ბედს.

მალე გამოუჩნდა სალიაურს მტრაკვეცა „ქომაგი"—ლევან დავითისძე არაბაული.

— შენ არხეინად იყავი... თუ ბიჭი ვარ, შენს ეზოში არავის ფეხს არ დავადგმევიებ. ფეხებზე მკიდია სოფლის ამორჩეული პირები.. სულ კუდით ქვას ვასროლიებ...

— შენ გენაცვალოს ჩემი თავი! შენ ყოფილხარ ჩემი მხსნელი. ოღონდ ეს საქმე მოგვარე და ფეშქეში ჩემზე იყოს,—ელაპარაკება გიორგი სალიაური.

აქ საჭიროა დავასახელოთ არაბაულის თანამდებობა. ის გახლდათ მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი.

როცა ლაპარაკი ფეშქეშზე ჩამოვარდა, არაბაულს სახე გაუნათლდა და გაახსენდა, რომ სალიაურს ჩასუქებული ღორები ჰყავდა.

— კაცო, რად გინდა ამდენი ღორი რომ გყავს,—გადაუდგა „პასუხისმგებელი მდივანი" ღორზე.

— თქვენ ეს საქმე მოახერხეთ და ჩემი თავიც და ჩემი ერთი ღორიც შენ გენაცვლოს!!—ელაპარაკება გიორგი.

მდივანი უცდიდა ღორს, ხოლო გიორგი სალიაური უცდიდა ეზოს ნაწილის უკანვე დაბრუნებას.

არ დაადგა საშველი ფეშქეშის მიღებას. არაბაული ძალიან გულნატკენი იყო. ყოველ დღე ნახულობდა სალიაურს და ლაპარაკს ჩამოუგდებდა ხოლმე „ღორის ჯანმრთელობაზე"...

— ღორი კარგად არის მაგრამ, ეზოს საქმე როგორ არის?—ეტყოდა სალიაური.

გაბრაზდა „პასუხისმგებელი მდივანი".

— შენ უარესის ღირსი ხარ! ეხლა რომ ამორჩეული პირები კარგად მოქცეულან. მე ვეცდები, რომ მთელი ეზო ჩამოგართვან.

— თქვენ ყოფილხართ, ბატონო, აღმასკომის თავმჯდომარე!

— აღმასკომის თავმჯდომარეც ვარ და ცოტა მეტიც. ჩემი ფუნქციები კომისრის ფუნქციებს უახლოვდება... აწი მე, მკითხე რა დღე დაგაყენო! ციხეში ამოგალპობ!..

როგორც ხედავთ, ყველაფერი ღორის ბრალია. სალიაურს რომ ფეშქეშად ღორი მიეყვანა „პასუხისმგებელ მდივნისათვის" დავა უპრალოდ გადაწყდებოდა.

მარტო სალიაური როდი ჰყავდა დაჯაბნებული არაბაულს. ხევსურეთ-სოფლის მთელი გლეხობა მისი შიშის ქვეშ იყო დაყენებული. ყველას აშინებდა თავის „დიდ-კაცობით"...

მართლაც მოახერხა არაბაულმა მუქარის შესრულება. სალიაური, რომელმაც ღორი არ უფეშქეშა არაბაულს, დაპატიმრებული იქნა უკანასკნელის დასმენით. ორი დღე იჯდა და რაკი არაფერი დაუმტკიცდა—გამოუშვეს.

რევოლვერიც ეკიდა „პასუხისმგებელ მდივანს" „კოლტის" სისტემის. სად არ იყენებდა არაბაული ამ რევოლვერს. საკმარისია მარტო ერთი ფაქტი.

არაბაული შედის სადალაქოში თავის გასაკრეჭად, დალაქი გახლდათ სალიაური, რომელთანაც ღორის თაობაზე უკმაყოფილება ჰქონდა.

არაბაულმა წამოაგდო ზეზე საპნით გაქაფული გლეხი, რომელიც წვერს იპარსავდა დალაქთან და თვითონ დაჯდა. რევოლვერზე ხელის წავლება კმაროდა, რომ შეშინებულ გლეხს მიეტოვებია წვერის პარსვა.

დაჯდა არაბაული და დაუწყო სალიაურს ლანძღვა: „შენ რომ ჩემთვის ღორის ხორცი არ მოგიტანია"

— გვაპატიეთ ბატონო, მაგრამ ღორს ჭირი გაუჩნდა და მოკვდა,—ელაპარაკება სალიაური—მე შენ გაგიჩენ ჭირს,—არაბაულმა ამოიღო და მომართა ხელში რევოლვერი. ეს შენიშნა იქვე მახლობლად მყოფმა სალიაურის ცოლმა და მორთო კივილი.

როგორც ხედავთ, სულ ყველაფერი ისევ ღორის ბრალია.

ასეთი იყო ლევან არაბაული გლეხობისათვის. ასე უტეხდა სახელს ხელისუფლებას.

ჩვენ ეს ერთი მაგალითი მოვიყვანეთ მხოლოდ. საბრალმდებლო დასკვნაში კიდევ მრავალია ფაქტი, რომელიც მოწმობს იმას, თუ როგორ ჰყავდა მთელი არაბაულის სოფლის გლეხობა ტერორის ქვეშ დაყენებული.

„პასუხისმგებელი მდივანი" გადაჰყვა ღორის ჯავრს. სამომჩივნელო ორგანოს ყურში ჩასცდა ღორის ამბავი. ამ ამბავს მოჰყვა სხვა დანარჩენი და არაბაულმა თავი დაუკრა მიწა-ტყის მუშაკთა კავშირს.

არაბაული პასუხისგებაშია მიცემული. საქმეს ამ დღეებში გაარჩევს თბილისის მაზრის გამსვლელი სესია. გასამართლება მოხდება ადგილობრივ არაბაულის მიერ შევიწროვებულ გლეხების თანადასწრებით.

ზერ.

შემთხვევები

კატასტროფა პლეხანოვის პროსპექტზე

კვირას, 8 აპრილს, დღისით ტრამვაის ვაგონი (№ 101, მარშრუტი მე-12-ე), რომელსაც მართავდა ვატმანი შუტკინი პლეხანოვის პროსპექტზე სახლი № 5 პირდაპირ, გადასავალ ისარზე დაეჯახა ტრამვაის მეორე ხაზზე მიმავალ ტრამვაის ვაგონს. დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ მეთორმეტე მარშრუტის ვაგონზე მიბმული რონოდა დაიმსხვრა.

დაჯახების წინ ვაგონში მსხდომმა პირებმა მოასწრეს გადმოხტომა და, ამრიგად, კატასტროფას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

კატასტროფის ადგილზე დაუყოვნებლივ გამოცხადდენ სისხლის სამართლის მილიციის და პროკურატურის წარმომადგენლები.

როგორც გამოირკვა, მეთორმეტე მარშრუტის ვაგონი პლეხანოვის პროსპექტზე ისარზე გადასვლის დროს გადავარდა ლიანდაგიდან და დაეჯახა მეორე ხაზზე მიმავალ ტრამვაის ვაგონს.

დადასტურდა, რომ კატასტროფა გამოიწვია გზის ტექნიკურმა პირობებმა.

აფერისტების დაპატიმრება

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ცნობილი აფერისტი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე გრუმბახი (57 წლისა).

გრუმბახი პროფესიით იურისტია და ცარიზმის დროს პროკურორის თანამდებობა ეჭირა ბაქოში.

1922 წლიდან გრუმბახმა ხელი მიჰყო აფერისტობასა და ყალბი დოკუმენტების შედგენას, თუმცა სისხლის სამართლის მილიციის ცნობით იგი წინათაც დიდგამოშვებით ეწეოდა ამ „ხელობას".

გრუმბახს დაპატიმრებისას აღმოაჩნდა კოოპერატიული ორგანიზაციების ყალბი ბლანკები და ბეჭდები. დადასტურდა, რომ იგი თვითონ ამზადებდა ყალბ ბეჭდებსა და ბლანკებს, რომლის საშუალებითაც მას მუშკოოპის მაღაზიებიდან ფული გადაუხდელად გაჰქონდა საქონელი.

ამ ერთი თვის წინად გრუმბახმა თავის „სამოღვაწეო" ასპარეზათ გაიხადა თბილისი 6 აპრილს მან ყალბი ჩეკის საშუალებით 140 მანეთის საქონელი გამოიტანა სადგურის ქუჩაზე მდებარე მუშკოოპის მაღაზიიდან.

ქალის გატაცება

ლეჩხუმის მაზრის სოფ. ისუნდერში მცხოვრებ გრიგოლ განდარიას თავს დაესხა რამდენიმე შეიარაღებული პირი მისი ქალიშვილის მოსატაცებლად, მაგრამ თავდამსხმელებმა განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს და შეპყრობილ იქნენ. ისინი აღმოჩნდენ სოფ. იფურეშის მცხოვრებნი: პლატონ, ვარლამ და გიორგი მამარდაშვილები და ამელიონ მუშკუდიანი.

თავის მოწამვლა

გუშინწინ, ღამით ალექსანდრე ლეონიძე გაჩეჩილაძემ (მცხ. ყაზბეგის ქ. № 24) თავი მოიწამლა იოდით. გაჩეჩილაძე სიკვდილს გადაარჩინეს. თავის მოწამვლის მიზეზი გამოურკვეველია.

გუშინ, დღისით იოდის ხსნარით თავი მოიწამლა ნინა ბახუას ასულმა ქობულავამ (მცხ. კარკოდის ქ. № 25).

ქობულავას ქალი გადაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში.

ქურდები ჯაგრის ქარხანაში

უკანასკნელ ხანებში „ზაკგოსტორგ"-ის ჯაგრის ქარხანაში სისტემატიურად იკარგებოდა ჯაგარი. ქარხნის ადმინისტრაციამ ამის შესახებ აცნობა თბილისის სისხლის სამართლის მილიციას, რომელმაც გამოარკვია, რომ ქურდობას ეწეოდენ: კიმოთე იაკობის ძე გოგობერიშვილი, გრიგორ კარაპეტის ძე ხაჩატუროვი, აბრამ ოგანეზის ძე ოგანეზოვი და ეფრემ პოგოსის ძე არზუმანოვი. ქურდები დააპატიმრეს.

ცოლის დაჭრა

გუშინ, ალი ასან-ოღლიმ (მცხ. გოგოლის ქ. № 40) მოკვლის მიზნით მძიმედ დასჭრა თავისი ცოლი—ასია მამედ-კიზი.

ალი ასან-ოღლი დაპატიმრებულია.

მოკვლის განზრახვა

გუშინწინ, ღამით, ბენია მირიანის ძე გურგენიძემ (მცხ. პლეხანოვის პროსპექტი № 113) ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე მოკვლის მიზნით ხუთი გირვანქიანი გირი დაარტყა თავში თავის დას—თამარს. უკანასკნელი უგრძნობ მდგომარეობაში გადაგზავნეს რესპუბლიკის საავადმყოფოში. ბენია გურგენიძე დაპატიმრებულია.

დაჭრა

გუშინწინ, ღამით სასადილო „ამირან"-ში გრიგოლ დიმიტრის ძე ბაზარაშვილმა (მცხ. გურამიშვილის ქ. № 26) დანით მძიმედ დასჭრა მოქ. ტაბუაშვილი (მცხ. გონჩაროვის ქ. № 8). ბაზარაშვილი დააპატიმრეს. დაჭრის მიზეზი ირკვევა.

ამავე დღეს სასადილო „საქართველო"-ში (ბრძოლის ქ. № 164) ქეიფობის დროს ვლადიმერ ლისიჩენკომ დანით დასჭრა ლეონტი პეტრეს ძე ზიბროვი (მცხ. აფანასიევის ქ. № 26). ზიბროვი გადაგზავნეს კამოს სახელობის საავადმყოფოში. ლისიჩენკო დაპატიმრებულია.

შაბათს, 7 აპრილს, გუნიბის ჩიხში № 2 იპოვნეს დაჭრილი ქალი, რომელიც აღმოჩნდა ელენე პაპავაძე—ფალავანდიშვილი. გამოძიება სწარმოებს.

ფეხბურთი

მოსკოვი-თბილისი

მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდა „დინამო"-მ შაბათს და კვირას ჩაატარა ორი შეჯიბრი ადგილობრივ გუნდებთან. სტუმრებთან შაბათს თამაშობდა „დინამო—ბ", ხოლო კვირას—„არსრაიონი".

ორივე შეჯიბრმა გამოაშკარავა სტუმრების უპირატესობა. პირველი შეჯიბრი დამთავრდა 2:0, ხოლო მეორე—6:2 მოსკოველების სასარგებლოდ.

მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ მოსკოვის გუნდი არ არის მაინც და მაინც ძლიერი. თბილისს გაცილებით უკეთესი გუნდები უნახავს. პერსონალურადაც გუნდში არ არიან ისეთი ძლიერი მოთამაშეები, რომლებიც შესამჩნევად განირჩეოდენ სხვა დანარჩენ მოთამაშეებისაგან.

გუნდი ძლიერია სწორეთ კოლექტიური ნებისყოფით და მოთამაშეების ერთმანეთთან შეწყობით; განსაკუთრებით ეს ითქმის ფორვარდებზე, რომელთა თამაშის ტექნიკა საკმაოდ მაღალ დონეზე სდგას, თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ მათი „შაუტების" საკმაოდ დიდი პროცენტი „ცარიელ" დარტყმებისაგან შესდგება.

„დინამო—ბ" სტუმრებთან გაუბედავათ თამაშობდა, ამიტომ მან ვერ შესძლო მთელი თავისი შესაძლებლობის გამოჟღავნება. არსრაიონელებმა თამაში გაბედულად დაიწყეს, ისინი საკმაოდ ხშირად და ძლიერადაც ავიწროებდენ მოპირდაპირეს, მაგრამ მათ ბოლომდე არ შერჩათ ფიზიკური გამძლეობა, რის გამო შეჯიბრი მათი სასტიკი დამარცხებით დამთავრდა.

—

დღეს მოსკოვის „დინამო"-სთან თამაშობს გემო-კვების მუშაკთა კავშირის გუნდი. ეს შეჯიბრი დიდ ინტერესს იწვევს ფეხბურთის მოყვარულთა შორის, რადგან გემო-კვების მუშაკების გუნდი ერთერთი ძლიერი გუნდია თბილისში.

„გემო-კვების მუშაკები" თამაშობენ შემდეგი შემადგენლობით: მეკარე— დ. ცომაია, ბეკები—ვორონოვი და მატიენკო, შუალები—დოლგოლევი, იმნაძე, გონელი, მარშები—დემიდოვი, ასლამაზოვი, ვაჩნაძე, მაღალაშვილი და აივაზოვი.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 10 აპრილი

დღეს, 10 აპრილს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო- სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ და ქართულ ენებზე.

მიწსახკომის მოხსენება: საქართველოს სატყეო მეურნეობა—ქართულ ენაზე.

მ. გორკის ცხოვრება და შემოქმედება—ქართულ ენაზე.

მოხსენება: ცხოვრობდა თუ არა ქრისტე—რუსულ ენაზე.

ჟენევის კონფერენცია—სომხურ ენაზე.

ტექნიკური კონსულტაცია.

ტრანსლიაცია მოსკოვიდან.

ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

მოხსენებებს შუა მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა ხელზე

თბილისის შრომის ბირჟა დღეს, 10 აპრილს, სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევართ: მედიკურ მუშაკთა სექციიდან: ნატალია ჯულაბიშვილი, ელენე ფხაკაძე, სექცია, უმუშევართა საყურადღებოდ აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან მიღებულია მოთხოვნილება სასანიტარო და სამოსამართლო ექიმებზე, გინეკოლოგებზე, ქირურგებზე, ფერშლებზე და სხვა.

კურორტთა სამმართველოს ესაჭიროება (ბორჯომში, ჩარხის წყლის საექიმო პუნქტზე) ექიმი, სანიტარული ცოდნით და კლინიკური სტაჟით. რკინის გზელთა სექციიდან: ლაზარე ნაზაროვი, იაკობ მუნდოსოვი, სარქის პოღოსოვი, ალექსი მიროშვილი, ილიაიზ ბაგრიშვილი, ლუკა ბაზგინალოვი, ვასილ დომბაზაშვილი, ისიონ მირყაშვილი, სოლომონ ნანუაშვილი, მიხეილ ბოლქვაძე, ნიკოლოზ ბეგლარიშვილი, გრიგოლ ჩხეიძე, გიორგი მდივანი, ნიკო კოკვაძე, დავით ჟვანია, ლავრენტი ნინუა, ალექსი დარახველიძე, ლადიკო გემასუს. მშენებელ მუშაკთა სექციიდან: ალექსი გეტმანოვი; ახალგაზრდათა სექციიდან: დავით ჯალალოვი, აგასპარ ვართანოვი, ანდრო ბერიძე, ვალერიან პუტინოვი და არტამ ბაგიროვი; საგარანტიო სექცია: სექციაში აღრიცხულ უმუშევართა საყურადღებოთ, აცხადებს, რომ საგარანტიო დარგის უმუშევრები სამი დღის განმავლობაში უნდა გამოცხადდენ აღრიცხვაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხსნილი იქნებიან აღრიცხვიდან.

მეცნიერება და ტექნიკა

ჭლექის აცრა

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჭლექიან ავადმყოფთა მკურნალობა, ჭლექით დაავადმყოფების პროცენტის შემცირება, ამ ავადმყოფობით გამოწვეულ სიკვდილიანობის პროცენტის დაკლება, უმთავრესად დაკავშირებულია ხალხის მასების კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან და მათ კულტურულ დონის ამაღლებასთან, მაგრამ მარტო ამაზე არ უნდა დავამყაროთ მთელი იმედები. ამიტომ მეცნიერული აზრი მუშაობს იმ მიმართულებით, რომ აღმოაჩინოს ჭლექის საწინააღმდეგო აცრის (ვაქცინაციის) წესები, როგორც ამას შვებიან მაგალითად, ზოგიერთ სხვა ავადმყოფობათა მიმართ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთი წესი ჭლექის გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად ბავშვებში და ყმაწვილებში, რომლებიც უძლურნი არიან ამ ავადმყოფობის წინაშე, თუ მათ არ დავეხმარეთ ხელოვნური და სწრაფი საშუალებით. გამორკვეულია, რომ მაგალითად, საფრანგეთში სიცოცხლის პირველსავე წლიწადს ჭლექისაგან იხოცება 25 პროცენტი ბავშვების, შობილნი ამ ავადმყოფობით დასნეულებულ ოჯახებში. ჩრდილოეთ-ამერიკის ინდიელები კი სრულიად ისპობა ჭლექისაგან.



პროფ. კალმეტი
პარიზის პასტერის ინსტიტუტის ვიცე-დირექტორი

მრავალ მეცნიერთა დაკვირვებებმა დაამტკიცა, რომ ადამიანის ორგანიზმი არ ავადმყოფდება ჭლექით, თუ მასში შევიყვანთ ჭლექის ბაცილების მცირე რაოდენობას. ორგანიზმში ბაცილების დიდი რაოდენობის თავმოყრის დროს და ავადმყოფობის მემკვიდრეობით გადაცემის დროს, ე. ი., თუ ოჯახში დედა, მამა ან სხვა ნათესავები ავათ არიან ჭლექით, ბავშვები ჭლექიანდებიან და უმთავლეს შემთხვევებში იღუპებიან ან იქცევიან ნახევრად-ინვალიდებათ. ადამიანის ორგანიზმის დაავადება ჭლექით იმნაირად, რომ ჭლექი არაფერს ავნებს ადამიანს, ზოგჯერ თავისით ხდება. მეცნიერთა ღონისძიებები იქითკენაა მიმართული, რომ იპოვნონ ჭლექის აცრის ისეთი წესი, რომელიც უვნებელი იქნებოდა ადამიანისა და ცხოველისათვის და მომავალში დაიცავდა მას ავადმყოფობისაგან. ჯანსაღ ორგანიზმში სრული სიცოცხლის უნარის მქონე ბაცილების შეყვანა, როგორც ცდებმა დაამტკიცა, არა თუ არ იცავს ორგანიზმს, არამედ იწვევს მის დაავადმყოფებას. ამიტომ მეცნიერთა ყურადღება მიქცეულია იმაზე, რომ ჭლექის ბაცილები იმდენად უვნებლად გახადონ, რომ მათ არ გამოიწვიონ დაავადმყოფება და დაიცვან ორგანიზმი დაავადმყოფების შესაძლებლობისაგან (შექმნან იმმუნიტეტი).

ფრანგმა მეცნიერმა—პროფ. ა. კალმეტმა ჯერ კიდევ 1906 წ. დაიწყო ასაცრელად გამოსადეგ ბაცილების ძებნა. მსხვილფეხა საქონლის ჭლექის ბაცილებს კალმეტი ზრდიდა განსაკუთრებულ სითხეში და შემდეგ მათზე ახდენდა მთელ რიგ ოპერაციებს იმ მიზნით, რომ შეესუსტებინა მათი მავნე გავლენა ცოცხალ ორგანიზმზე. 1919 წ. კალმეტმა შესძლო მიეღო უვნებელ ბაცილები, რომელთაც მან უწოდა BCG (პირველი ასო—ფრანგული ბ, რომლითაც იწყება ბაცილების სახელი, ორი დანარჩენი—თვით კალმეტისა და მისი თანამშრომლის— გერენის გვარის დაწყებითი ასოები). ვაქცინა (ასაცრელი მასალა) მზადდება ასე: სწონიან 50—100 მილიგრამ ბაცილას და ურევენ მარილიან წყალის შესაფერ ხსნარში ამ ნარევს უშხაპუნებენ კანქვეშ. ვაქცინაციის (აცრის) პირველი ცდები მოახდინეს მსხვილფეხა საქონელზე. ცდისათვის გამოჰყვეს სამი პირუტყვი: ორს აუცრეს, მესამე კი დასტოვეს საკონტროლოდ. სამი თვის შემდეგ სამივეს შეუშხაპუნეს ძლიერ ბუნებრივი (დაუსუსტებელი) ბაცილები. უცრელი პირუტყვი მოკვდა 44 დღის შემდეგ. განკვეთის დროს მას აღმოაჩნდა ჭლექის გავრცელებული პროცესი ორი დანარჩენი პირუტყვი (რომელთაც აუცრეს) დაჰკლეს 11 თვის შემდეგ და ორივე ჯანსაღი აღმოჩნდა. ასეთივე ცდები მოახდინეს მაიმუნებზე. გამოჰყვეს 71 მაიმუნი: 19 აუცრეს, 25 კანქვეშ შეუშხაპუნეს ბუნებრივი (დაუსუსტებელი) ბაცილები, 27 ჯანსაღი მაიმუნი საკონტროლოდ დასტოვეს. საცხოვრებლად ყველანი ერთად მოათავსეს. ნახევარი წლის შემდეგ ხელოვნურად დაავადებულ 25 მაიმუნიდან 24 დაიღუპა ჭლექისაგან, 27 ჯანსაღიდან 26 აგრეთვე ჭლექისაგან დაიღუპა, 19 აცრილიდან—6 გადარჩა, დანარჩენები კი დაიღუპა სხვა ავადმყოფობათგან (მალარია, დიზენტერია და სხვ.) და განკვეთის დროს არც ერთ მათგანს ჭლექი არ აღმოაჩნდა.

ამან და სხვა მრავალმა ცდებმა დაარწმუნეს კალმეტი ვაქცინის დამზადების და აცრის მისი წესის სრულ უვნებლობაში და აგრეთვე იმაში, რომ აცრა აღწევს მიზანს. ამის შემდეგ კალმეტმა შესაძლებლად დაინახა ადამიანთა აცრაზე გადასვლა.

უცრიან ახლადშობილ ბავშვებს აუცილებლად დაბადების პირველი ათი დღის განმავლობაში. ვაქცინას ხმარობენ 10 მილიგრამის რაოდენობით სამჯერ: დაბადების მესამე, მეხუთე და მეშვიდე, ან მეოთხე, მეექვსე და მერვე დღეს. ამ სამ დროს ბავშვის ორგანიზმში შეჰყავთ ჭლექის მილიარდ ორასი მილიონი ცოცხალი ბაცილა. არავითარ მავნე შედეგებს აცრა არ იწვევს.

პირველ ხანებში კალმეტი უცრიდა მხოლოდ ჭლექიან დედ-მამის ბავშვებს. შემდეგ შეუდგა ყველა მსურველთა ბავშვების აცრას. 1927 წლის პირველ თებერვლამდი ჭლექი აუცრეს 21.200 ბავშვს. 982 ბავშვი ეკუთვნოდა ჭლექიან დედ-მამას, მათგან 969 თავიანთ ოჯახებში დარჩა. სიკვდილიანობის პროცენტი ამ ბავშვებში 25-დან დაეცა 0,8 პროცენტამდი, ე. ი. სიკვდილიანობა თითქმის 26-ჯერ შემცირდა.

ახლა კალმეტის წესით აცრის ცდებს აწარმოებენ ჩვენში—საბჭოთა კავშირში, ბელგიაში, პოლანდიაში, რუმინეთში, ნორვეგიაში და საბერძნეთში.

რ. გ.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგ ცნობას:

ცნობა

ამით ვადასტურებთ, რომ ამხ. ამაღლობელისაგან ხელოვნების მუშაკთა კავშირმა შემოიღო განცხადება, რომელშიაც აღნიშნავდა, რომ კავშირის წევრმა რეჟ. ალ. ახმეტელმა მას მიაყენა საჯარო შეურაცხყოფა სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობის სხდომაზე და იგივე შეურაცხყოფა გაიმეორა თეატრის ირგვლივ გამართულ დისპუტზე რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში.

საჯარო შეურაცხყოფის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში:

1) რომ ამხ. ამაღლობელი ამხედრებულია თეატრის წინააღმდეგ პირადული ანგარებისა და მტრობის გამო რეჟ. ალ. ახმეტელთან.

2) რომ ამხ. ამაღლობელი იყო უმთავრესი მიზეზი თეატრში მომხდარი კონფლიქტის რეჟ. კ. მარჯანიშვილისა და რეჟ. ახმეტელს შორის.

3) რომ ამხ. ს. ამაღლობელი, ისეთი პირია, რომელთანაც რეჟ. ახმეტელს ულირსად მიაჩნია სამხანაგო სასამართლოში გაყოლა, რომელშიაც იგი ამხ. ს. ამაღლობელმა გამოიწვია.

4) რომ ამხ. ს. ამაღლობელი არის „ყვაპი"

ამხ. ს. ამაღლობელი აცხადებდა, რომ ყველა წამოყენებული ბრალდებანი წარმოადგენენ საზიზღარ ცილისწამებას და სთხოვდა კავშირს, რომ განეხილა აღნიშნული ბრალდებანი და დასკვნა გამოექვეყნებია პრესაში.

კავშირმა მიმართა რეჟ. ალ. ახმეტელს გაეცნო საქმის ვითარება, მაგრამ რეჟ. ალ. ახმეტელმა არ ისურვა არც წამოყენებული ბრალდებების დამტკიცება, არც მათი უარყოფა.

ამიტომ ხელოვნების მუშაკთა კავშირი მოკლებულია საშუალებას დააკმაყოფილოს ს. ამაღლობელის მოთხოვნილება.

კავშირის თავმჯდომარე: **დიასამიძე.**

რადგან სამხანაგო სასამართლოში და პროფორგანიზაციაში წამოყენებულ ბრალდებათა დამტკიცებაზე უარის თქმა რეჟ. ალ. ახმეტელის მიერ **უდრის ამ ბრალდებათა უკანვე წაღებას**, ამიტომ თავს სავსებით დაკმაყოფილებულად ვთვლი.

ამხ. სალამით **სერგო ამაღლობელი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 10 აპრილს, საღამოს სრულ 6 საათზე საქ. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში მოწვეულია ქალაქისა და სოფლის კავშირის უჯრედების ბიუროს და აქტივის ფართე კონფერენცია.

მოწვეული არიან კომპარტიის უჯრედთა აგიტპროპორგანიზატორები და საქარხნო-საფაბრიკო ადგილკომების კულტკომისიების თავმჯდომარენი.

დღის წესრიგში ამხ. ახრიბეკოვის მოხსენება საშვებულებო კამპანიის შესახებ.

—

სახ. უნივერსიტეტის სოციალ. ეკონომიურ ფაკულტეტის მესამე და მეოთხე კურსის კომკავშირის უჯრედის კრება შესდგება დღეს, 10 მარტს საღამოს 7 საათზე.

წევრ კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

სახ. უნივერსიტეტის პედაგ. ფაკულტეტთან არსებულ ახ. ლ. კ. კ უჯრედის მორიგი კრება მოწვეულია, 10 აპრილს, საღამოს 7 საათზე.

წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტპროპკოლეგიის სხდომა, რომელიც დანიშნული იყო ხუთშაბათს, 12 აპრილს, შესდგება სამშაბათს, 17 აპრილს, საღამოს 6 საათზე საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში (ამხ. მამულიას კაბინეტში).

დღის წესრიგშია: საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა გორის მაზრაში (გორის სამაზრო კომიტეტის აგიტპროპგანყოფილების გამგის მოხსენება და ხაშურის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგის, ბორჯომის რაიკომის და ცეკას ინსტრუქტორის თანამოხსენებები), ქუთაისის საბჭოთა პარტსკოლის გამოკვლევის შედეგები, მიმდინარე საკითხები.

სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ს. მამულია, კ. მგელაძე, კ. პატარაია, სნეგირევი, ჭანკვეტაძე, დ. კანდელაკი, ვ. ჯაფარიძე, ერ. ასრიბეკოვი, მ. მაშკევიჩი, ვ. ჯაფარიძე, ა. ხტურუა, არჩ. მიქაძე, ლ. ფირალიშვილი, ვ. ცორუთალაძე

მომხსენებლები უნდა გამოცხადდენ 11 აპრილს დილის 10 საათზე ამხ. ს. მამულიასთან.

—

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 10 აპრილს საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება არსრაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ანასტასია, შვილები საშა, ლიზა, რძალი ნინო და შვილისშვილი ირიკო აუწყებენ ნათესავთ, და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქ. თელავში საყვარელი მეუღლე, მამა, მამამთილი და პაპა

დავით მერაბ სძე გამყრელიძე (აწყურელი)

დაკრძალვა 12 აპრილს ქ. თელავში (შ)

ქმარი ექიმი ალექსანდრე ვასილის ძე სავანელი პატარა ნელიკოთი, მული ნინო და მაზლი არჩილი მეუღლით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარ

ნინო (ბიანკა) გაბრიელის ასული სავანელის

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი სამშაბათს, აპრილის 10, საღამოს 6 საათზე განსვენებულის ბინაზე ელექტრონის შესახვევი № 4. გასვენება ვერის ახალ სასაფლაოზე ოთხშაბათს, აპრილის 11-ს, ნაშუადღევის 4 საათზე. 2—1—2044

დედა ელისაბედ ნიკოლოზის ასული სულხანიშვილი, ძმა დიმიტრი გაბრიელის ძე, დები ქეთევან და ელისაბედ, რძალი ელისაბედ ივანეს ასული და სიძე ვასილ ბართლომეს ძე პატარაია აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ საყვარელ

ნინო (ბიანკა) გაბრიელის ასული სავანელის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს საღამოს 6 საათზე ბინაზე. გასვენება აპრილის 11-ს ნაშუადღევის 4 საათზე 2043

ვასილ პატარაია, მეუღლე ქეთევან და შვილები ლალი და ბიჭიკო აუწყებენ თავის მეგობართ და ნათესავებს ძვირფასი

ბიანკას

უდროოდ გარდაცვალებას ნ. 909

ღრმად დამწუხრებული მეგობრები, სოფელ ახმეტაში მყოფნი, აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ამა წლის 7 აპრილს თელავში გარდაიცვალა ამხანაგის მეუღლე

თამარა ივანეს ასული ჯანდიერი-ცერცვაძისა

ნ 903

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მატრონა, ძმა მიხეილ, დები: ლიზა და ეფროსინე, შვილები: ნინა, კოლია, თამარა, მარო, სერგო და მარგალიტა, სიძეები—გიორგი ზუმბაძე და გოგი გენკინი, შვილისშვილები: ნოდარი და თენგიზი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 8 აპრილს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი, საყვარელი და დაუვიწყარი

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ქუთათელაძე

სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება დღეს 10 აპრილს. საღ. 6 საათზე. ნინოშვილის (ყოფ. ალექსანდროვის) ქუჩა № 28 (ე)

შვილები: პოლიო, დიმიტრი და თამარი ქმარ-შვილით, რძლები: ელენე, ლასე; შვილისშვილები: ლადო, ვალიკო, ქეთო, მარუსია, ბესარიონი და ბადუ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათი დაუვიწყარი მამის და ძვირფას მოამაგის ბაბუას

ანტონ ბესარიონის ძე კალანდაძის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი 11 აპრილს, საღამოს 6 საათზე, ძველი ვერის სასაფლაოზე. 2032

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი მშობლები გლახუნი და ეკა, მეუღლე თამარა, შვილები: ეთერი, ჭუჭუ და ჩიტო; დები: ესმა, ათინა და ვარდო, სიდედრი გოგოია, ცოლისძმა დათიკო ჩხიკვიშვილი მეუღლე შუტათი, ცოლის დები: კატო, შუშანა, ნინუცა და მარო, ქვისლები: თენგიზ ჟღენტი, გიოგი ბოლქვაძე და ნოე ჯორბენაძე, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელ

ლადიკო გლახუნის ძე ჟღენტის

უეცრად გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს ათ (10) აპრილს, სოფ. ბუქსიეთში (გურია) 2041

სახელმწიფო ოპერა

სამშაბათს, 10 აპრილს, ლ. ი. ლიპკოვსკაიას გასტროლი
ქ-ნი ბატერფლეი ფასები დაკლებულია
ოთხშაბათს, 11 აპრილს, დამსახ. მსახ. ე. მ. ლიუკომის, ბ. ვ. შავროვის და ლეონ ისეცკის საერთო გასტროლი.
1. **სევილიელი დალაქი** დონ-ბაზილიო—ლ. ისეცკი
2. **თავადი იგორი** (სცენა პოლოვცელთა ბანაკიდან) კონჩაკი—ლ. ისეცკი
3. **ბალეტი ჟიზელ** (მეორე აქტი) ჟიზელ—ე. მ. ლიუკომ ალბერტ—ბ. ვ. შავროვი

ნ. 900

სახკინმრეწვის თეატრები
აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
ოდეონი
პროლეტარი ავლაბარი

მერი პიკფორდ სეზონის საუკეთესო სურათში **დოროტი ვერნონ**
ცნობილი მსოფლიო ფილმი **პარიზელი ქალი** დადგმა ჩარლი ჩაპლინის
განკიცხულნი ვ. ჰიუგოს რომანის მიხედვით 3 და 4 სერია ერთად
პირლ უაიტი ამერიკულ კინო-რომანში **ვუ-ფანგის საიდუმლოება** 3 და 4 სერია ერთად
მსოფლიო ფილმი
„სიცოცხლე სიცოცხლისათვის"
მთავარ როლებში მარჩელა ალბანი, პაულ ვეგენერ

0—8

სატრანსპორტო შრომის ნადი **„მზიდავი"**
აწარმოებს გადაზიდვას საშენი მასალის და ყოველგვარი ტვირთის,
მისამართი:
ელბაქიძის დაღმართი № 29 ვერის ხიდთან.
კანტორა ღიაა დილის 9—4 საათ. ნ. 904

მინოგრაფია
СТЕКЛОГРАФИЯ

სახელმწიფო დაწესებულებათა საყურადღებოდ

ამით ცხადდება, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ნებართვით (№ კ 47001, 7 მარტს 1928 წ.) ვამზადებ მინოგრაფიისთვის საჭირო მაღალი ხარისხის **რეაქტივებს** რომლებიც დაეთმობათ მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე მინოგრაფებს ოფიციალურ მოთხოვნის წარმოდგენისათანავე

მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის პრ. № 34.

რძისა და კეფირის ლაბორატორიაში

მალე

კინო-თეატრებში
პალას-სოლეი-მინიონ
სურათი, რომელსაც მოუთმენლად მოელოდენ

ოქტომბერი

სურათი, თავისი მხატვრული ღირსებით, თავისი შინაარსით სჭარბობს ყველაფერს, რაც ჩვენ აქამდის გვინახავს, ამაში დამსახურება მიუძღვით იმ ხელოვანთ, რომლებიც მუშაობდენ ამ სურათზე—ეიზენშტეინს, ალექსანდროვს და ტისეს.

გაზეთი „კინო" 20 აპრილი. 1928 წ. ნ. 903

ს.ს.რ.კ. გემო-კვების მრეწველობის კავშირთან არსებული კომიტეტი
მუშათა საცხოვრებელი სახლის, ასაგებათ ამით აცხადებს

კონკურსს

ქალაქ თბილისში ასაგებ „მუშათა საცხოვრებელი სახლის" პროექტის შედგენაზე. სახლი უნდა იქნეს სამსართულიანი, სარდაფით, 30—32 ბინით (70-მდე საცხოვრებელი ოთახი), თვითეული ბინა ყოველგვარი საჭირო მოწყობილობით—ცალკე შესასვლელით, სამზარეულოთი, დერეფნით, ცალკე აივანით, აბაზანით, საპირფარეშოთი, ცენტრალური გათბობით და სხვ. ამავე დროს უნდა იყოს:

ა) ბინები ერთი ოთახით 20—25 პროცენტი.
ბ) „ ორი ოთახით 60 პროცენტი.
გ) „ სამი ოთახით 15—20 პროც.

ყველა ბინები ნათელი უნდა იქნეს. საუკეთესო პროექტების ავტორთ მიეცემათ შემდეგი ჯილდო.

პირველი ჯილდო შედარებით უკეთეს პროექტზე 1.100 მან.
მეორე „ „ „ „ 700 მან.

კომიტეტი უფლებას იტოვებს კონკურსზე წარმოდგენილ პროექტებიდან, ავტორთან შეთანხმებით, შეიძინოს ესა თუ ის დაუჯილდოვებელი პროექტი. ჟიურის შემადგენლობა: თავმჯდომარე ინჟ. ბ. ა. ქიქინაძე, წევრები: ინჟ. ნ. პ. სევეროვი, გ. ა. კოჩინევი, ა. ნ. მაევსკი, გ. ა. პემუშინი, თამბაქოს ტრესტის თავმჯდომარე ი ა. პევცოვი და მესამე თამბაქოს ფაბრიკის მუშა დუნდუა—მდივანი ინჟ. ს. გ. პოპოვი. კონკურსის სრული პროგრამის, მიწის ნაკვეთის გეგმის ასლის და ყველა ცნობების მიღება შეიძლება სამშაბათიდან, 10 აპრილიდან: 1. გემოკვების კავშირში—მუშათა სასახლე, მესამე სართული, ოთახი № 47 ან 2. საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში—პუშკინის ქ. № 3, ოთახი № 1, ინჟენერ ს. გ. პოპოვთან.

პროექტების შემოტანის ვადათ კომიტეტი ნიშნავს ამა 1928 წლის 10 ივნისს.

მუშათა საცხოვრებელ სახლის „გემოკვების" ამგები კომიტეტის თავმჯდომარე ხ. ავეტისოვი.

ნ. 907 მდივანი ინჟ. პოპოვი.

თბილისის ელექტრო-ანაგებთა სამმართველო

„ტელასი"

აცხადებს, რომ 14 აპრილს 1928 წ. დანიშნულია

საჯარო შეჯიბრება

ქ. თბილისის და მის განაპირა უბნებში მაღალ და დაბალ ძინვის ხაზების ქვემიწის ჯავშნიან ჯირგინების თხრილებში დალაგებაზე დაახლოვებით 9 კილომეტრის რაოდენობით.

ყველა სამუშაოები უნდა სწარმოებდეს მონარდის მასალით, იარაღით და მოწყობილობით გარდა ჯირგინის, აგურის და ჯირგინის დასაცველი მოწყობილობისა, რომელიც გაცემულ იქნება „ტელას"-ის მიერ.

მთელი სამუშაოს შესრულების ვადა ოთხი თვეა ნაწილ-ნაწილ ვადებათ დანაწილებით. იმ პირთ ვისაც სურთ აიღონ მთელი სამუშაოები უნდა შემოიტანონ განსაკუთრებულ ბლანკზე დაწერილი განცხადება საღერბო გადასახადის დაბეგვრით, დახურულ კონვერტებით შემდეგი წარწერით: „ტელას"-ის დირექტორს, 14 აპრილს 1928 წლ. ჯირგინის დალაგების საჯარო ვაჭრობისათვის.

იმავე დღეს დილის 10 საათზე კონვერტები იქნება გახსნილი. დაწვრილებით პირობების, ტრასების, სამუშაოს რაოდენობის და ტექნიკური პირობების გაგება შეიძლება. „ტელასი"-ს მაღალ ძინვის განყოფილებაში ყოველდღე 10 საათიდან 12 საათამდე (ქ. თბილისი—თავის. მოედანი, ყოფ. თამამშევის ქარვასლა მე-2 სართული ოთახი № 15). იქვე გაიცემა დაწესებულ ფორმის განცხადების ბლანკები.

ტელასის დირექტორი—ბირიუკოვი

ნ. 908

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის სამკურნალო

ხაწოლებით ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, კორილანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

ავადმყოფების მიღება **ფსიქოტერაპიის** დარგში, სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.

საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)კორესის ქ. კუთხე.

ექიმი
ი. ი. ზერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილ და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8.

დაიკარგა: ლომბარდის ქვითარი № 68849 ჩ. გ. 2042

დაიკარგა: კომკავშირის საწევრო წიგნაკი № 769 გრიგორ ალბოროვის სახელზე, ჩ. გ. 2038

დაიკარგა: სამხედრო აღრიცხვის ბარათი მაკარ ნიკოლოზის ძე ხუპუას სახელზე, ჩ. გ. 2036

დაიკარგა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 13814 მიხეილ ურუშაძის სახელზე, ჩ. გ. 2029

დაიკარგა: ლომბარდის ქვითარი № 54683, ჩ. გ. 2031

დაიკარგა: სააღრიცხვო ბარათი № 2255 სიმონ ტიმოთეს ძე გიგინეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2037

დაიკარგა: პირადობის მოწმობა № 190 სილარიბის მოწმობა № 31 და სილნალის პარტსკოლის დამთავრების მოწმობა № 151 ალექსანდრე ივანის ძე ზირაქიშვილის სახელზე ჩ. გ.

თბილისის მე-4 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი
ქ. ოდიშარია

ამით აცხადებს, რომ ის 13 აპრილს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 6 დესიმონოვის მოედ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ალექსანდრე მაჩნევის მოძრავ ქონებას: 20 შინაი (покрышки) და 8 ბორბლებს ეტლისას შეფასებულს 200 მანეთად, შვილის ვალის დასაკმაყოფილებლად. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 2033

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 13 აპრილს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 20 ბაზრის ქუჩაზე, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. შარუმაშვილის მოძრავ ქონებას: როიალ ფირმით „ირარდ" და სხვადასხვა სასადილოს მოწყობილობებს შეფასებულს 497 მანეთად, ცაგარელი და ჩახჩიანის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 21 მარტს 1928 წ. თარიღით, № 877 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 905

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 13 აპრილს 1928 წ. დღის 1 საათზე სახლში № 3 რუსის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის იოსებ ამირბეკოვის მოძრავ ქონებას: სასადილოს გერმანულ ფირმის ელექტრონით დასაკრავ არღანს შეფასებულს 300 მანეთად, მოქ. სიმონ მაისაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 21 მარტს 1928 წ. თარიღით, № 875 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 906

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.ტელ ეფ. № 1—90 25—11. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 1— 25 ტელ. 12—76

ექიმი
ნ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის) 25 –1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10 სპეციალურად მკურნალობს **საშარდე, სქესობრივ** (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), **ვენერიულ** (ტრიპერი) ავადმყოფობას, **სიფილისს,** და მის შედეგებს, **კანისა და ქირურგიულ** ავადმყოფობის (სიძსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე 13—

ექიმი **ს. ი. ანდრეევისა**

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ტელეფონი 11—78 25—0

ქ. ქუთაისი
ექ. თ. ვ. აპოფაშვილი

შინაგანი სნეულება—სპეციალ. ფილტვების ავადმყოფობა.

ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოსაა აფთიაქის გვერდით) ავადმ. მიღება დილ. 11—1, საღ. 4—6 საათ. 25—9

დაიკარგა: სახლის საბინაო დავთარი მცხოვრები არდონის შესახვევი № 9 მე—9-უბ. ნიკოლოზ ბადილასძე ხობეხაშვილის სახელზე, ჩ. გ.

დაიკარგა: პირადობის მოწმობა № 26 და სამხედრო საალრიცხვო წიგნაკი კაპე სიმონის ძე სამხურაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2034

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქ. № 60